


საქართველოს სპირიტუალური მემკვიდრეობა




1

საქართველოს სპირიტუალური მემკვიდრეობა
თბილისი - 2003



ჯვარი ვაზისა - შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცეკ და დაგვიფარე ჩვენ




შენ ხარ ჭეშმარიტი ნათელი, რომელი განანათლებ და წმიდა-ჰყოფ ყოველ-
თა კაცთა, და შენ გაქმნის ყოველი დაბადებული უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



ገጽ ፳፻፲፭

ገጽ ፳፻፲፮



ገጽ ፳፻፲፮ ላይ ገጽ ፳፻፲፭ ላይ የገጽ ፳፻፲፮ ላይ የገጽ ፳፻፲፭




፳፻፲፱

፳፻፲፱

፳፻፲፱


፳፻፲፱



წმიდა ანდრია პირველწოდებული

„... და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად წმიდასა ღვთისმშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა და ჩუენებით ერუენა მას ძე მისი, უფალი ჩუენი, და პრქუა: დედაო ჩემო, არაუგულვებელვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დიდებითა გამოისახოს, და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად.

მაშინ რქუა ყოვლადწმიდამან მოციქულსა ანდრიას: „შვილო ანდრია, დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ქუეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას წილად ჩემდა ხვედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და, ღმერთი და, მიბრძანა, რათა შენ წახვიდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილხულომილსა, რათა მე ვიყო განმგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნა მათ“.



რქუა მას მოციქულმან: „ყოვლად წმიდაო, ნება სახიერებისა ძისა შენისა და შენი იყავნ ყოველსა ჟამსა“. მაშინ ყოვლად-წმიდამან მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა და გამოისახა ხატი ესევეითარი, რომელ წიალთა თვისთა ეტჯრთა განხორციელებული ჩჩვლი, ყოვლად სახიერი სიტყუა ღმრთისა, რომელ აწყურისა ღმრთისმშობელისა და მისცა იგი მოციქულსა ანდრიასსა და რქუა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანა შემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვლოდე და მეცა თანა შემწე ვარ ქადაგებასა მაგასა და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“. მაშინ დავარდა მოციქული ქვეყნად და მადლი შესწირა ცრემლითა ყოვლად-წმიდასა და გამოვიდა მიერ სიხარულით და წარემართა ქადაგებად სახარებისა.

ეს იყო ორი ათასი წლის წინათ... დედა ღვთისმშობლის ნებითა და ანდრია მოციქულის ღვაწლით, ორი ათასი წლის წინათ საქართველოში ჩაითესა ქრისტიანობის პირველი მარცვალი... როგორც მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბრძანებს, შემთხვევით არაფერი ხდება...

არც ისაა შემთხვევითი, რომ სულ ახლახან, ღვთის განგებით, 5 სექტემბრის ბედნიერ დღეს, ისევ დაბრუნდა საქართველოში ქრისტეს მოციქული... მეორედ შემოვიდა ჩვენს მიწაზე წმიდა ანდრია, რათა თავისი ღვაწლი განესრულებინა...

ათენისა და სრულიად ელადის მთვარეპისკოპოსმა, უნეტარესმა ქრისტოდულოსმა თავისი მღვდელმთავრების თანხლებით თბილისში ჩამოაბრძანა მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი სიწმიდე – წმიდა ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა.

უდიდესი სასოებითა და რწმენით, უდიდესი შთაგონებით შეეგება მას სრულიად საქართველო... უბედნიერესი დღე იყო ეს ქართველთათვის. ხალხის ზღვას, რომელიც ერთნაირის სწრაფვითა და თაყვანისცემით მოიწვედა მისკენ თბილისშიც, აჭარაშიც, მცხეთაშიც... გაცუბითა და სინარულით შესცქეროდა საბერძნეთის ეკლესიის დელეგაცია... ადამიანები, ადამიანთა უსასრულო ნაკადი მოედინებოდა დღისითაც და ღამითაც დიდი სიწმიდისაკენ... მოწიწებით იყრიდნენ მუხლს. მიჰქონდათ მადლი და რწმენა იმისა, რომ ანდრია პირველწოდებული კვლავ აღავსებდა მათ სულებს იმედით.

აცხოვნე უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვართა ბარბაროზთა ზედა ღვთივ-დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა შენსა ქვეშე მიერ დაიცევ, რათა ვიტყოდეთ: – უფალო დიდება შენდა!



წმიდა ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა თბილისში

„როგორც მოგეხსენებათ, ანდრია მოციქული პირველი განმანათლებელია საქართველოსი. მან პირველმა შემოიტანა ქრისტიანობა საქართველოში და საკუთარ მოვალეობად ჩავთვალეთ, გამოვხმაურებოდით მისი უწმიდესობის, ილია II-ის მოკრძალებულ თხოვნას, საქართველოში ჩამოგვეტანა წმიდა ნაწილები საბერძნეთის ქალაქ პატრიდან, სადაც წმიდა ანდრიას თავის ქალი ინახება. მე ღრმად მწამს, რომ წმიდა ანდრიას წმიდა ნაწილები დიდი სულიერი ძალის მატარებელია და იგი სულიერად და მორალურად გააძლიერებს ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ დღეებში მას თაყვანსაცემად მიეახლება: წმიდა ანდრია პირველწოდებული შეეწევა ყველას, ვინც მოილოცავს მის წმიდა ნაწილებს და დაეხმარება მათ“.

ქრისტოდულოსი

ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი

„ანდრია პირველწოდებული თითქოს 2000 წლის შემდეგ ხელახლა ათვალიერებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. ამასთან, ჩვენ მოწამენი ვართ იმისა, თუ როგორ აგრძელებს იგი საქართველოში თავის მოციქულებრივ მოღვაწეობასა და ქადაგებას. რასაც მოწმობს მრავალრიცხოვანი ხალხის მიერ გამოჩენილი დიდი სიყვარული და მოწიწება მისი სიწმიდის წინაშე, როგორც ბათუმში, ისე თბილისსა და მცხეთაში“.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



ჩვენ მხოლოდ საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის დანახვა
გვინდოდა

ინგილო ქართველთა ნათქვამი

1997 წლის 1-4 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს უფროსის, შეინ ალაჰ შუქურ ფაშაზადესა და აზერბაიჯანის მილი მეჯლისის თავჯდომარის, მურთუზ ალესქეროვის მიწვევით აზერბაიჯანში ბრძანდებოდა. მის უწმიდესობას თან ახლდნენ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დანიელი, დეკანოზი ტარიელი და სხვა ოფიციალური პირები.

ამ ვიზიტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ორი მეზობელი ქვეყნის თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში. მისმა უწმიდესობამ დაათვალიერა საქართველოს საელჩოს შენობა, დალოცა მისი თანამშრომლები, ეწვია რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, სადაც საქართველოს პატრიარქს ქართულსა და რუსულ ენებზე შესრულებული ღვთისმშობლის სადიდებელი საგალობლებით შეეგებნენ. მისი უწმიდესობა და უნეტარესობა შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ბ-ნ ჰეიდარ ალიევს, რომელმაც ქართული ეკლესიის მამამთავრის სტუმრობას ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფურცელი უწოდა და სიამოვნებით აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს მეგობრობამ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის უმაღლეს დონეს მიაღწია.

იმავე დღეს მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ქართული სათვისტომოსა და აზერბაიჯანელი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მოუწყვეს შეხვედრა. შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში უწმიდესმა და უნეტარესმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ინტელიგენციის უდიდეს პასუხისმგებლობას ერისა და ქვეყნის წინაშე, მისი დაახლოების აუცილებლობას რელიგიურ მოღვაწეებთან და კავკასიაში მშვიდობის დამყარების მნიშვნელობას.

მეორე დღეს საქართველოს პატრიარქი და მისი თანმხლები პირები მასპინძლებთან ერთად ზაქათალაში ჩაფრინდნენ, საიდანაც მანქანებით კახისაკენ გაემართნენ. როგორც ისტორიიდან ვიცით, ამ მხარეში უკანასკნელად პატრიარქი ექვთიმე ბრძანდებოდა, რომელმაც ჰერეთში 1310 წელს იმოგზაურა და აი, თითქმის შვიდასი წლის შემდეგ საინგილოს მოსახლეობას ბედნიერება ჰქონდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს შეხვედროდა და მისგან ლოცვა-კურთხევა მიეღო. დიდიან თავად მისი უწმიდესობის ღვაწლი იმაში, რომ კახის რაიონში, სადაც შვიდი ათასი ქართველი ცხოვრობს, რამდენიმე მოქმედი ეკლესიაა. ენით აუწერელია სიხარული, რომლითაც ინგილოები ქართველი ერის სულიერ მამას შეეგებნენ. სიტყვაში, რომლითაც კათოლიკოს-პატრიარქმა სამწყსოს მიმართა, ბრძანა:

„ჩვენო დებო და ძმებო, ბედნიერი ვარ რომ თქვენი ხილვა მელირსა. აქ ჩამოსვლა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. მოგიწოდებთ იყოთ კეთილნი, შემწყნარებელნი, მიმტყვებელნი, ღვთის მორწმუნენი

და პატრიოტები იმ ქვეყნისა, რომელშიც ცხოვრობთ. უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა პრობლემა ღვთის განგებით კეთილად გადაწყდება და კავკასიაში სიმშვიდე და კეთილი ნება დაისადგურებს. მინდა გადმოგცეთ მთელი ქართველი ხალხის გულითადი სალაპი და საუკეთესო სურვილები. ღმერთმა დაგლოცოთ“.

იმ დღეს კახის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში 169 ქართველი მონათლა. მათ შორის ყველაზე უმცროსი სამი თვისა იყო, ხოლო უფროსი ოთხმოცდაათისა.

ამის შემდეგ, უწმიდესმა და უნეტარესმა სოფელ ქოთოქლოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, სოფელ ალიბეგლოს წმიდა ნინოსა და სოფელ მეშაბაშის ფერისცვალების ეკლესიებში პარაკლისები გადაიხადა და ძრეველი დალოცა. სოფელ ალათეზურის ქართული საშუალო სკოლის ბავშვებმა ძვირფას სტუმარს ქართველი პოეტების ლექსები წაუკითხეს.

ქურთუხის წმიდა გიორგის უძველესი ტაძარი, რომელიც VI საუკუნეშია აშენებული, ქართული ეკლესიის მამამთავარს შორიდანვე ზარების რეკვით შეეგება. მართალია, მთაზე ასვლა უამინდობის გამო ვერ მოხერხდა, მაგრამ მის უწმიდესობასთან შეხვედრით, მისი საუბრითა და მისგან ლოცვა-კურთხევის მიღებით უამრავმა ადამიანმა გაიხარა. მათმა წინაპრებმა ენა და სარწმუნოება თავგანწირვის ფასად შემოუნახეს შთამომავლობას. ახლა შთამომავლობა ცდილობს წინაპრების ნაანდერძევი უძვირფასესი განძის შენარჩუნებას და, რა თქმა უნდა, ამ საქმეში „დიდი საქართველოდან“, როგორც ისინი ჩვენს საერთო სამშობლოს უწოდებენ, სულიერი შემწეობა და თანადგომა ჭირდებათ. სწორედ ამ სულიერი შემწეობისა და თანადგომის გამოხატულება იყო ეს ვიზიტი.

აზერბაიჯანიდან დაბრუნების შემდეგ მისმა უწმიდესობამ სიონის საკათედრო ტაძარში, წირვის შემდეგ წარმოთქმულ ქადაგებაში ბრძანა:


ფასლბუნში კკითხულობთ: „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს. უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“. ძალა და მშვიდობა აუცილებელია, როგორც მთელი ერის, ისე ყოველი ჩვენთავანისათვის, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ძალასა და მშვიდობას ხშირად სულ სხვაგან ვეძებთ. ამის მიზეზი ისაა, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გვაქვს და გვგონია, მათ შეძენას ღვთის შემწეობის გარეშეც შევძლებთ. როცა ძალაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, სულიერ ძალას ვგულისხმობთ, რომელიც ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა, თუ იგი ჭეშმარიტი მორწმუნეა და მისი გული ჩვენი უფლის – იესო ქრისტეს ტახტს წარმოადგენს, თუ გული უკეთური ზრახვებისაგან, ღვარძლისა და შურისაგან განწმენდილია. თუ ადამიანს ეს სიმშვიდე და სულიერი საუნჯე არ გააჩნია, რა დიდი თანამდებობაც არ უნდა ჰქონდეს, რა დიდ სიმდიდრესაც

არ უნდა ფლობდეს იგი, მაინც უძლური და საცოდავია. უფალთან მისვლის სურვილი ჩვენ უნდა გვქონდეს და ისიც მოვა ჩვენთან. ღვთისა და ადამიანის შეერთებულ ძალას კი, რომელსაც სინერგია ეწოდება, ყველაფერი შეუძლია. მას წინ ვერაფერი დაუდგება. მხოლოდ ის ადამიანი და ერია ჭეშმარიტად ბედნიერი, ვისშიც ეს სინერგია არსებობს.

ამ ორი დღის წინ აზერბაიჯანიდან დავბრუნდით, სადაც ოფიციალური ვიზიტით ოთხი დღე ვიმყოფებოდით. ამ ხნის მანძილზე შეხვედრები გვქონდა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, მილი მეჯლისის, ჩვენებურად პარლამენტის თავმჯდომარესთან, კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს უფროსთან, აზერბაიჯანის ინტელიგენციასთან, რომლის დროსაც ვსაუბრობდით იმის თაობაზე, რა შეიძლება კიდევ გაკეთდეს იმ კეთილმეზობლური ურთიერთობის განსამტკიცებლად, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყნებს შორის იგრძნობა. ამიტომ ჩვენმა ვიზიტმა არა მხოლოდ რელივიათა შორის ურთიერთობის, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განვითარების მნიშვნელობაც შეიძინა.


ბაქოში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებსაც შევხვდით და სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ იქაური ქართული ინტელიგენციის ეროვნულმა სულისკვეთებამ ფრიად გავგახარა. იქაური ქართველები მშვენივრად ფლობენ ქართულ ენას. უყვართ სამშობლო და მის მომავალზე ფიქრობენ. მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩვენზე მაინც საინგილოს მოსახლეობასთან შეხვედრამ მოახდინა. ყველა სოფელში, სადაც კი მივედით, ხალხი ანთებული გულებით, ანთებული სანთლებითა და პურ-მარილით გვხვდებოდა. ბევრი მათგანი სიხარულისგან ტიროდა. მთავარი ის იყო, რომ დედა სამშობლოს მოწყვეტილმა იქაურმა ქართველებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ავბედობის გამო ახლა სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, იგრძნეს, რომ ისინი უპატრონონი არ არიან, რომ მათი ქვეყანა ფიქრობს და ზრუნავს მათზე, მათთვის ლოცულობს. ხშირად მესმოდა, როგორ ამბობდნენ, ჩვენ არაფერი არ გვინდა, ჩვენ მხოლოდ გვინდოდა დაგვენახა საქართველოს პატრიარქიო. რა თქმა უნდა, მათ ბევრი რამ სჭირდებოდათ, განსაკუთრებით ქართული წიგნები, მაგრამ ყველაზე მეტად, ჩვენს ყურადღებასა და გულის სითბოს საჭიროებენ.

მე მინდა გთხოვოთ, მათთვის ვილოცოთ, რათა ღვთის მადლით დადგეს დრო, როცა ქართველი ერი გამთლიანდება.



საინგილოს ეკლესია





რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ ღღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.


წმ. ილია მართალი



ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი ძირითადად, საინგილოს ეძღვნება... ეძღვნება მის წარსულს... გზას, რომელიც ტანჯვითა და წვალებით გამოიარა. ეძღვნება მის დღევანდლობას, მის ეკლესიებს, რომელთაც უშორეს საუკუნეებში უღვთო ფესვები...

ისე, როგორც მთელ საქართველოში, საინგილოშიც მრავალი პრობლემაა დღეს... ეს სინათლიანი კუთხე, დღესაც, ისე როგორც წარსულში, ჩვენგან თანადგომას ითხოვს, ითხოვს სიყვარულს...

საინგილო



საინგილო ეწოდება მხარეს, რომელიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ამჟამად კახის, კაკის – ასე ეწოდებოდა მას XX ს. 20-იან წლებამდე, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებით აზერბაიჯანის ფარგლებშია მოქცეული.

საინგილოს მდიდარი ბუნება – რელიეფის მრავალფეროვნება, შესანიშნავი ჰავა და წყალუხვი მდინარეები, მეტად ნაყოფიერი ნიადაგები, მდიდარი მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო ძველთაგანვე იქცევა ყურადღებას. იგი ლანდშაფტურად შიგნი კახეთის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. საინგილოს ტერიტორია მოიცავს კახეთის კავკასიონისა და აღაზნის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილებს, დაშიუზის დაბალ ქედსა და აჯინოურის ვაკეს.

საინგილო უძველეს დროში წარმოადგენდა პერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით – პერებთ. იგი ალვანეთის – ალბანეთის სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა. IV-V სს. პერეთი საქართველოს ერთ-ერთ – პერეთის საერისთავოს წარმოადგენს. ამ ფაქტს კარგად ადასტურებს დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე შემონახული VI-VIII საუკუნეების ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლები.

IV-V სს. (შესაძლებელია უფრო ადრეულ საუკუნეებიდანაც), საინგილოს მკვიდრი

ქართველი მოსახლეობა ყველა იმ პოლიტიკური და კულტურული-ეკონომიკური პროცესის ორგანული მონაწილეა, რაც საქართველოში ხდებოდა. ეს იყო შუა საუკუნეებში ეკონომიკურ-პოლიტიკური გაძლიერება და კულტურული აყვავება, ტერიტორიული გაფართოება-შეზღვევა, არაბების, მონღოლების, თურქების, სპარსელებისა და სხვათა შემოსევები, აოხრება-დაქვეითება და სხვა.

ქართველები მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ქართული ტომები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ. მათ ხსენებული ტერიტორიის მიწა-წყალზე საზოგადოების განვითარების ყველა ძირითადი საფეხური გაიარეს.

პერეთი ქართლ-კახეთთან ერთად, ძველი დროიდან მოყოლებული, ისტორიის მთელ მანძილზე IV საუკუნემდე ან საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, ან ცალკე სამეფო-სამთავროს სახით არსებობს.

პერეთი ვერ XI საუკუნეში, შემდეგ კი XV საუკუნიდან კახეთის სამეფოს საზღვრებშია. XV საუკუნიდან სახელწოდება „პერეთი“ ქრება და მთელ ტერიტორიას კახეთ-პერეთისას, მდ. არაგვიდან მოყოლებული მდ. გიშის წყალმდე, კახეთი ეწოდება.

მომდევნო პერიოდი აღინიშნება კახეთის სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გაძლიერებით, ამასთან ერთად,

ირანის, თურქეთისა და შემდეგ დაღესტნელი ფეოდალების შემოსევებით და გაუთავებელი ომებით, რასაც შედეგად მოჰყვა ამ მხარის საქართველოდან ჩამოშორება XVIII საუკუნეში და იქ ლეკების გაბატონება. ლეკებმა ირანისა და თურქების დანგრეობით ამ მხარის ადგილობრივი მცხოვრებნი – ქართველთა დიდი ნაწილი გაამაჰმადიანეს.

საინგილოში ქართული სკოლები ძველთაგანვე არსებობდა. ცნობილია, რომ XIII-XIV სს. საქართველოდან, საინგილოდან (პერეთიდან) – დაღესტანში გაერცვლდა ქრისტიანობა და ქართული დამწერლობა. დაღესტანში ქრისტიანობისათვის საჭირო ლიტერატურა საქართველოდან შეჰქონდათ. საქართველოშივე ხდებოდა საეკლესიო კადრების მომზადება. ამ მიზნით სკოლებიც ყოფილა დაარსებული. მ. ჯანაშვილს მოტანილი აქვს ცნობები ლ. ა. მაღალაშვილის კუთვნილ ოთხთავში არსებული ანდერძიდან, რომელიც 1310 წ. ყოფილა გადაწერილი. ამ ნაშრომში მოხსენებულია, რომ საქართველოს პატრიარქ ექვთიმეს, რომელიც მოღვაწეობდა XIV ს. პირველ ნახევარში, მიმოუხილავს თავისი სამწყსოს (საქართველოს) ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი – კახეთის საქორიკოზო, შემდეგ ფარგლებში: ჩრდილოეთით თუშეთი, ნახჩა, ლუნძეთი, ანწუხი, წახური (დაღესტანში); აღმოსავლეთით მდ. თეთრიწყალი (დასავლეთი შირვანი – საარიშინო), სამხრეთით მდ. ალაზანი და მდ. მტკვრის მცირე მონაკვეთი; დასავლეთით მდ. ჩელთი (ყვარლის რაიონი). ე. ი. პატრიარქ ექვთიმეს მოუხილავს კახეთის საქორიკოზოს გაღმა – ჩრდილო მხარე (საქართველოს სამფლობელოებში მყოფი ტერიტორიის ნაწილი). ანდერძში წერია: „...ექვთიმემ მიბრძანა ქურმუხისა მთავარ ეპისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღვარსა კირილე დონაურსა გადაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თუთოეულისათვის ეკლესიისა. მეცა გადავაწერინე კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარგზავნე საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლელთა თავსმდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად

სჯული ჭეშმარიტი და ფილასოფოსება, მამათა ცხორება, ქართლისა ცხორება და ცხორება ალვანისა... ქრონიკოსსა თლ“. როგორც ვხედავთ, ქურმუხის მთავარ-ეპისკოპოსის კირილე დონაურის ზეიმძღვანელობით, კაკის წმიდა ბარბარეს ტაძრის მღვდელს – იასე ქიტიაშვილსა და მის თორმეტ მოწაფეს სახარება გაუწავლებიათ და გაუგზავნიათ საყდრებში, მონასტრებსა და „შვიდთა სასწავლელთაში“. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ კირილე დონაურის ეპარქიაში ყოფილა რვა სკოლა – რვა სასწავლებელი. კ. კეკელიძე განმარტავს, რომ ეს სასწავლებლები არსებობდა არა ცენტრში, არამედ მისგან მოშორებით მთიან და განაპირა ადგილებში. როგორც ზემოთმოყვანილი ანდერძიდან ჩანს, იმდროინდელ სკოლებში ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, საეკლესიო ისტორია, საქართველოსა და ალვანეთის ისტორია. საფიქრებელია, რომ საინგილოში ქართული სკოლები მომდევნო საუკუნეებშიც არსებობდა, მაგრამ მათ შესახებ ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. მომდევნო XVII-XVIII სს., ამ მხარეში ავღი-თობის პერიოდში, ცხადია, სკოლებიც მოიხსო.

საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ანდერძში ალვანეთის ისტორიის ავტორის შესახებ ქურმუხის მთავარ-ეპისკოპოსი კირილე დონაური 1310 წელს სახარებას დართულ ანდერძში წერს: „... და ცხორება ალვანისა, ესე იგი არს სავანისა, რომელი დაწერა პეტრე ლაგაძემ და ვინმე სომეხმან გადაიღო იგი და საკუთრად დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“ (იხ. მ. ჯანაშვილი, იქვე). კირილე დონაური ფიცის ქვეშ ანდერძში ტყუილს რომ არ დაწერდა, ხარწმუნოა. აკადემიკოსი კ. კეკელიძე თავის ზემოხსენებულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ მას ხსენებული სახარება (ანდერძით), ლ. ა. მაღალაშვილის ბინაში ვედარ უნახავს. ეს მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი გულმოდგინედ უნდა იქნეს მოძებნილი საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ.

საინგილოს ტერიტორია რომ ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა და იგი

მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული, ეს დასტურდება ქართულ, რუსულ, ევროპულ და თვით აზერბაიჯანულ ენაზეც არსებული მრავალი ისტორიული წყაროთი, რომელზედაც ქვემოთ შევჩერდებით. ამ საარქივო თუ გამოქვეყნებული მასალებით მტკიცდება, რომ უკვე ძვ. წ. I საუკუნიდან ახლანდელი საინგილოს ტერიტორიაზე ქართველები და მათი მონათესავე ჰერები ცხოვრობდნენ, ხოლო IV-V საუკუნიდან მოყოლებული საკუთრივ საქართველოს ტერიტორია საინგილოსაც მოიცავდა. ამის დასამტკიცებლად მოვიტანთ რამდენიმე დოკუმენტს (ძირითადად არაქართული წყაროებიდან).

XIX საუკუნის 60-იან წლებში ზაქათალის ოლქი შეისწავლა რუსმა მკვლევარმა ა. პოსერბსკიმ. მან 1865 წელს გამოაქვეყნა ამ მხარის საკმაოდ დეტალური აღწერა: „ახლანდელი ზაქათალის ოლქის საზღვრებში შემავალ მიწაზე დასახლებულ ტომთაგან, მას შემდეგ, რაც იგი ალბანელებმა დატოვეს და რომლის შესახებაც სტრაბონი მოგვითხრობს, – პირველები იყვნენ ქართველები. როგორც ა. პოსერბსკის სიტყვებიდან ჩანს, ეს მხარე ალბანეთის სახელმწიფოში ადარ შედიოდა უკვე I საუკუნეში (ჩვ. ერამდე). ა. პოსერბსკი ზაქათალის ოლქის მოსახლეობის განხილვისას ასახელებს ქართველებს, ანუ ინგილოებს: „მრავალი შავი დღე ნახეს იმ ქართველებმა, რომლებსაც სახელწოდება ქართველი ინგილოთი უნდა შეეცვალათ; მათ ქრისტიანებს, რომელთაც დანარჩენი კახეთიდან მდ. ალაზანი გამოჰყოფდა, თაყვანი უნდა ეცათ ისლამის მაშინდელი მრისხანე ხმლისათვის. ამ ქართველებს არბევდნენ და ანადგურებდნენ ერთი მხრივ, სპარსელები, მეორე მხრივ კი კავკასიონის მთიელები. ისინი თითქოს ერთიმეორეს ეცილებოდნენ მათზე გაბატონებაში“.

როგორც ცნობილია, მონღოლების ჩამოსახლება აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე გვიან მოხდა. აკად. ნ. ბერძენიშვილი განმარტავს, რომ სახელწოდება „მუღალში“ აღინიშნება გაღმა მხარეში მეზობელ განჯა-მაქდან XVII-XIX საუკუნეებში შემოსახლებული მონღოლურ-თურქული წარმოშობის გლეხობა“.

ლეკების შესახებ ა. პოსერბსკი წერს: „უძველესი დროიდან კავკასიონის მთებში დასახლებული ტომები თავიანთი ყაჩაღური თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდნენ საქართველოს. ამ ტომებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლეკები (ლეზგი, ლეგზი). თავდაპირველად ისინი ბარში ჩამოსახლებას ვერ ბედავდნენ, მაგრამ იმის შემდეგ, რაც შაჰ-აბასი 1616 წელს შეიჭრა საქართველოში და იგი უკიდურესად დაასუსტა, ლეკებმა უკვე შესაძლებლად ცნეს, საცხოვრებლად მიეზიდნენ ბარში ჩამოსახლებულიყვნენ“. აღსანიშნავია, რომ დაღესტან-საქართველოს დამოკიდებულების შესახებ ა. პოსერბსკი მთლად მართალი არ არის. ცნობილია, რომ V საუკუნიდან მოყოლებული დაღესტანი მთლიანად, ან მისი ნაწილი საქართველოს სამეფოს მფარველობაში იმყოფებოდა. ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი წერს: „ამის შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი. და აზნაურ ყვნა ივინი, აღაშენა ეკლესია საძმროს... და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხეცსა ლაკუასტისასა ციხე, და პოვა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოდა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთაობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატონი ორთა წყალთა შუა, ხოლო ნუხპატონი უწინარეს იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცის ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრნა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლა არჩილ ივინი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 243-244).

ქართველებსა და დაღესტნელ ლეკებს შორის მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა არსებობდა შუა საუკუნეებშიც. ქრისტიანობა საქართველოდან დაღესტანშიც ვრცელდება XIII საუკუნიდან – „ხოლო ამავე ჟამთა ბრწყინავდა პიმენ სალოსი, რომელი გარესჯით წარმოვიდა და დაეპყვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰვიან სარწმუნოებასა

ქრისტესა“, ლეკთა შორის ქრისტიანობა XIV საუკუნის ბოლომდე დარჩა, ე. ი. მანამდე, ვიდრე მონღოლებმა ლეკები ძალით არ გაამუსულმანეს.

საყურადღებოა, რომ XIII-XIV სს. დაღესტანში ვრცელდება ქართული მწიგნობრობა და ქართული დამწერლობა. ამ ფაქტს მოჰყვა დაღესტანში ქართული ენის გავრცელება-განმტკიცება იმ ზომამდე, რომ დაღესტნელების ერთი ნაწილი ქართულად ლაპარაკობდა გამაჰმადიანების შემდეგაც კი.

XIII-XIV სს. ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში აშენდა მრავალი ეკლესია ქართული წარწერებით, რომელთა ნიმუშებს ახლაც პოულობენ.

ა. პოსერბსკის ნაშრომიდანაც ჩანს, რომ საინგილოს ტერიტორია ისტორიულად საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა და იქ ადგილობრივ მაცხოვრებლებად ქართველები არიან დასახლებულნი. რაც შეეხება მულალებსა და ლეკებს, ისინი ამ ტერიტორიაზე ნებით თუ ძალით ჩამოსახლებულან XVII-XIX საუკუნეებში.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გერმანელმა მკვლევარმა ა. ფონპლოტომ ზაქათალის ოლქის შესახებ გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი, სადაც სხვათა შორის, აღნიშნავს: – „ზაქათალის ოლქის ტერიტორია ოდესღაც შეადგენდა კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს. გაბატონებული ხალხი იყო ქართველები, გაბატონებული რელიგია – ქრისტიანობა“.



XIX საუკუნის ბოლოს (1894 წ.) ს. – პეტერბურგში დაბეჭდილ „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“, რომელიც გამოსცეს თ. ბროკჰაუზმა და ა. ეფრონმა, ვკითხულობთ: – „ზაქათალის ოლქი ოდესღაც შეადგენდა ჰერეთის ნაწილს, დასახლებული იყო ქართველებით... XI საუკუნის დასაწყისში კახეთის მეფე კვირიკემ ჰერეთი კახეთს შეუერთა... ჯერ კიდევ XV საუკუნის ბოლოს ახლანდელი ზაქათალის ოლქში, იმ დროს კახეთის აღმოსავლეთ მხარეში, კავკასიონის ქედიდან იწყეს შემოჭრა დაღესტნის მაცხოვრებლებმა – ლეზგებმა (ავარიელები). კახეთის გაპარტახება შაჰ-აბასის მიერ (XVII საუკუნის დასაწყისი), რომელსაც თან ახლდა მცხოვრებთა განადგურება და ტყვედ წაყვანა, აგრეთვე აზერბაიჯანის თათრების აქ



კახის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი

ჩამოსახლება, ხელს უწყობდა ლეკების შემოჭრას, რომლებიც ირანელი ხანების მფარველობით, ორგანიზებულ ჯგუფებად მოქმედებდნენ. დროთა განმავლობაში XVII-XVIII საუკუნეებში ლეკებმა ირანელი მფლობელებისა და აზერბაიჯანელი თათრების ხელშეწყობით საბოლოოდ დაიმორჩილეს ახლანდელი ზაქათალის ოლქი“.

ასევე „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ კვითხულობთ: „ინგილოები (ინგილა, ინგილო) სახელწოდებაა ქართველებისა. ესენი არიან ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ სამ დასავლეთ რაიონში. ინგილოთა დიდი ნაწილი იბულებული გახდა მიელო ისლამი (სუნიტური მიმდინარეობა) მე-17 საუკუნის დასაწყისში, სპარსეთის მიერ დაპყრობის პერიოდში. აქედან მოდის სახელწოდებაც დამახინჯებული თურქული „ენგილავი“ - დან, - „ახლადმოქცეული“.

შემდეგ სხვა დოკუმენტებში კვითხულობთ: „საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰ-აბასმა 1587 წელს კახეთის მეფეს ალექსანდრეს ჩამოართო კაკ-ელისენი, წინანდელი მოურავი ვახაჩიშვილი გაამაჰმადიანა, სახელად უწოდა ალიბეგი და ეს ალიბეგი დაადგინა აქ სულთანად. ამიტომ მას ეწოდა, აგრეთვე, აღის-ულთან... იმავე 1587 წ. ყანის (შაჰ-აბას I) ბრძანებაში სწერია: „კაკის ბატონის, ქართველის გურამოღლის მამული მიუბოძე საქართველოს მეფე სვიმონს (1558-1600), ხოლო აწ ამავე მამულს ეუბრუნებ გურამოღლის შვილებს“.

ჰერეთი უძველეს დროში ალვანეთის ფარგლებში მყოფ მის დასავლეთ პროვინციას (საერისთავოს) წარმოადგენდა და დასახლებული იყო ჰერებით - ქართველთა მონათესავე ხალხით. იგი უშუალოდ ესაზღვრებოდა ქართლის სამეფოს (კახეთის საერისთავოს) აღმოსავლეთიდან. კახელ და ჰერთა ტომებს შორის, ამ ორი დიდი სახელმწიფოს (ქართლი-ალბანეთი) მოსაზღვრე ზოლში მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა არსებობდა. ამასთან ერთად, ქართული მოსახლეობის მიგრაცია თანდათანობით აღმოსავლეთით - ჰერეთისაკენ ხდებოდა.

ჰერული ტომის ქართველებთან კულტურულ-ეთნიკური შერწყმის შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „IV საუკუნისათვის ეს პროცესი ძირითადად დამთავრებულად არის სავარაუდებელი“. ამ პერიოდისათვის ჰერეთის დიდი ნაწილი უკვე ქართლის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული. V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს, ჰერეთი მთლიანად ქართლის სამეფოს უშუალო ნაწილს წარმოადგენს და მისი ერთ-ერთი საერისთავოა. მეფე ამ საერისთავოს აღმოსავლეთ ნაწილში - გიშში საეპისკოპოსოს აარსებს. ამ პერიოდში ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი მდ. გიშისწყლის გაღმა ნუხის (შაქი) მიდამოებსაც მოიცავდა, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობზე ვრცელდებოდა და ბრძანებლობდა დაღესტნის ცალკეულ პროვინციებს (დიღეთი, ხუნძახი, წუქეთი და სხვ.).

ქ. ნუხის (შაქის) ჩრდილოეთით, 6 კმ. დაშორებით მდებარეობს გიშის ტაძარი. გიშქურბუხის ყოფილი რეზიდენცია: გიშის საეპისკოპოსო საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალს V საუკუნეში გაუხსნია. „აღნიშნული გრიგოლისძეთა სამფლობელო ქვეყანა ციხე გიშით ქართული ჰერეთის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი იყო... გიში VIII საუკუნიდანვე ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს ადგილსამყოფელი იყო ჰერეთში. აქვე იჯდა ქართველი ეპისკოპოზი მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკისისა. ამ ეპისკოპოსს - „გიშელს“ საქართველოს საეკლესიო იერარქიაში ოცდამეხუთმეტე ადგილი ეჭირა“. სახელი მდიდარია ქართული კულტურის ძეგლებით - მონასტრებით, ეკლესიებით, ციხე-ქალაქებით. სამწუხაროდ, ისინი მეცნიერული თვალსაზრისით დღემდე თითქმის შეუსწავლელია. დროთა განმავლობაში ჟამთა თუ ადამიანთა სიავით მათი ნაწილი უკვე მოსპობილია. ნაწილიც თანდათანობით ნადგურდება, ამიტომ ახლო მომავალში მათი მეცნიერული შესწავლა გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია. შემორჩენილ ძეგლთაგან შეიძლება დავასახელოთ: გიშის ღვთისმშობლის ტაძარი X-XI სს. გიშის

ყოფილი საეპისკოპოსოს რეზიდენცია V-XIII საუკუნემდე, VIII საუკუნიდან ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს ადგილსამყოფელი: ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძარი, გიშ-ქურმუხის საეპისკოპოსო რეზიდენცია XIII საუკუნიდან. კანის კასრის სამების საყდარი VIII ს და წმიდა ბარბარეს საყდარი VIII ს. ყუმის ღვთისმშობლის ბაზილიკა VI ს. ლეკერთის ტეტრაკონქი VII ს. სოფელ დიდი ბინის – ახლანდელი სოფელ ალათეშურის V-VI სს-ის სამების სახ. ბაზილიკური ტაძარი და სხვ. ლეკერთის დედათა მონასტერი V-VI ს. ზაგების ბაზრის ღვთისმშობლის საყდარი XVI ს. საყდრები კატეხში, ფიფინეთში და ბელაქნის მიდამოებში: მაჭის ციხე-ქალაქი ეკლესიითა და აკლდამებით, X-XI სს. ქურმუხის უბურჯო ხიდი XII-XIII სს., კავკასიის კედელი და სხვ. ამ პერიოდში, სხვათა შორის, კულტურისა და ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ შესანიშნავ ცენტრს ბელაქანი წარმოადგენდა. მიუხედავად მონღოლების ბატონობისა, XIII ს. დასასრულს ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა ქრისტიანობა გაავრცელა დაღესტანში, „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა“ – გააქრისტიანა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოდან დაღესტანში ქრისტიანობის გარდა, ვრცელდებოდა ქართული ენა, კულტურა, დამწერლობა და ლიტერატურა.

XIII საუკუნიდან საქართველოსათვის მძიმე პერიოდი იწყება. საქართველოს შემოესივნენ და ხანგრძლივად აოხრებდნენ მონღოლთა ურდოები.

განსაკუთრებით დამღუპველი იყო თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევა XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. XV-XVII საუკუნეებში საქართველოს, მით უმეტეს აღმოსავლეთ კახეთის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულდა, რაც გამოწვეული იყო ირანელებისა და თურქების განუწყვეტელი თავდასხმებით. ამ პერიოდში ქართველი ხალხი სამკდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდა. ერთი მხრივ უცხოელი დამპყრობლების, ხოლო მეორე მხრივ, თავგასული ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ.

XV საუკუნის მეორე ნახევარში 1466 წლიდან უკვე არსებობს კახეთის დამოუკიდებელი სამეფო, რომელიც პერეთსაც მოიცავს. კახეთის მეფემ გიორგი VIII-მ 1471 წელს თავის სამეფოში სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმა ჩაატარა. საერისთავოები გააუქმა და მის ნაცვლად უფრო წვრილი ერთეულები – სამოურაოები შექმნა. ამასთან ერთად, კახეთი დაიყო 4 სადრომოდ – სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულად. სადროშოების მეთაურებად ინიშნებოდნენ არა ერისთავები, როგორც ადრე იყო, არამედ ეპისკოპოსები, რომელთაც მეფე ნიშნავდა. ამ რეფორმის თანახმად ამიერიდან ტერმინი „პრეთი“ გაქრა.

შაჰ-აბასის წინამორბედმა შაჰ-თამაზმა ჯერ კიდევ 1562 წელს კახეთის საზიანოდ „წახურის სამფლობელო წახეთი, წუქეთი – სამურის ზემო წელში, რომელიც უძველესი დროიდანვე საქართველოში შემავალი ქრისტიანული ქვეყანა იყო, კახეთის მეფეებს ფაქტიურად ჩამოართვა“. 1587 წელს შაჰ-აბასმა ამ მხარის მმართველად გამუსულმანებული მოღალატე ვახანის შვილი – ალიბეგი დანიშნა. შაჰ-აბასის პირველი მუხანათური ნაბიჯი ის იყო, რომ 1605 წ. კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი, უფრო ზუსტად კაკელისენის აღმოსავლეთი ნაწილი – წუქეთი წაგლიჯა და ადგილობრივი მცხოვრებლების გამაჰმადიანებას შეუდგა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში, თეიმურაზ II-სა და მისი შვილის, ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში, ქართლისა და კახეთის სამეფოები მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ, ერეკლის, განჯისა და ნახჭევანის სახანოები ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი და სახელგანთქმული მეფე ერეკლე ბევრს ცდილობდა, რომ აღმოსავლეთი კახეთი საქართველოსათვის დაებრუნებინა, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად იმისა, რომ მან სასტიკად დაამარცხა დაღესტნელი ფეოდალების გაერთიანებული ლაშქარი და ჭარ-ბელაქნელი ლეკებიც, საინგილოს საბოლოოდ შემომტკიცება მაინც

ვერ მოხერხდა. ერეკლე II-ს კვლავაც სისტემატური ბრძოლების წარმოება უზღებოდა ჭარული და დაღესტნელი ლეკების, ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ. ბოლოს ისევე, როგორც მისმა წინამორბედმა ქართველმა ხელისუფლებმა, ერეკლე მეფემაც იმედის თვალი ერთმორწმუნე რუსეთს მიაპყრო და ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი მას დაუკავშირა.

1803 წლის 12 მარტს რუსეთმა რუს-ქართველთა ერთობლივი ჯარით, რომელსაც მთავარსარდლობდა გენერალი პავლე ციციანოვი, ჭარ-ბელაქნის შემოერთებისათვის ბრძოლა დაიწყო, რაც გამარჯვებით დამთავრდა. ჭარ-ბელაქნის ლეკთა ბელადებმა მორჩილება და ხარკის გადახდა იკისრეს. მოუხედავად ამისა, მომდევნო წლებში ლეკები მოტყუების, თვალთმაქცობის, აჯანყების და სხვა გზით მაინც თვითნებურად მოქმედებდნენ: შეძღვომ კი ხარკის გადახდაზე უარი თქვეს. ბოლოს 1830 წელს, რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი ჯარით საინგილო ლეკთა ბატონობისაგან საბოლოოდ იქნა გაათავისუფლებული. ჭარ-ბელაქანში რუსეთის მმართველობა დამკვიდრდა.

საინგილოს შემოერთების შემდეგ ინგილოთა მდგომარეობა ნაწილობრივ შემსუბუქდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საინგილოს ყველა ქართველი XIX საუკუნის დასაწყისისთვის ირანის, თურქეთისა და ლეკ ხელისუფალთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გამაჰმადიანებული იყო. მათი უმრავლესობა სხვათა დასანახავად ლოცულობდა მაჰმადს, ფარულად კი ქრისტიანულ ადათ-წესებს მისდევდა და ქრისტიანობის აღდგენაზე ოცნებობდა, რადგან ქრისტიანობის დაკარგვასთან ერთად ქართველობასაც კარგავდნენ. საინგილოს ქართველებს ქრისტიანობის აღდგენის მომენტი რუსეთთან შეერთების შემდეგ დაუდგათ; 1850 წელს 8 ინგილო, ივან-ბაბა ბულუღაშვილის ხელმძღვანელობით ფეხით ჩამოვიდა თბილისში და წარუდგა მეფის ნაცვალ ვორონცოვს, რომელმაც ისინი პირადად მონათლა სიონის ტაძარში. ამის შემდეგ ვორონცოვი თვითონ ჩავიდა საინ-

გილოში. ამით წახალისებული საინგილოს ადგილობრივი ადმინისტრაციაც ხელს უწყობდა ქრისტიანობის აღდგენის საქმეს.

ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ საინგილოს ქართული სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობამ ქრისტიანობა აღიდგინა, რისთვისაც რუსეთის მთავრობამ ისინი ლეკთა ყმობისა და სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა.

1850-იანი წლებიდან დაიწყო ძველი ქრისტიანული ძეგლების აღდგენა და ახალი ეკლესიების შენება (კაკში, ალიბეგლოში, ყორაღანში, მეშაბაშში, ქურბუხში, ჰენგიანში, ძაგაშა და თასმალოში), ქართული დაწვებითი სკოლები გაიხსნა კაკში, ალიბეგლოსა და ყორაღანში. ინგილოები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ საქართველოს.

საინგილოში ქრისტიანობის მფარველობითა და მუსულმანობის შევიწროებით მეფის რუსეთის მთავრობა საკუთარ მიზნებს ახორციელებდა. მართალია, ასეთმა პოლიტიკამ ქრისტიანი ინგილოების მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სამაგიეროდ საინგილოში მცხოვრებ მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის შუღლი დიდად გაამწვავა. რუსეთის იმპერიის მესვეურებმა ასეთი პოლიტიკით საკუთარი საქმეები მოაგვარეს. კავკასიის მთლიანად დაპყრობის შემდეგ (1864 წ. მაისი) რუსეთს ამ მხარის მაჰმადიანური ქვეყნების დაკარგვისა აღარ ეშინოდა. რის გამოც მან XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საინგილოს ქრისტიანობის მფარველობაზე ხელი აიღო, ხოლო მუსულმანობას პრივილეგიებიც კი მოაწოჭა. ამ დროიდან მოყოლებული რეაქციული ძალების წყალობით საინგილოში, ქართველების, ქართული ენისა და კულტურის მდგომარეობა უაღრესად მძიმე პირობებში მოექცა. კვლავ დაიწყო ინგილოების შევიწროება და გამაჰმადიანება. გაჩნდა ქართული ენის დაკარგვის დიდი საშიშროება. „... მოღების ჩაგონებით, 1863-1864 წლებში ქრისტიანობა უარყვეს შეძღვება სოფლებმა: სოსიკანმა (სოსიკანთ კარი), ლალაფაშამ, თასმალომ, ძაგაშმა, ვერხვიანმა, ალიბადმა, ჰენგიანმა, მოსულმა,

ბელაქანმა და მრავალთა სხვათა“. ზემო-სხენებულ სოფლებში დღესაც მაჰმადიანი ინგილოები ცხოვრობენ. ზოგიერთ სოფელში ქართული ენა მთლიანად დავიწყებულია (სოსკანი, ლალაფაშა, თალარო, ყანდახი, ვერხვიანი, გოგამი, ბელაქანი და სხვა), ზოგში ქართული მარტო მოხუცებმა-ლა იციან (ჰენგიანი, ქათანაჩხი). არის სოფლები, სადაც ქართული მხოლოდ ბავშვებმა არ იციან (მაგამი, თასმალო). დანარჩენ სოფლებში კი დღესაც ქართულად ლაპარაკობენ (ალიაბადი, მოსული და ითითალა).

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საინგილოს ქრისტიანულმა მოსახლეობამ კვლავ შემცირება იწყო. მათი მდგომარეობა ისევ გართულდა. „ჭეშმარიტად, რომ სამწუხარო და სატირალია ასრეთი მოვლენანი. XIX საუკუნემ ბევრი ამისთანა დადი დასდო ქართველობას. 12 ათასმა ინგილომ დაკარგა ქრისტიანობა და ხალხოსნობა ზაქათალის ოლქში“. 1861 წელს 20 ათასი სული ინგილო იყო მონათლული, რამდენიმე წელში მათი რიცხვი 4000-მდე შემცირდა, ე. ი. 16000 ინგილო კვლავ ვამაჰმადიანეს.

საინგილოში, განსაკუთრებით ბელაქანის რაიონში, ბევრი დღევანდელი ლეკის წინაპარი ქართველი იყო. ისტორიამ შემოგვინახა ცნობა, რომ ყოფილი ვანნაძეები დღეს გალაჯოვის გვარს ატარებენ, ერისთავები – ნასტაგალოვისას და სხვა. საინგილოში ბევრმა ლეკმა იცის, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ, იციან თავიანთი ქართული გვარებიც. მაგალითად, 1872 წელს სოფ. გოგამელეზმა (ბელაქანის რაიონშია) ზაქათალის ოლქის წოდებათა და საადგილმამულო ურთიერთობის გამომკვლევ კომისიას განუცხადეს, რომ ისინი, როგორც თავიანთ თავს, ისე ლეკების უმრავლესობას თვლიან აქაურ ადგილმდებარეობის მკვიდრ ძირითად მაცხოვრებლად-ქართველებად“. აქვე გვინდა აღვნიშნოთ სათანადო დოკუმენტებით დამოწმებული ის ფაქტი, რომ „ჭავჭავაძეთა გვარს ჰქონია სამკვიდრო საინგილოში თვით მე-18 საუკუნის პირველ ნახევრამდე. 1726 წლის სიგელში ჭავჭავაძეთა გვარის სამკვიდროდ დასახელებულია

საინგილოს სოფლები: ჰენგიანი, ყანდახი და მოსული. ამას გარდა ჭავჭავაძეთა გვარს ჰქონია „სახელო“ საინგილოს ენისეღში (იგივე ელისენი, თანამედროვე ალიაბადი-ზაქათალის რაიონი), რომელიც საინგილოს მხარის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს წარმოადგენდა“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წარსულში საქართველო ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა საინგილოს, რის გამოც ლეკი ბეგები და მოლები თვითნებობდნენ და ქართველები უკიდურეს მონურ პირობებში ჰყავდათ ჩაყენებული. ინგილოთა სავალალო მდგომარეობამ ააკენესა თავისი ხალხის დიდი მოჭირნახულე ინგილო დიმიტრი ჯანაშვილი. იგი წერდა: „მაგრამ ვაი მათ ქართველობას (ლაპარაკია იმდროინდელ ქრისტიან ინგილო ქართველებზე), ისინი მოწყვეტილი არიან ქართველებისაგან, დაობლებულან, პატრონი აღარ ჰყავთ, თვისტომნი ქართველებიც მონათესავე ხალხად არ ცნობენ, ლეკებს ეძახიან. იმათ სწყინთ ასეთი წოდება, მაგრამ ქართველები გულგრილად ეპყრობიან მათ პროტესტს, რადგან არ გაეგებათ რას ნიშნავს მიმხრობა, შეთვისება, ზურგის გამაგრება ეროვნებისა“.

აღსანიშნავია, რომ ინგილო ახალგაზრდებს განათლების მიღების საქმეში მცირედი დახმარება მაინც ჰქონდათ, როგორც ცარიზმის რუსეთის, ისე საქართველოს მხრიდან.

არც მენშევიკების მთავრობას მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება ინგილოებისათვის, რის გამოც მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში დღესაც ქართველთა ერთი ნაწილი (საინგილოში) არ იცნობს; არ იცის ინგილოთა წარსული და ახლანდელი ცხოვრების პირობები. ზოგიერთი მათგანი მაჰმადიან ინგილოებს „თათრებს“ უწოდებს, რაც ინგილოთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ასევე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საინგილოში ზოგიერთი ქრისტიანი ინგილოც „თათრებს“ უწოდებს მათ, რაც, ალბათ, დაუფიქრებლობით მოსდით. ამით ისინი ქრისტიან და მაჰმადიან ინგილოთა კეთილ დამოკიდებულებას ზიანს აყენებენ. საინგილოს

ქართველთა გამაჰმადიანება მათი სურვილის წინააღმდეგ მოხდა. ასე რომ, თუმცა საინგილოში ქართველთა ერთი ნაწილი მაჰმადიანია, ისინი მაინც ქართველები არიან (გავიხსენოთ ფერეიდნელ ქართველთა მაგალითი), თუ კი მათ თავიანთ შებენებაში ქართველობა არ უარუყვიათ, თვითონ არ სურთ ეროვნების, ან გვარის შეცვლა, რაც სათანადო ინსტანციებში ფორმდება, მაჰმადიან ინგილოებს ამჟამად გვარიც მაჰმადიანური აქვთ. ზოგმა ინგილომ 1950-60-იან წლებში თავიანთი ქართული გვარები და ეროვნება „ქართველობა“ აღიდგინა.

საინგილოში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოვრობენ ქრისტიანი და მუსულმანი ქართველები-ინგილოები. ქრისტიანი ქართველები მხოლოდ კახის რაიონში არიან, ხოლო მუსულმანი ინგილოები – საინგილოს სამივე რაიონში. აქ მცხოვრები ყოფილი ქრისტიანი ქართველების საბოლოოდ გამუსულმანება მოხდა 1863-64 წლებში, ამ პერიოდში „16000 ინგილო გაამაჰმადიანეს“.


ქრისტიანი ინგილოები ცხოვრობენ კახის რაიონის შემდეგ სოფლებში: კახი, თითახი, აღბეგლო, მეშაბაში, ქოთოქლო, ყორღანი, ხარაბთალა, ქეშუეთანი, დიდი ალათეშური, პატარა ალათეშური და სხვ. მუსულმანი ინგილოები ცხოვრობენ შემდეგ სოფლებში: ძაგამი, თასმალო, სოსკანი (სოსიკანთ კარი), შოთავარი, მარსანი (კახის რაიონი); ალიაბადი, მოსული, ჰენგვანი, ვერხვიანი, ზაქათალა, ყანდანი, ქათანახჩი, თაღდარი და სხვ. (ზაქათალის რაიონი); ბელაქანი, ითითალა, გოგამი და სხვ. (ბელაქის რაიონი).

ქრისტიან და მუსულმან ინგილოთა შორის განსხვავება გარდა რელიგიისა, სხვა რამეშიც შეინიშნება: ინგილო ახალგაზრდობა და ინტელიგენტ ინგილოთა ოჯახები, სადაც ქართულად ლაპარაკობენ, თავიანთი ყოფაცხოვრებით, ჩაცმა-დახურვით და ქცევით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ქრისტიანი ინგილო გლეხს ოჯახი, კარ-მიდამო, ჩაცმა-დახურვა, ზნე-ჩვეულება ისეთივე აქვს, როგორც თანამედროვე კახელ გლეხს. მათ ეზოში თუ მის მახლობლად

ბალ-ბოსტანთან ერთად, აუცილებლად ვენახიც არის გაშენებული. მუსულმანი ინგილო გლეხის (განსაკუთრებით ხანში შესულთა) ყოფა-ცხოვრებასა და მეურნეობაში კი შეინიშნება რელიგიის გავლენა: მათ საკარმიდამოში ვენახს ვერ ნახავთ; მის მაგივრად ჭარბად არის გაშენებული თხილის პლანტაციები. განსხვავება, ცხადია, თავს იჩენს ადათ-წესებსა (ნათლობა, ქორწილი, დასაფლავება, რელიგიური დღესასწაულები) და საჭმელებში (ლორის ხორცი მუსულმან ინგილოთა ულუფიდან ძირითადად გამორიცხულია).

მუსულმან ინგილოთა რიგ სოფლებში ქართულად აღარ მეტყველებენ, გვარები და სახელები ძირითადად მუსულმანური აქვთ (მცირე ნაწილმა უკანასკნელ წლებში თავიანთი ქართული გვარები აღიდგინეს). მუსულმან ინგილოთა უმრავლესობამ იცის, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ და საქართველოს ეკუთვნოდნენ. ინგილოთა მთელ რიგ სოფლებში ეკლესიები გაუქმებულია. მორწმუნე ქრისტიანები ქრისტიანული რელიგიის ადათ-წესებს ასრულებენ, მუსულმანები – მუსულმანურს. სკოლები ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზეა.

ბიორბი ჩანგაშვილი






ინგილოები
წიგნალბომიდან „ქართველთა ტომი“.
ავტორი ი. როსტომაშვილი.
თბილისი. ე. ხელაძის სტამბა 1896
წელი.



საინგილოს მოამბენი




ივან-ბაბა ბუზულაშვილი



სოფიო ყულოშვილი



კოტე კარტაშვილი



არჩილ დარეჯანაშვილი



ისინი, ცხადია, ბევრად მეტნი იყვნენ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე სურათის მოძიება შეუძელით. უფალმა გაანათოს მათი სულები. განუსვენოს მათ ადგილსა მწვანელოვანსა, ადგილსა ჩათლისასა.

ძეგლი ივან-ბაბა ბუზულაშვილის საფლავზე



საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიიდან

საქართველოს ეკლესიის საზღვრები გადაჭიმული იყო „პონტოს ზღვიდან დარუბანდის ზღვამდე“ („ქართლის ცხოვრება“, I ტ., გვ. 232). „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა ქართული ეკლესიის მეთაურის შესახებ წერს, რომ იგი არის „მოციქულთა მაგიერი და მოციქულთა ტახტსა ზედა მჯდომი და პატრიარქი... ამის სამწყსო და ხელქვეით ქართლი, რანი და კახეთი, ოვსეთი, სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდე, სამცხე-საათაბაგო“.

ჩვენი წინაპრები, როგორც ცნობილია, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სამოციქულო უწოდებდნენ, ხოლო მის მეთაურს – „მოციქულთა მაგიერსა“ და „მოციქულთა ტახტზე მჯდომ პატრიარქს“.

სიტყვა „სამოციქულო“ თავის თავში შეიცავს არა მხოლოდ სარწმუნოებრივ, არამედ იურიდიულ დატვირთვასაც.

ძველ დროს, განსაკუთრებით პირველ ათასწლეულში (უპირატესად VI-X სს-ში), სამოციქულოს უწოდებდნენ ისეთ ეკლესიას, რომელსაც იურიდიული უფლება ჰქონდა თავის სამწყსოდ მიეთვალა ის ხალხები და ტომები, რომელნიც მისი მოციქულის მიერ იყო განათლებული. ქართული ეკლესია ძველთაგანვე სამოციქულო იყო და მისი იურისდიქცია ვრცლად იყო გადაჭიმული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. სწორედ ამიტომ საგანგებოდაა მითითებული ქართულ წყაროში საქართველოს იურისდიქციის ქვეშა ტერიტორიების

ჩამოთვლის დროს ქართული ეკლესიის სამოციქულო უფლების შესახებ. ისტორიული საბუთების თანახმად, ქართული ეკლესიის ეს ჩვეულებრივი წოდება აღიარებულია VI მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ. „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეულ ნუსხაში აღნიშნულია: „ქრისტეს აქეთ 656 წელს იქმნა კრება მეექვსე 170 წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლს შინა, მეათსამეტესა წელსა პოლონატი კონსტანტინეს მეფობისასა... ამის კრების მიერ ბრძანებს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა, ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი. და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხებდეს, მწყსიდეს... სამწყსოსსა თვისსა ქართლსა, გაღმა-გამოდმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წარმოვლით მთისა ადგილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთისა და ყოველსა ზემო ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 232). როგორც აქ იხე სხვა წყაროებში, აღნიშნულია, რომ ქართულ ეკლესიას სამოციქულო უფლება გააჩნდა კავკასიის მრავალი მხარის მიმართ, კავკასიის ქედის გადაღმა ჩერქეზეთ-ოსეთ-ყაბარდოდან ვიდრე კასპიის ზღვამდე, ხოლო ამიერკავკასიაში არა მხოლოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოზე, არამედ შირვანსა, შაქსა, რანსა და სხვა მხარეებზე, ვიდრე კასპიის ზღვამდე.

ქართული ეკლესიის ეს სამოციქულო უფლება დაუდასტურებია და უღიარებია VI მსოფლიო საეკლესიო კრებას.

სამწუხაროდ, დროთა მანძილზე, შემცირდა მისი იურისდიქცია და ამჟამად იგი ემთხვევა საქართველოს ამჟამინდელ სახელმწიფო საზღვრებს.

არის მცდელობა ჩათვალოს, რომ საქართველოს ეკლესიის სამწესოში შედის მხოლოდ მართლმადიდებლური მოსახლეობა. ეს, ცხადია, ასეა, მაგრამ მისი სამოციქულო ტიტული მიუთითებს, რომ ჩვენი ეკლესია თავის სულიერ უზენაესობას წარსულში საქართველოს მთელ მოსახლეობაზე ახორციელებდა და ასე იქნება მომავალშიც.

შესადლებელია, ამჟამად რომელიმე მოქალაქე არ იყოს მართლმადიდებელი, მრევლი ჩვენი ეკლესიისა, მაგრამ გვინდა გვეპროდეს, რომ მისი შთამომავალი, მემკვიდრენი, დაუბრუნდებიან დედა ეკლესიის წიაღს. თავისი გენეტიკური წარმომავლობით იგი ხომ ქართულ ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. მომავალში მისი შთამომავლობის დაკავშირება თავის წიაღთან ჩვენი ეკლესიის ისტორიული უფლებაა.

1310 წლის წერილობითი ცნობა გადმოგვცემს: „ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ექვთიმე მოიხილა კახეთს ანწუნის საეპისკოპოსო და მიერთვან გარდავიდა წახურს, კაკ-ელისენს, მოვლო საყდარნი: კასრი სამებისა, ყუბი ღვთისმშობლისა, ლექართს წმ. მოციქულთასწორისა ნინოსი, ზარს წმ. მთავარმოწამისა გიორგისა, ვარდიანს წმ. პაბოსი, განუხს არჩილისი, ქიშანუხს ღვთისმშობლისა, ბარდაშენს ელიასი... კვალად საყდარნი ზენბთა, ნანჩია, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგუთისა, ბელაქნისა, შაქ-ფიფინეთისა, ფერიქან-მუხან-მამრეთისა და ყოვლისა ვაკისა, ესე იგი, არს ძველისა მოვაკანისა და ელისენისა, ვერზვიანთ ზევანით გამოივრის მდინარის ჩასართავამდე, ალაზანსა და სანატრელმან ექვთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოსსა და ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვარსა კირილე დონაურს...“ (კ. კეკელიძე. ეტიუდები, II, 1945, გვ. 314).

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა უკრცესი ტერიტორია დღევანდელ ჩრდილო აზერბაიჯანსა და დასავლეთ დაღესტანში, გაღმამოღმა კახეთის ჩათვლით.

გაღმა კახეთს, ანუ „გაღმა-მხარეს“ უწოდებდნენ ალაზნის იქით მდებარე ქართულ მიწა-წყალს, რომელსაც ამჟამად საინგილო ჰქვია, ხოლო გაღმამ კახეთი ეწოდებოდა ამჟამინდელი საქართველოს საზღვრებში შემავალ კახეთს. ზემოაღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საქართველოს პატრიარქს მოუვლია დღევანდელ აზერბაიჯანში მდებარე შემდეგი პუნქტები და მხარეები: ანწუხი, წახური, კაკ-ელისენი, ბელაქანი, შაქ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხან-მამრეთი, კასრი, ყუბი, ლექართი, ზარი, განუხი, ქიშნუხი, ბარდაშენი, არა მხოლოდ თანამედროვე აზერბაიჯანის მთისწინეთი, არამედ დაბლობიც, ე. ი. ძველი მოვაკანი, შაქი, რანი, შირვანი. ამ მიწებს გააჩნდათ ძველ ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი – „ყოველი ვაკე“. დასავლეთ დაღესტანში ჩვენმა პატრიარქმა მოვლო ზუნქეთისა და ნახჩეთის ვრცელი ტერიტორიები. ყველა ისინი საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ცნობილი სომეხი ისტორიკოსის, მოვსეს ხორენაცის ცნობა იმის შესახებ, თუ რომელი კუთხეები მოვლო და გაანათლა წმიდა მოციქულთასწორმა ნინომ. V ს. ისტორიკოსი წერს, რომ წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან მასქეთებამდე“. „მასქეთები“ იყო ისტორიულ ალბანეთში მცხოვრები ხალხი, რომელიც ბინადრობდა კასპიის ზღვის სიახლოვეს. წმიდა ნინოს მოუქცევია, ანუ ეკლესიის იურისდიქციაში შესულა დღევანდელი აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ გაღმა კახეთში ლექართის ეკლესია წმიდა ნინოს სახელობისა ყოფილა.

თუ ლაგოდეხიდან აზერბაიჯანისაკენ მიმავალ მთავარ გზას გავყვებით (ალბათ, ამ გზით გაიარა სანატრელმა ჩვენმა პატრიარქმა ექვთიმემ XIV ს-ში), პირველად



ბახთალა (ზაგემი)
ლევისმშობლის ეკლესია

მივალთ ქალაქ ბელაქანში, რომელიც ლავოდენიდან 18 კმ-ით არის დაშორებული. აქ, ბელაქანის წყალთან, VIII საუკუნეში, მას შემდეგ, რაც არაბთა იძულების გამო თავი შეაფარა კახეთის მთიანეთს, ააშენა თავისი სასახლე საქართველოს მეფემ, წმიდა არჩილმა. ეს მხარეები (დღევანდელი საინგილო და მისი მიმდებარე ვრცელი ტერიტორია მეფე არჩილის ერთგულებით გამოირჩეოდნენ. განუხში წმიდა არჩილის სახელობის ეკლესია მდგარა. ბელაქანიდან ზაქათალა 24 კმ-ითაა დაშორებული. მის სანახებში ძველად მდ. ზაგემის წყალთან მდებარეობდა კახეთის დედაქალაქი ზაგემი. აქ ისხდნენ კახეთის მეფეები. ზაგემის სამეფო სასახლეში მიიღო მეფე ალექსანდრემ რუსი ელჩები, რომელთაც აღწერეს, თუ როგორ დახოცეს ამ ქალაქში გამაჰმადიანებულმა უფლისწულმა კონსტანტინემ და მისმა მხლებლებმა მეფე ალექსანდრე, უფლისწული გიორგი, მარტყოფის ეპისკოპოსი რუსთველი, რჩეული ქართველი სახელმწიფო მოხელეები და დაჭრეს ალავერდელი მიტროპოლიტი (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, IV, 1967 წ., გვ. 334). უფრო მეტიც, ქალაქ ზაგემში იყო ზარაფხანა, სადაც იჭრებოდა მონეტები (იხ. ქსე, 4 სტ. „ზაგემის განძი“).

კახეთის ეს დედაქალაქი 1616 წელს კახეთში ლაშქრობის ჟამს განსაკუთრებული სისასტიკით ააოხრა შაჰ-აბასმა. ზაგემის ნაქალაქარი ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადიდან შეიღი კილომეტრითაა დაშორებული. ზაგემის მიმოხილვას საგანგებოდ დავეუთმეთ დიდი ადგილი, რათა კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ, რომ ამჟამინდელი საინგილო ძირძველი კახეთია, აქ, ახლანდელ საინგილოში, მდებარეობდა კახეთის ძველი დედაქალაქი (შემდეგ ის გადაიტანეს გრემსა და თელავში). აქ იყო კახეთის სამეფოს ყველაზე ნაყოფიერი მიწა-წყალი – ბაღებით, ვენახებითა და კაკლის ხის ტყეებით. მისი მკვიდრი მოსახლეობა (ინგილოები) ძველი კახელები არიან. ამ საკითხს ქვემოთაც შევეხებით. შაჰ-აბასის დროს, როცა საინგილო მოწყვეტიეს საქართველოს, იქ კახელები ცხოვრობდნენ. საერთოდ, იმ დროს საინგილოს „გაღმა კახეთი“ ეწოდებოდა.

თანამედროვე ზაქათალის რაიონში ძველად მდებარეობდა ცნობილი ელისენი, ჭარი, ფიფინეთი. აქ სოფელ ლექართში მოქმედებდა მოციქულთასწორ წმიდა ნინოს ტაძარი XIV ს-ში. აღსანიშნავია, რომ ჩვენი წინაპრები წმიდა ანდრიასა და წმიდა ნინოს ტაძრებს აგებდნენ იმ ადგილებში, სადაც მათი თვალსაზრისით, ქართველთა ამ განმანათლებლებმა იქადაგეს (ცხადია, არსებობდა გამონაკლისიც: წმიდა ნინოს ტაძრის არსებობა გაღმა კახეთში (საინგილოში) იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ წმიდანმა აქ „კლარჯეთიდან მასქეთებისაკენ“ (როგორც მ. ზორენაცი ამბობს) მგზავრობის დროს გაიარა).

ცნობილი დაბა კახი ზაქათალიდან 30 კმ-ითაა დაშორებული. საინგილოში ამ ტოპონიმის (კახი) არსებობაც, ალბათ, შემომოყვანილი აზრის სისწორეზე მიუთითებს. საინგილოს მიწა-წყალი ისტორიული კახეთია, ხოლო მკვიდრი მოსახლეობა – კახელები. აქ ამჟამადაც ქართველები (ინგილოები) სახლობენ.

ქართველთა ეთნიკური განსახლების საზღვარი ამ მიმართულებით ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობის დროს

(XI-XV სს-ში) აღწევდა ცნობილ ქალაქ შემახამდე (ახლა შამახა ეწოდება). აქ მოსახლეობა მართლმადიდებლური იყო და ეკლესიურად ქართველ პატრიარქს ექვემდებარებოდა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადიოდა შემახასთან – მდინარე თეთრ წყალზე (ეს მდინარე მტკვარს დაახლოებით იქ უერთდება, სადაც მას არაქსის მარჯვენა შენაკადი ერთვის). ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ზემოთ აღნიშნულმა ქართველმა პატრიარქმა ვარდაშენში ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი მოილოცა.

ვარდაშენთან ახლოსაა დასახლებული პუნქტი „ვარდანლი“. ეს უნდა იყოს ძველი ქართული სოფელი ვარდანი, სადაც წმიდა ჰაბოს ტაძარი იდგა. კახთან ახლოს იყო ცნობილი ქურმუხის ტაძარი, სადაც სამღვდელთმთავრო ტახტი ედგა ქურმუხელ მთავარეპისკოპოსს, რომელსაც „ყოვლი მთიულეთისა წინამძღვარი“ ეწოდებოდა.

„მთიულეთი“ ანუ „კახეთის მთიულეთი“ ერქვა დღევანდელი დაღესტნის დასავლეთ ნაწილს, რომელიც კახეთის სამეფოში შედიოდა. ისტორიულად საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციას განეკუთვნებოდა დასავლეთ დაღესტან-ხუნძთა და ნახჩთა მხარეები. ხუნძეთს ქართული წყაროები უწოდებენ თანამედროვე ავრეთს. ხუნძახსა და მის შემოგარენში აღმოჩენილ იქნა ქართული ქრისტიანული დამწერლობის ძეგლები, რაც გვიჩვენებს, რომ აქაურ ეკლესიებში ქართულენოვანი ღვთისმსახურება იყო გავრცელებული. დაღესტანში რამდენიმე საეპისკოპოსო არსებობდა. 1310 წელს მაღალაშვილისეული სახარების წერილობითი მონაცემები გვიდასტურებენ, რომ გიორგი ბრწყინვალის დროს დაღესტანში არსებობდა ანწუხისა და წახურის საეპისკოპოსოები, ხოლო წუქეთისა და შაკიხის მრევლი საინგილოში ელისენის ეპისკოპოსის სამწყსო იყო. ამ ეპისკოპოსს, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რეზიდენცია გიშში (მდ. გიშისწყალთან) ჰქონდა.

უფრო მეტიც, თვით შუა დაღესტანში, ხუნძახში, ივღა „უნძელი კათალიკოსი



ქურმუხისკენ მიმავალ ბილიკზე.
გიორგობა

ოქროპირი“, როგორც ამას უჩვენებს სინის მთის ქართული ხელნაწერი (ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., გვ. 224). დასავლეთი, ანუ „პირიქითა“ დაღესტანი ქართული ეკლესიის იურისდიქციას განეკუთვნებოდა. იქ მცხოვრებმა ქართველთა მონათესავე ტომებმა იცოდნენ ქართული ენა და დამწერლობა. თემურ-ლენგის ლაშქრობამდე, განათლებისა და კულტურის ენა აქ ქართული იყო. მაგრამ შემდგომ, ამ კოჭლი დესპოტის იძულების შედეგად დაღესტანში გავრცელება დაიწყო ისლამმა. ქართველური წარმოშობის ტომები თანდათან დაშორდნენ ქართულ წილს და მალე საქართველოს დაუძინებელ მტრებად გადაიქცნენ. საქართველოში დაიწყო „ლეკიანობა“.

საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ჩრდილოეთის საზღვრების შესახებ მიგვითითებს ზემოთმოყვანილი ამონაწერი „ქართლის ცხოვრების“ ჩანართიდან; საქართველოს საპატრიარქოს საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა ოსეთისა და ჩერქეზეთის ვრცლად გადაჭიმული მიწა-წყალი ჩეჩნეთისა და დაღესტნის ჩათვლით.

თარგამოსის ძის, კავკასოსის წილხვდრი ქეცნის აღწერის დროს ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, რომ იქაური მოსახლეობა „სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანნი და სამწყსონი ნიქოზისანი და უფრო მს ღუალნი“. („ქართლის ცხოვრება“ IV ტ. გვ. 638). დვალეთის გარდა, კავკასიაში

შედიოდა „ტურტუკი“, ანუ ტურტუკეთი. ეს ქვეყნები ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს შესულა ქართული ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებში (იქვე, გვ. 633), შემდეგ ტურტუკეთი გაყოფილა „ტურტუკად, ქისტად და ღლილვად“ (იქვე, გვ. 633). ე.ი. ჩრდილოეთის მიმართულებით საქართველოს საპატრიარქოს საზღვრებში ეს ქვეყნები შედიოდნენ. მართლაც, უახლესი სამეცნიერო გამოკვლევებით დასტურდება, რომ ჩენჩეთ-ინგუშეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში (დვალეთში) გამოშვერებულია და მეცნიერულად შესწავლილია ქრისტიანული არქიტექტურის, ქართული ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ძეგლები. საქართველოს საპატრიარქოს თურისდიქციას ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში გამოხატავს XI საუკუნის დამდგმ ტყობა-იერდას ტაძრის კედელზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკ I-ის მოხსენიება (მთავარეპისკოპოსი ანანია ვაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II, გვ. 984). საქართველოს საპატრიარქო, როგორც ცნობილია, შედგებოდა ორი უმთავრესი, ქართლისა და აფხაზეთის საკათოლიკოსოებისაგან. ზემოაღნიშნული იმერკავკასიის ქვეყნები შედიოდნენ ქართლის საკათოლიკოსოს დაქვემდებარებაში. თავის მხრივ, საქართველოს საპატრიარქოში, იგივე აფხაზეთის კათოლიკოსის გამგეობაში შედიოდა იმერკავკასიაში ვრცლად გადაჭიმული მიწა-წყალი დასავლეთ ჩერქეზეთიდან თანამედროვე ტუაფესა და ხერსონესამდე. ტუაფესს ძველად ნიკოფსია ეწოდებოდა, ხოლო ხერსონესს – კაფა. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. 1525-1550 წწ. ბიჭვინთის იადგარში ნათქვამია, რომ დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის „კათალიკოსის საკურთხე საშწყსო არის ლიზისა და კაფას შუა, რუსეთის საზღვარსა და ჭანეთს შუა“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 180). ყირიმის ნახევარკუნძულს კაფას ნახევარკუნძულსაც უწოდებდნენ. მას ჯერ კიდევ კარდინალი ბარონიუსი აკავშირებდა ქართულ ეკლესიასთან. ბარონიუსის აზრით, 100 წელს იმპერატორ ტრაიანეს მიერ ხერსონში (შემდეგ დროინდელ კაფაში)

გადასახლებულ პაპ წმ. კლემენტის კოლხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა გაუვრცელებია. ამის შესახებ მოუთითებს არქანჯელო ლამბერტიც (იქვე, გვ. 982). მართლაც, ხერსონის გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ქართული ტაძარი, რომლის ნაშთები გამოიკვლია კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-ემ. მან ამის შესახებ გამოაქვეყნა წერილი „ხერსონის ქართული მონასტერი“ (იქვე, გვ. 983).

დავუბრუნდეთ აღმოსავლეთის მიმართულებით ქართული ეკლესიის თურისდიქციის საზღვრებს. იგი ემთხვეოდა სახელმწიფო საზღვრებს და XI-XV სს-ში გადიოდა მდ. თეორ წყალზე ქ. შემახასთან ახლოს. XI საუკუნემდე ეს მხარეები ალბანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს შეადგენდნენ. ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა, რომ ალბანეთში მრავალი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობდა. ისინი 26 სხვადასხვა ენაზე მეტყველებდნენ. კავკასიური წარმოშობის ტომების გარდა ალბანეთი ძველთაგანვე დასახლებული იყო თურქული და სპარსული წარმოშობის ტომებით. ეს მაჩინათ ძირითად მიზეზად იმისა, რომ იქ ვერ ჩამოყალიბდა ერთი საერთო-სახალხო-სალიტერატურო ენა. ალბანეთს მტკვარი ორ ნაწილად ჰყოფდა. მის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრები ალბანელები არმენიზაციას განიცდიდნენ. იქ XI საუკუნის შემდეგ ეკლესიებში წირვა-ლოცვა არა ალბანურ, არამედ სომხურ ენაზე მიმდინარეობდა (მთავარეპისკოპოსი ანანია, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. I). აქაური ალბანელები თანდათან გასომხდნენ.

ალბანეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ე.ი. ჰერეთი, რანის ნაწილი, შაქი და საარიშანო დასახლებულნი იყვნენ იბერიული (ქართული) ტომებით; ჩვენი წყაროების მიხედვით, თარგამოსის მის ჰეროსისა და ქართლოსის მის კახოსის შთამომავლებით. როგორც ითქვა, ქართველთა ეთნიკური განსახლების საზღვარი მდინარე თეორ წყალმდე (შემახამდე) აღწევდა, ამიტომაც აქაურმა მოსახლეობამ XI საუკუნის შემდეგაც (როცა, შუა აზიიდან და ირანიდან შემოსულმა თურქ-სელჩუკებმა ალბანეთი დაიკავეს) შეინარჩუნა ქართული, ანუ მართლმადიდებლური სარწმუნოება.

კიდევ ერთხელ დაგუბრუნდეთ აღმოსავლეთ კახეთის, ანუ დღევანდელი საინგილოს მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკურ საკითხს. ამის შესახებ თავისებური შეხედულება აქვს ზოგიერთ აზერბაიჯანელ ისტორიკოსს. 1982 წელს ქ. ბაქოში დასტამბული წიგნის – „აზერბაიჯანის ისტორიული გეოგრაფიის“ თანახმად, აზერბაიჯანელთა უშუალო წინაპრები არიან ალბანელები, ხოლო ინგილოები – „გაქართველებული“ ალბანელებია. პერეთი ალბანეთის ნაწილად, ხოლო პერები ალბანელებად მიიჩნევა. ამ თეორიის თანახმად მათ ინგილოები „გაქართველებულ“, ყოფილ ალბანელებად სურთ წარმოადგინონ. მაგალითად, დ. ახუნდოვს მიაჩნია, რომ ლეკართის სამონასტრო კომპლექსი VII-VIII სს-ში აგებული ალბანური ძეგლია. ისტორიკოსი ა. კარანძელოვა გიშის ცნობილ საეპისკოპოსოს ალბანელთა მიერ დაარსებულად თვლის. „აქ წარმოიქმნენ პირველი ეკლესიები, მეტროპოლია და ცენტრი განათლებისა“ – წერს იგი წიგნში „კავკასიის ალბანეთის ქრისტიანული ძეგლები“. ეს მაშინ, როცა გიში წარმოადგენდა ქართველი გიშელი ეპისკოპოსის რეზიდენციას. ვახუშტის აზრით, იგი იყო „მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკისისა“, რომელსაც საქართველოს საეკლესიო იურარქიაში რიგით 35-ე ადგილი ეკავა. ცხადია, მას ქართულ საეკლესიო ერთობასთან ჰქონდა კავშირი.

საბედნიეროდ, ჩვენამდე მოღწეულია ვრცელი დოკუმენტური მასალა (ერეკლესა და სხვა მეფეთა დიპლომატიური მიმოწერა რუს ხელმწიფეთა კართან), რომლებითაც სავსებით ნათლად ჩანს, რომ XVIII-XIX სს-ში საინგილოს მკვიდრ მოსახლეობას (ინგილოებს) ეთნიკურ კახელებად მიიჩნევდნენ, როგორც ქართველი, ისე რუსი სახელმწიფო მოხელეები. ესაა ჭეშმარიტება. ინგილოებს პერები მხოლოდ XX საუკუნეში, პოპულარულ გამოცემებსა და საჟურნალ-გაზეთო წერილებში ეწოდათ. ამჟამადაც სამეცნიერო გამოკვლევებში (მაგალითად, თ. პაპუაშვილის წიგნში „ჭარ-ბელაქანი“) საინგილო ძველ კახეთად, ინგილოები კი კახელებადაა წოდებული.

მართლაც, როგორ შეიძლება მათ პერები ეწოდოთ, როცა თანახმად ვახუშტისა, პერეთის სახელწოდება XV ს-ში გაქრა („ქართლის ცხოვრება“. ტ. IV, გვ.524), ის მიწა-წყალი კი, რომელსაც დღეს საინგილო ჰქვია, XVII საუკუნეში ჩამოაშორა შაჰ-აბასმა კახეთს. შაჰმა მოსახლეობა აპყარა და ირანში გადაასახლა. ესენი იყვნენ დღევანდელი ინგილოების წინაპრები.

სხვა საკითხია, რომ, შესაძლოა ამ ქვეყანას, ანუ აღმოსავლეთ კახეთს ერთ დროს (XV ს-მდე) ეწოდებოდა პერეთი. პერები ქართველური ტომი იყო. აზერბაიჯანელების უშუალო წინაპრებად კი უნდა ჩაითვალოს თურქ-სელჯუკური ტომები თავიანთი თურქული ენით. ალბანელთა ენა იბერიულ-კავკასიური იყო და ახლოს იდგა ქართველურ ენებთან. ყოველ შემთხვევაში, შაჰ-აბასის შემოსევების დროს სიტყვა „პერი“ არ არსებობდა და საინგილოს მოსახლეობას კახელები ეწოდებოდა, საინგილოს კი – კახეთის „გაღმა მხარე“ (საინგილო მას გვიან ეწოდა).

ისტორიულად აღმოსავლეთ კახეთს პერეთი აღარ ეწოდებოდა XV საუკუნიდან, ხოლო კახეთი ამ ქვეყანას ადრიდანვე ერქვა. ამას მიუთითებს ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში დაცული ცნობა, რომლითაც ცხადი ხდება, რომ ახლანდელი შაქის სანახებში მცხოვრებ მოსახლეობას („ნუხპატელთა“) „კახეთის მთიულები“ ეწოდებოდა. ვახტანგის ძემ „მეფემან დაჩი დაჰპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არ ინებეს და განდგა ყოველი ნუხპატელნი“ („ქართლის ცხოვრება“, I ტ. გვ. 205). მაშასადამე, „ნუხპატელნი“, ანუ ნუხპატელნი (იხილეთ იქვე, ლექსიკონი, გვ. 415) კახეთის მთიულები არიან. მათი ქვეყანა კახეთში შედიოდა V-VI სს-ში. აღსანიშნავია, რომ „კახეთის მთიულები“ მარტო ფშავესურეთსა და მის აღმოსავლეთით მდებარე კუთხეებს კი არ ეწოდებოდა, არამედ დღევანდელი დაღესტნის დასავლეთ ნაწილსაც, მათ შორის დღევანდელ საინგილოს მთისწინეთსაც. ნუხპატელთა, ანუ კახეთის მთიულთა გაქრისტიანება შეძლო არჩილ მეფემ VIII ს-ში. არჩილს, რომელიც „ყოველი ქართლის“,

ანუ საქართველოს მეფე იყო, ერთ-ერთი რეზიდენცია დღევანდელ საინგილოში, ანუ კახეთში ჰქონდა. წყარო გვამცნობს: „ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუ-ასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოდა ვახტანგ მეფესა წუქეთი და იყო მაშინ, რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხოსრო და არა ინება მისგან წარღებად წუქეთი და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატის ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცის ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ ივინი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 243-244).

მასასადაჲ, მეფე არჩილის რეზიდენცია იყო კახეთში, კერძოდ კი წუქეთში (ესაა თანამედროვე საინგილოს აღმოსავლეთით). აქედან ის „კახეთის მთიულებს“ (ნუხპატელებს) ნათლავს (ნუხპატი, როგორც ითქვა, თანამედროვე საინგილოს აღმოსავლეთითაა).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ კახეთი ძველთაგანვე არა მხოლოდ საქართველოს ერთ კუთხეს ეწოდებოდა, არამედ მთიან მხარეს, რომელშიც შედიოდა საქართველოს მთიანეთი არაგვიდან ნუხპატამდე.

აღსანიშნავია, რომ საინგილო, ქართული წყაროების თანახმად, ძველთაგანვე ქართველებით იყო დასახლებული. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ქართლის მთიანეთის გაქრისტიანების ეპოქაში (V-VI სს) თუშეთში ჩასახლდნენ ფხოველები, ხოლო აღნიშნულ რეგიონში ქართლიდან გადასახლდა მთის ქართული ტომი „ყვარენი“.

საინგილოს ძველი მკვიდრი მოსახლეობა რომ კახელები (კახები) იყვნენ, ამის უარყოფა თვით აზერბაიჯანელმა მეცნიერებმაც ვერ შეძლეს, მაგრამ ისინი სხვა კუთხით მოუღვნენ ამ საკითხს. საინგილოს ძველ მოსახლეობას უწოდებენ „გახებს“ – კახებს, მაგრამ მიაჩნიათ, რომ „გახების“ ტომი იყო არა ქართული, არამედ „ალბანურ-თურქული“.

ჩვენ არ ვიცით, რა წყაროების საფუძველზე აცხადებენ XX ს-ის აზერბაიჯანელი ისტორიკოსები „გახებს“, ანუ კახებს თურქულ-ალბანური წარმოშობის ტომად, მაგრამ ჩვენს ხელთაა პირველხარისხოვანი ქართული წყაროები, რომლიდანაც ჩანს, რომ ქართული ეთნოსის ბირთვს სხვა ქართულ ტომებთან ერთად კახები წარმოადგენდნენ.

ჩვენს ძველ წყაროში ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის შესახებ ნათქვამია: „ხოლო შვიდთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩოს... მოკვდა ქართლოს... ცოლმან მისმან აღაშენა ღედა ციხე. მანვე აღაშენა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 8).

აქედან ჩანს, რომ ძველი ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე აკვირდებოდნენ საქართველოსა და კავკასიის ეთნიკურ სურათს, მიიჩნევენ, რომ კახელები, ანუ კახოსის („კახ“-ის) შთამომავლები არიან ქართლოსიანები, ქართლოსისაგან გამომდინარენი და წარმომავლობითი კავშირი არა აქვთ (ალბანელებთან). „გახების ანუ „კახების“ დაკავშირება თურქ-ალბანელებთან წარმოუდგენელია.

არასწორია ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მოსაზრება რუსთავსა და მის მიმდებარე მიწა-წყალს პერეთის ისტორიულ ნაწილად რომ მიიჩნევენ. ამის შესახებ ჩვენი ძველი წყარო, როგორც იყო აღნიშნული, განსხვავებული აზრისაა. რუსთავი პეროსმა კი არ ააშენა, არამედ ქართლოსის ცოლმა, ე.ი. ძველი ისტორიკოსები ამ ადგილს ქართველთა (ქართლოსის) სამკვიდრებელ ტერიტორიად მიიჩნევენ. ასევე გარდაბანი (ასე ეწოდებოდა ძალზე ვრცელ მხარეს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით) პეროსის სამკვიდრებელი კი არ იყო, არამედ ქართლოსის ძის გარდაბოსისა (ე.ი. ქართველთა ქვეყანა იყო). ასევე ვრცელი მხარე გაჩიანი, რომელიც პერეთში კი არ შედიოდა, არამედ „გაჩიოს“ (ქართლოსის ძეს) ეკუთვნოდა. არც კუნეთი და კახეთი არ იყო

ჰერეთის ნაწილი. მამასადამე, ზემოთ-ჩამოთვლილ მხარეთა მკვიდრნი, ანუ კახელები, კუხელები, გარდაბნელები, გაჩიანელები, მცხეთელები ქართველები იყვნენ. საზოგადოდ ქართველები და ჰერები ერთმანეთს ენათესავებოდნენ. ზოგჯერ ჰერეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ერთეული ძლიერდებოდა და თავის გავლენას ავრცელებდა აღნიშნულ მხარეებზე, მაგრამ ჩვენმა მემკვიდრეებმა იცოდნენ, რომ ზემოაღნიშნული მიწა-წყალი ქართველთა თავდაპირველი სამკვიდრებელი იყო. ზემოთმოყვანილიდან ჩანს, რომ არა მხოლოდ უბეგლეს დროს, არამედ XVII საუკუნეშიც, შაჰ-აბასის შემოსევების დროს, დღევანდელი საინგილო დასახლებული იყო კახელებით, საინგილოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი თ. პაპუაშვილი წერს: „ჭარ-ბელაქანი, მეორე პოლიტიკურ ერთეულ ელისუს სასულთანოსთან ერთად შეადგენდა კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს“ (თ. პაპუაშვილი. ჭარ-ბელაქანი, 1972 წ. გვ. 3). მეცნიერი წერს, თუ როგორ მოწყდა ეს კუთხე კახეთის სამეფოს, შემდგომ რა ეთნიკური პროცესები წარმართა აქ, რომ სპარსთა მიერ მიტაცებულ კახეთის ამ კუთხეში ჩამოსახლება დაიწყეს ლეკთა მთიელმა ტომებმა. მათ „ადგილობრივი კახელი გლეხები თავიანთ ყმებდა გაიხადეს. ყოველივე ამის შედეგად ეს კუთხე სრულებით ჩამოშორდა კახეთის სამეფოს (იქვე, გვ. 4). შემდეგ აღწერს, თუ „როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ლეკთა მიერ დამორჩილებული მკვიდრი კახელი გლეხები (ინგილოები)“ (იქვე, გვ. 4). მამასადამე, ინგილო სხვა არავინ არის, თუ არა „კახელი გლეხი“ – კახელი კაცი – საინგილო კახეთის ნაწილია. ცნობილი ისტორიკოსი ბუტკოვი ინგილოებს კახელებს უწოდებს. ის რუსთა ხელმწიფისადმი სათხოვარში წერს: „ცარ ირაკლი პროსილ ოტნიატია უ ზაალაზანისკის ლეზენ კახეტისკის მესტ, კოტორიე ონი ზანიმაიუტ“ (ბუტკოვ, მატერიალი, III, გვ. 119). ერეკლეს ალაზნის გაღმა (გარე კახეთის) მიწები „კახეთის მამულებად“ მაჩნდა და იქედან ლეკების განსადევნად იბრძოდა.

რა ბედი ეწია აღმოსავლეთ კახეთის, ანუ საინგილოს მოსახლეობას რუსთა მფლობელობის დამყარების შემდეგ? მოსალოდნელი იყო, რომ რუსები აღადგენდნენ საინგილოს ქართულ საეპისკოპოსოებს. ქართულ მოსახლეობას ქრისტიანობის აღდგენა სურდა და ამის სანაცვლოდ გარკვეულ პოლიტიკურ-სოციალურ დათმობას ელოდა. ელოდა სხვადასხვა უფლებებისა და მიწების მიღებას, მაგრამ რუსებმა არ ისურვეს ლეკებისა და მაჰმადიანების განაწილება, რადგან მყარად არ ჰქონდათ ფეხი მოკიდებული საინგილოში; დაღესტანი კი ჯერ კიდევ არ იყო დაპყრობილი. ამიტომაც მათ ქართული საეპისკოპოსოების აღდგენისა და მისი მრევლის გაქრისტიანების სანაცვლოდ მხარი დაუჭირეს ლეკების პოლიტიკურ საზოგადოებებს (ე. წ. „თოხუმებს“). შედეგმაც არ დააყოვნა. ქართველების გალეკების პროცესი გაგრძელდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოვლენების თითქმის თვითმხილველი ისტორიკოსი ივანენკო წერდა: „ბოკორენიე გრუზინ კ ნაჩალუ ნაშეგო ვლადირესტვა პოჩტი ვსე ოლეზგინოჩილის ი პერეშლი ვ ისლამ, ვესმა ნეოზოტნო პრინიმაია კ სეხე ნაშინ პროპოვედნიკოვ“ (ე. ივანენკო, „გრაფდანსკოე უბრაველენიე ზაკავკაზიემ“. „ო უტვერუდენიე რუსსკოგო ვლადირესტვა ნაკავკაზე“, ტ. XII, ტიფლისი, 1907, გვ. 173-174).

აქედან ჩანს, რომ საინგილოს მკვიდრი მოსახლეობა ქართულია, რომელმაც შექმნილი ვითარების გამო ისლამი მიიღო და გალეკდა არა მთლიანად, არამედ „თითქმის მთლიანად“. მამასადამე, XIX ს-ის დასაწყისში კვლავ იყო დარჩენილი ქართველთა გაულეკებელი ნაწილი. სწორედ მათ ვუწოდებთ ინგილოებს. მე ქართველების გალეკების შესახებ რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნე. იმედი მაქვს, გამოვაქვეყნებ მონოგრაფიასაც. ამიტომ აქ აღარ შევუდგები ქართველთა გალეკების პროცესის აღწერას. მაგრამ შეგანსენებთ ცნობილი ისტორიკოსის, დიმიტრი ბაქრაძის შენიშვნას საინგილოს მოსახლეობის შესახებ: „კახეტინცი, ბივშიე ვ ნაიბოლშიე ოპასნოსტი, სტალი დიჩაბ. ვ ნინ ისსიაკლო ჩუესტვო ლიუბვი კ როდინე.

მხოვ იზ ნიხ პრისტავალი კ ლეზინამ
ი სლუჟილი იმ ვ კარესტვე ბელადოვ“
("ზამეტკი ო ზაკატალსკომ ოკრუგე").

ო. პაპუაშვილის აზრით, კახელების
გალეკების მიზეზი იყო სოციალური
მდგომარეობა.

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნის დასაწყისში
საინგილოს მოსახლეობის ერთი
ნაწილი გალეკებული არ იყო და ძველებურად
„ქართველობდა“. მათ ძალით აღებინებდა
მაჰმადიანობას მმართველი ზედა ფენა.
რუსეთის ხელისუფლება შეეცადა
შეეჩერებინა ეს პროცესი. მეფისნაცვალ
ვორონცოვის დროს ხელიც კი შეუწყვეს
ქართველების ქრისტიანული ეკლესიის
წიაღში დაბრუნებას. ამან სასტიკად
აღაშფოთა საინგილოს მუსულმანური ზედა
ფენა. ის აუჯანყდა რუსულ ხელისუფლებას
და ქართველთა გამაჰმადიანების პროცესი
კვლავ გაგრძელდა. ამჟამად „ქართველად“
თავის თავს თვლის საინგილოს მკვიდრი
მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც შეძლო
ქრისტიანობის შენარჩუნება და მრევლია
დედა ქართული ეკლესიისა. მეორე ნაწილი,
შედარებით ახლად გამაჰმადიანებული (XIX
ს. II ნახევრის შემდეგ) „აზერბაიჯანელად“
არის ჩაწერილი. მესამე ნაწილი, რომელიც

XIX საუკუნეზე გამაჰმადიანდა, „ლეკად“
ითვლება. არის აგრეთვე, ერთი ნაწილი
მკვიდრი მოსახლეობისა, რომელსაც
„სომეხს“ უწოდებენ. ისინი არიან ის
ქართველები, რომლებმაც XVII-XVIII სს-
ში შექმნილი პოლიტიკურ-სოციალური
ვითარების გამო თავის გადარჩენისა და
ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით
გრიგორიანობა მიიღეს. ამ ახლადგამაჰმა-
დიანებულებს (ე. წ. „აზერბაიჯანელებს“)
და აგრეთვე „სომეხს“ ქართული ეროვნული
თვითშემეცნება თითქმის შენარჩუნებული
აქვთ; ხოლო ქართული წარმოშობის
„ლეკებს“ შორის ქართული ენის მცოდნეთაც
იპოვით. ქართველთა დენაციონალიზაციის
მიზეზს წარმოადგენდა კავშირის გაწყვეტა
დედა ქართულ ეკლესიასთან. „ქართველობა“,
ეროვნული თვითშემეცნება მხოლოდ ჩვენმა
მრევლმა შეინარჩუნა; უცხო ეკლესიების
სამრევლოში გადასული ქართველები კი
ეროვნულად გადაგვარდნენ და სულიერადაც
დაიკარგნენ.

ამიტომ ვაფრთხილებთ დღევანდელ
ქართველობას, არ დაკარგონ კავშირი ჩვენს
ეროვნულ ეკლესიასთან, არ მიიღონ სხვათა
სარწმუნოება, არ გადაიქცნენ სხვა
ეკლესიების მრევლად.

ტყვეთა განმათავისუფლებელო, და
გლანაკთა ხელის აღმპყრობელო,
სნეულთა მკურნალო, და მეფეთა უძლეველო,
წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო.
დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა
ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

ინგილო ბავშვები


იქნებ მათ შორის მერხზე ჩუმად ზის ოპიზარი,
ან ვერ ისვენებს რუსთაველი, მზის მოფიცარი,
იქნებ ამ ბიჭმა გააცოცხლოს რაღაც განგებით
ინგილოების დაკარგული ძველი ჰანგები.
იქნებ... ვინ იცის, განა თვალი წინასწარ ხედავს...
მაგრამ ერთი სწამს და ახარებს ინგილო დედას,
რომ დღე და ღამე ფხიზლად უსმენს მამულის ძახილს
ქურმუხის ხევში გარინდული სოფელი კახიც.

ხუტა ბერულავა



ინგილო ბავშვები

საინგილოს ტაძრები



საინგილოს ტაძრების უმეტესი ნაწილი ნანგრევების სახითაა მოღწეული. მათ შესახებ არ არსებობს არავითარი ეპიგრაფიკული ხასიათის მასალა; არც ლიტერატურულ წყაროებშია ზუსტი ცნობები დაცული. გარეშე მტერთა განუწყვეტელი შემოსევების გამო მათი ნგრევა-აოხრება დაახლოებით ოთხი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ყველა ძველი რამდენჯერმე ყოფილა დაანგრეული და აღდგენილი. ამ დაანგრევა-აღდგენაში, ცხადია, ძნელია თარიღისა და აღრიხდელი სახის აღდგენა.

მაგრამ მოუხედავად ამისა, ამ ძეგლების ყოველი ფრაგმენტი თუ რელიეფიანი ცალკეული ქვაც კი, ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ენაზე მეტყველებს.

არაა შემონახული არც სამშენებლო წარწერები და არც საიმელო წყაროები. ერთადერთ სარწმუნო მასალას წარმოადგენს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ინვენტარი და გამოვლენილი მასალის ხუროთმოძღვრული ანალიზი.

ეს ძეგლები ძირითადად დაუთარილებელია. დაუთარილებელია „მადლის ეკლესია“, ანუ „ჩურქილისა“ (ბელაქნის რაიონი). იგი მცირე ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა, მერე მიშენებული სამრეკლოს ჩათვლით, სოფ. ბახთაღას „ღვთისმშობლის“ ეკლესია

(ზაქათალის რაიონი), „წმიდა გიორგის“ - ქურუმხის ტაძარი (კახის რაიონი), „პატარა ალავერდის ტაძარი“ კახისთავში, „გიშის ტაძარი“ - გუმბათოვანი მცირე ეკლესია სოფ. გიშში (ნუხის რაიონი) და სხვა.

XVII-XIX საუკუნეების მანძილზე საინგილოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო ადგილობრივი ქართული მოსახლეობა გადატაკებისა და განადგურების პირამდე იყო მისული. ყოველივე ამან გზა გადაუღობა ხალხური შემოქმედების მძლავრ ნაკადს და, საერთოდაც, კულტურის ყველა დარგი შეაფერხა. თითქმის არაფერი შექმნილა ახალი ხალხურ ხუროთმოძღვრებაში, რომელიც თანდათანობით დაქვეითდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემოთ განხილული ძეგლები ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ფორმებისა და კონსტრუქციული სტრუქტურის შორეული ნიმუშების გამოორებაა, რომლებიც ეროვნულმა შინაგანმა ენერგიამ ინერციით საუკუნეების გრიგალში გამოატარა და დღემდე შემოუნახა ქართული მატერიალური კულტურის ისტორიას.

ცნობილია, რომ კახეთი და ჰერეთი ძველი საქართველოს ერთ მთლიან მხარეს წარმოადგენდა. ზოგჯერ ჰერეთი თითქმის მთელ კახეთს ეწოდებოდა. ხშირად კახეთი ჰერეთსაც შეიცავდა (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 37). ეს გარემოება კულტურის სფეროშიც აისახა. განსაკუთრებით იგი შეეტყო ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას, რის გამოც საინგილოსა და კახეთის ქრისტიანული ძეგლები ერთმანეთისადმი აშკარა მსგავსებას იჩენენ.

საინგილოსა და კახეთის ქრისტიანული მონუმენტური ძეგლების მსგავსება უპირველეს ყოვლისა, გეგმების გადაწყვეტასა და მოცულობით აღნაგობაში შეინიშნება; ხოლო მათი იდენტურობა,

ადგილობრივი მასალებისა და მათი შესატყვისი სამშენებლო ტექნიკის ერთგვარობით აიხსნება.

დღემდე მოღწეული ძეგლების ნაშთების მიხედვით ირკვევა, რომ ძველი საინგილოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა, როგორც ბაზილიკური, ისე ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობათა ტიპიური სახეები.

ბაზილიკური ტიპის ძეგლები თავის მხრივ ორი სახისა გვხვდება: მცირე მოცულობის ეკლესიებისა (საყდრების) და დიდი მოცულობის ტაძრების სახით. გვხვდება ცენტრალურ-გუმბათოვანი მონუმენტური ტაძრებიც, როგორც მცირე, ისე დიდი მოცულობისა.

ქრისტიანული ძეგლების გავრცელების არე მჭიდროდაა დაკავშირებული ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებასთან.

საინგილოს ტერიტორიაზე მრავალჯერ მოგზაურობამ გვიჩვენა, რომ მთის ზონა ბართან შედარებით უფრო მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ამაზე მეტყველებენ აქ ტყით დაბურულ მთის ფერდობებსა და ამაღლებულ ადგილებში უხვად მიმოფანტული მცირე მოცულობის ეკლესიების ნანგრევები.

მცირე მოცულობის ანალოგიური ეკლესიების ნაშთები მიმოხეულია, აგრეთვე კავკასიონის ქედის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე, რაც ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებას მოწმობს.

ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ კახეთ-ჭრეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების პერიოდიდან, ვიდრე XIII საუკუნემდე (მონგოლთა შემოსევამდე), ქართველთა და ლეკთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა ყოფილა დამკვიდრებული; „ლეკები თვით თემურ-ლენგის გამოჩენამდე ქრისტიანები იყვნენ და ქართულ ენას მათ შორის დიდი გასავალი ჰქონდა“ (კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში. ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945, გვ. 216).

ქართული კულტურისა და ქრისტიანული რელიგიის გავლენა XIV-XV საუკუნეების მანძილზეც იმდენად ძლიერი ყოფილა კავკასიაში, კერძოდ ლეკეთში, რომ ეკლესიებსა და მონასტრებში საღვთო სჯულის სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა.

ლეკეთის მხარე ქართული სასწავლებლებითა და ეკლესიებით ყოფილა მოყვნილი; დამწერლობაც, როგორც ირკვევა, ქართული ჰქონიათ. მისი კვალი დღესაც არ გამქრალა. ლეკეთის ქრისტიანული წრე საქართველოს პატრიარქს ექვემდებარებოდა. ამის საბუთს გვაძლევს მ. ჯანაშვილის მიერ აღმოჩენილი სახარება (ოთხთავი), რომელიც წვრილი ნუსხა-ხუცურით არის გადაწერილი 1310 წელს.

აღნიშნულ ოთხთავს შუაში ჰქონია სამი წარწერა, რომლებსაც მეცნიერები ოთხთავის „ანდერძს“ უწოდებენ; ეს „ანდერძი“ გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა 1895 წ.

ისტორიული წყაროებითა და მატერიალური კულტურის ნაშთებით მოწმდება, რომ ქრისტიანობა დაღესტანში, სახელდობრ, ლეკეთში საქართველოდან გავრცელდა. ამას ადასტურებს თეიმურაზ ბაგრატიონის (ბატონიშვილის) ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა, სადაც ვკითხულობთ, რომ „არიან ლეკთა შორის ძველად ნაშენი ეკლესიანი და მონასტერნი - რომელნიმე სრულიად თლილითა ქვითა ნაშენნი, გარნა აწ რომელნიმე დარღვეულნი და სხვანი უქმად, რომელნიმე მიზგითებად (მეჩეთებად) მათდა შეცვალულნი. თუმცაღა შემდგომად თემურ ლენგისა, მიიღეს მათ სჯული მუჰამედისასა და არღარა უტევებდეს თვის შორის სამღვდელთა გარნა მეფემან ალექსანდრე I (1414-1442 წწ.) განდევნა მუნით მოღანი არაბთანი და კვლავ მაგნა იგინი პირველსავე წესსა“ (ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა, ზ. ჭიჭინაძისა, თბილისი, 1895, გვ. 207).

დამოწმებული ამონაწერის ბოლოში მოხსენიებულ მეფეთა-მეფე ალექსანდრეს მეფობა სწორედ იმ პერიოდში მოუწია, როდესაც საჭირო იყო თემურ-ლენგის

მიერ დანგრეული და აოხრებული ქვეყნის აღდგენა-განახლება, დიდი მასშტაბის „აღმშენებლობის“ დაწყება.

ქვეყნის შიგნით დანგრეულ ტაძართა და საყდართა აღდგენა-აღშენებას შესდგომა ალექსანდრე მეფე მან კარგად იცოდა გაერთიანებული საქართველოსათვის რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მონღოლთა ნაოხრალი მეზობელი ადგილების განახლება-საც. როგორც ირკვევა, მან არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე მოჰკიდა ხელი დანგრეულ ნაგებობათა აღდგენას, არამედ ლეკეთშიაც აღადგინა მონგოლთა ბატონობის პერიოდში ნანგრევებად ქცეული ეკლესიები. მეჩეთებად გადაკეთებულ ტაძრებში ჩაყენებული მაჰმადიანები განდევნა, ადგილობრივი მოსახლეობა ისევ ქრისტეს სჯულზე მოაქცია, კვლავ გამოაცოცხლა ქრისტიანობა და ეს მხარე მამა-პაპათა ტრადიციულ ისტორიულ უფლებებს დაუმორჩილა.

დამოწმებული ისტორიული ცნობები იმჟამინდელი საქართველოს ძლიერებაზე, აოხრებული ქვეყნის მოღონიერებაზე, ქვეყნად მშვიდობასა და დაწყნარებულ ცხოვრებაზე მეტყველებს, მაგრამ საქართველოსთვის ეს ბედნიერება ხანგრძლივი არ გამოდგა.

ალექსანდრე მეფის სიცოცხლეშივე თავრიზის მეფის ჯეჰან-შაჰის სახით საქართველოს გაუჩნდა ახალი მტერი. ამ დროიდან მოკიდებული, ეს მტრობა XVII საუკუნემდე - შაჰ-აბასის დრომდე გაგრძელდა. შაჰ-აბასმა მოისყიდა დაღესტნის ტომები და მისი წაქეზებით ლეკებმა პირველად აღმართეს მახვილი საქართველოს წინააღმდეგ.

ამას ისიც დაემატა, რომ ქართლში ოსმალეთის ჯარი შემოიჭრა. ამ გარემოებაში კიდევ უფრო გაათამამა ლეკები. ისინი წინ მოუძღონ ოსმალებს „ოსმალომ რომ ჯარები შემოიყვანა საქართველოში; საქართველოს დასაპყრობლად, აი აქედან დაიწყო ოსმალ-ლეკებისაგან საქართველოს გაოხრება...“ (ალ. ჯამბაკურ-

ორბელიანი, დაღესტნიდან ლეკების გამო-სვლა და სხვა ამბები, ტფილისი, 1914, გვ. 1).

სპარსეთისა და ოსმალეთის განდევნის შემდეგაც ლეკების მტრობა საქართველოსადმი დიდხანს გაგრძელდა. ლეკების თარეში, განსაკუთრებით საინგილოს ტერიტორიაზე, მხოლოდ მაშინ შენელდა, როცა 1803 წელს რუსებმა ჭარი და ბელაქანი აიღეს.


საინგილოს ქრისტიანული ძეგლები, ზემოხსენებულ ქარცეცხლიან ეპოქებში შეუძუსრავთ, დროთა მსვლელობაში ქრისტიანობის აღდგენასთან ერთად ზოგიერთი მათგანი განუახლებათ კიდევ მაგრამ მცირე მოცულობის საყდარ-ეკლესიების უმეტეს ნაწილს ქრისტიანი ქართული მოსახლეობის მოსპობის შემდეგ არ ღირსებია განახლება. ეს მცირე ეკლესია-ტაძრები საუკუნეთა სიღრმეში ისე ჩაძირულან, რომ დღეს მათი ნაშთების მოკვლევა-კი ძნელდება. იმდროინდელ ნანგრევებად ქცეული ძეგლებიდან ზოგიერთი მაინც იძებნება - ფიფინეთის, მუხანის, კატეხის წყლისა და გიშის წყლის ხეობათა მიდამოებში.

საინგილოს ძეგლებიდან აღსანიშნავია ქრისტიანული არქიტექტურის ისეთი ნაგებობები, როგორიცაა: ლექართის, ყუმის, ქურმუხის, გიშის, პატარა ალავერდის, კასრის, მაღლის, ძეგამის ანუ ბახთალის, ძელიცხოველისა და კიდევ ზოგიერთი სხვა ტაძრები და საყდარ-ეკლესიები.

ლემქართის ტაძარი

ქ კახიდან ჩრდილო-დასავლეთით თორმეტი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს უძველესი ქართული სოფელი - ლექართი, „ანუ უწოდებენ ლეკები ლექეთ“.

გეოგრაფიული სახელი „ლექართი“ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვანაირადაა მოხსენიებული, ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ლექართი ანუ ლექეთი



სოფელ ალიბეგლოს წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია



ქოთოქლო. სამების ეკლესია

(მ. ჯანაშვილი, ზ. ედილი, ა. ჩხენკელი, მ. დუმბაძე და სხვ.).

სახელწოდება „ლექართი“ ქართული წარმოშობისაა. ამ სიტყვის ფუძეა ქართული სატომო სახელი „ქართ“. აქედან წარმოსდგება გეოგრაფიული სახელი - სა-ქართველო- ადგილი, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ქართველებით დასახლებული ქვეყანა, სადაც „სა“ არის წინსართი, რომლის სინონიმია მეგრულად „ლე“ (ლე-სა). ლე-ქართი (ლექართი) ქართველებით დასახლებული ადგილია, ისე როგორც ეს სამეგრელოს ზოგიერთი სოფლის სახელწოდებაშია მოცემული, ლეძაძამე, ლესიჭინე, ლეხანდრე, ლეზარდე და ა. შ. ლექართიც ამგვარი წარმოშობის სახელწოდება უნდა იყოს. წინსართი „ლე“ და სატომო სახელი „ქართი“ ერთ კომპოზიტივში გვაძლევს „ლექართს“, რომელსაც გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობა ჰქონია მინიჭებული.

საინტერესოა ვიცოდეთ, რა სახელით იხსენიებოდა აღნიშნული სოფელი და მისივე სახელწოდების ძველი ადრინდელი ისტორიულ წერილობით წყაროებში. ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული ზემოხსენებული „ოთხთავის“ ე. წ. „ანდერძში“, რომელიც დაწერილი ყოფილა 1310 წელს, ქურმუხის მთავარ-ეპისკოპოსის, კირილე დონაურის განკარგულებით. ზემოხსენებულ წერილობით ძეგლში დასახლებულია ძველი ჰერეთის ქრისტიანული ქართული სოფლების სახელებთან ერთად მათი საყდრები და ტაძრები - დაახლოებით ოცზე მეტი. ეს ტაძრები მოუხილავს საქართველოს პატრიარქს ექვთიმეს, ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობის შესამოწმებლად. ამის თაობაზე „ანდერძში“ ვკითხულობთ, რომ „სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექვთიმე- მოვლო საყდარნი“ და ა. შ. სულ ჩამოთვლილია ოცზე მეტი დასახლების სოფელი, მათ შორის ლექართი: „ლექართის“ მოხსენიება ძველ ქართულ სოფელთა შორის ამ დასახლებული ადგილის სიძველეს მოწმობს. აქვე უნდა

დავსძინოთ, რომ დაღესტნის ლეკები ამ სოფელს „გურჯების“ სოფელს უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს აქ მხოლოდ ჩამოსახლებული ლეკები მოსახლეობენ.

სოფელ ლექართიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთით), სამი კილომეტრის დაშორებით, კაკასიონის მთის ძირას, სამხრეთ დამრეც კალთებს შორის, ერთ-ერთ შედარებით დაკავებულ ადგილზე მდებარეობს ლექართის მონასტერი.

ამ ადგილებს დღევანდელი იქაური მუსლიმანური მოსახლეობა (ლეკები) „ქილისალარს“ ეძახის, რაც მათ ენაზე ეკლესიებს ნიშნავს.

ლექართის მონასტრის არქიტექტურული კომპლექსი ჯერჯერობით კარგად არ არის შესწავლილი, ნანგრევების მიხედვით ვარაუდობენ, რომ სხვადასხვა სახის სამონასტრო დანიშნულების ნაგებობათა შორის ათამდე თუ თორმეტამდე ეკლესია უნდა იყოს, რომელთა დათვალიერებას აძნელებს ბარდ-ეკლებში ჩახვეული ტყე-ჯაგნარის მჭიდრო საფარველი. „მოცე საუკუნის დამდეგამდე შემოუნახავთ ამ ეკლესიებს ძველი ბრწყინვალეების ნიშნები. „ჩუქურთმები, წარწერები, მხატვრობა“ რომლებიც დღეს უკვე არ შეიმჩნევიან“.

ლექართის მონასტრის ანსამბლი ძველად გალავნით ყოფილა შემოზღულდული, რომლის ფრაგმენტები და ნანგრევების ნაშთები დღემდე კიდევ არსებობს. ლექართის ნაგებობა თავისი სამონასტრო ცხოვრებით გელათის ანსამბლს მოგვაგონებს. იგი შუა საუკუნეებში, შეიძლება ითქვას, აღმოსავლეთ კახეთის სწავლა-განათლების უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. მონასტრის კომპლექსი მდებარეობის გამო ორ ჯგუფად იყოფა. მათ ადგილობრივი მოსახლეობა „ქვემო და ზემო ეკლესიებს“ უწოდებს.

ზემო ეკლესიების ნანგრევთა დათვალიერებისას ყურადღებას იქცევს „ერთი დიდი ტაძარი, რომელიც ყველაზე უძველეს და უკეთეს შენობად უნდა ჩაითვალოს. აგებულია ცუდად ნათალი კლდის



საბინი. საქართველოს სამოხელე

ქვით; კარგად ნათალი ოთხკუთხა ქვით მხოლოდ კარები და ფანჯრებია ამოყვანილი. თვით ეკლესია ვკარადინი გეგმითაა აგებული და ადამიანს აკვირებს თავისი სიმაღლითა და სიდიდით“.

მეორე ტაძარი კი, რომელიც „ქვემო ეკლესიების ჯგუფს ეკუთვნის, წმიდა ნინოს სახელზე ყოფილა აგებული; ეს ცნობა მოცემულია XIII წლის წერილობით ძეგლში (ზემოხსენებული „ოთხთავის“ - ანდერძში), სადაც ლეკართის ტაძარი მოხსენიებულია, როგორც „წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოსის“.

ლეკართის წმიდა ნინოს ტაძარი უძველეს ძეგლთა იმ მცირერიცხოვან კატეგორიას ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთი უნიკალურობით სხვადასხვა დარგის მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღება დიდი ხანია მიიქციეს.

ლეკართის წმიდა ნინოს ტაძრის შესახებ პირველი ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ალ. ხანანაშვილმა გამოაქვეყნა. მან პირველად ეს ძეგლი მოიხილა 1892-1895 წლებში და ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ „ლეკართის ეკლესიის გუმბათი“ ჩამონგრეულია და მხოლოდ კედლებია დარჩენილი.

ყუმის ბაზილიკა

სოფელ ლეკართის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით რვა კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ძველი ქართული სოფელი ყუმი (კახის რ-ნი), სადაც უმეტესად ჯანაშვილები ცხოვრობდნენ, მაგრამ შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ მათი „ხსენებაც ამოვარდნილა“; ამჟამად აქ წახურიდან ჩამოსახლებული ლეკები არიან.

ყუმი ტყის დაბურული ხეობის ერთ-ერთი ტიპური სოფელია, ძველად აქ ქართულ მოსახლეობას სამი საყდარი ჰქონია, რომელთა ნანგრევებმა ჩვენ დრომდე მოაღწია. ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე დიდი ე. წ. „ყუმის ბაზილიკა“, შედარებით კარგად დაცული, სოფლის ცენტრშია.

იგი მდებარეობს მთის პატარა მდინარე ყუმის წყლის მარცხენა ნაპირზე დანარჩენი ორი მცირე ზომის ტაძრებს წარმოადგენს, რომელთა ნანგრევების ნაშთები სადღეისოდ არავითარ ინტერესს არ იწვევს.

ყუმის საყდარი საქართველოს პატრიარქის ექვთიმეს ისტორიულ მოგზაურობაში იხსენიება აქ ნათქვამია, რომ ყუმის საყდარი „ღვთისმშობლის“ სახელზე ყოფილა აგებული.

ინგილოები ყუმის საყდარს, „ყუმის დედა ღვთისას“ ეძახიან, ისტორიული პერეთის მკვლევარი დ. ჯანაშვილი ყუმის საყდარს „მარიამ დედა ღვთისას“ ეკლესიის სახელით იხსენიებს.

სოფელ ყუმის ღვთისმშობლის ტაძრის შესახებ პირველი ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ა. ხანანაშვილმა გამოაქვეყნა 1895 წ.

ყუმის დედა ღვთისას ტაძარი სამხავიან ბაზილიკას წარმოადგენს და გეგმის კომპოზიციითა და ხუროთმოძღვრულ-სივრცითი ფორმით ბოლნისისა და ვაზისუბნის ტაძრებს ენათესავება; შეიძლება ითქვას, რომ გეგმა ტაძრისა ზემოხსენებული ძეგლების გეგმის კომპოზიციის განმეორებას წარმოადგენს.

ყუმის ტაძარი, VI-VII სს. ქართული მონუმენტური არქიტექტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია.

ქურმუხის ტაძარი

ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძარი მდებარეობს რაიონული ცენტრის (კახის) სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან ორი კილომეტრის დაშორებით, ქურმუხის ხეობაში.

ტაძრისკენ მიმავალი მგზავრი ჯერ ქურმუხის ხევისაკენ მიმავალ გზას უნდა გაჰყვეს, რომელიც პირდაპირ მიადგება მდ. ქურმუხზე გადაბურულ ლითონის ხიდს. გზა მდ. ქურმუხის მარცხენა ნაპირზე, მთის კალთებზე მიემართება. რამდენიმე წუთიც და მგზავრის წინაშე მოულოდ-

ნელად გადაიშლება დიდებული სანახაობა
ბრწყინვალე ძეგლისა.

ტაძრის ადგილი შესანიშნავადაა შერჩე-
ული. ნაგებობის მოცულობა დიდი გემოვ-
ნებითაა შეხამებული ლანდშაფტთან.

ტაძარი ნაგებობისა და პეიზაჟის ურთიერთ-
შერწყმის განუმეორებელ ნიმუშს წარმო-
ადგენს. იგი ამაყად გადმოჰყურებს მთელს
არემარეს.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია,
რომ ქურმუხის ტაძარი მრავალჯერ
ყოფილა აოხრებული და დანგრეული
მტრების მიერ, მაგრამ ქართველ ხალხს
ასევე მრავალჯერვე აღუდგენია იგი.


ქურმუხის ტაძარი დანგრეული ყოფილა
ჯერ კიდევ 1884 წლამდე. როგორც
ირაკვევა, უკანასკნელად იგი დაახლოებით
75 წლის წინათ აღუდგენიათ. ამის
თაობაზე ისტორიამ საინტერესო ცნობები
შემოგვინახა „ახლანდელი ეკლესია აღდგე-
ნილია 1894 წელს. მასალა და ნახევარი
ფული ხალხმა მისცა ასაშენებლად, ნახე-
ვარი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზო-
გადოებამ. მშენიერი გუმბათოვანი ეკლე-
სიაა ხალხი დღესასწაულობს მის დღეობას
10 ნოემბერს“.

აღსანიშნავია, რომ ქურმუხის წმიდა
გიორგის ეკლესიას თავიანთი სცემდა არა
მარტო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობა,
არამედ არაქართველი მუსლიმანური მოსა-
ხლეობაც. ისინი ამ ადგილს წმიდათა-წმიდად
მიიჩნევდნენ ასეა დღესაც.

1968 წლის 10 აპრილს, ღამით, ძეგლის
მშენებება - კონუსური ფორმის მაღალი
გუმბათი სამწუხაროდ მთლიანად ჩამო-
ინგრა.

გუმბათის აღდგენაზე ზრუნვას ინგი-
ლოები იმთავითვე შეუდგნენ. როგორც
ირაკვევა, ისინი ჯერ თავიანთი სახსრებით
აპირებდნენ მის აღდგენას, მაგრამ შემდეგ
აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის შესვეურებმა
„აღადგინეს“.

„აღდგენილი“ გუმბათი იმდენად დაბალია,
რომ შორიდან იგი სრულიად არ
იკითხება (არც ჰგავს პირვანდელს),
რის გამოც ტაძარი ამჟამად შორიდან



ყუბი. ღვთისმშობლის ტაძრის ინტერიერის
საერთო ხედი VI-VII ს.ს

თავმორღვეულად (უგუმბათოდ), დასახიჩრე-
ბულად გამოიყურება.

იგი აგებულია ე.წ. - კარგარაკის
მთის ტყით დაფარულ კლდოვან თხემზე.
აქედან ალაზნის, ქურმუხის ბარაქიანი
ველ-მინდვრებისა და დაბურული ტყის
მასივების თვალწარმტაცი სანახაობა იშლება.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი
მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების
გადმოცემით, ეს ტაძარი წმიდა გიორგის
სახელობის ძველი საყდრის ადგილზეა
აგებული და სახელიც აქედან აქვს შემორ-
ჩენილი. როგორც ჩანს, ამ ხალხური
გადმოცემის ძირი შორეული წარსულიდან
მომდინარეობს.

წმიდა გიორგის ძველი საყდარი აგებული
ყოფილა უზარმაზარი სიდიდის ერთ მთლიან
ლოდზე.

ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ
ზ. ედილს დაუთვალეირებია აღნიშნული
ძველი საყდრის ნაშთები; როგორც
ირაკვევა, მაშინ კარგად ჩანდა ძველი
ნაგებობის კონტურის კვალი ამაზე მეტყვე-
ლებს მის მიერ მოცემული ცნობები

ზედილი წერს, ძველი საყდრის საძირკველი და კედლის ნანგრევები დღესაც მოჩანსო. ამჟამადაც გამოირჩევა დულაბში ჩაკარული რამდენიმე დიდი ზომის ქვა, რომელთაც ხალხური გადმოცემა რომ არ არსებობდეს, რა თქმა უნდა, ყურადღებას არავენ მიაქცევდა.

ქურმუხის ტაძრის ხუროთმოძღვრების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ხელშესახები მასალა არ მოიპოვება. ჯერეობით არც ერთ მკვლევარს არ უცდია ამ შესანიშნავი ძეგლის შესწავლა.

ქართულ მატთანეში იგი ცნობილია, როგორც მამათა მონასტერი. XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დამდეგს ქურმუხის მონასტერს ჰყოლია საქართველოს კათოლიკოსს დაქვემდებარებული მთავარეპისკოპოსი, რომლის განმგებლობაში შედიოდა, აგრეთვე, მთიულეთისა და დაღესტნის (წახურის) ეკლესიები.

ქურმუხის ტაძრის გარშემო ტყით დაფარულ ტერასებზე, სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელ შენობათა ნანგრევების ნაშთები შეინიშნება, მაგრამ ტყეს და ჯაგნარს ისე დაუფარავს ქეები, რომ მისგან გასუფთავების გარეშე, ცხადია, რაიმეს თქმა მათ შესახებ შეუძლებელია.

ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძარი შეიძლება XIII ს. დასასრულით და XIV ს. პირველი ნახევრით დათარიღდეს.

ქრისტიანობის გავრცელებამდე საქართველოში გაბატონებული იყო წარმართული სარწმუნოება. ცხადია, ამ სარწმუნოებას ექნებოდა თავისი სამლოცველო ნაგებობები ან კიდეც, ამ რელიგიის მქადაგებელთა, „წმიდა ტახტები“.

როგორც ირკვევა, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ხანაში წარმართული დანიშნულების სამლოცველოები, „კერპები“ და „წმიდა ტახტები“ რეკონსტრუქციას განიცდიდნენ, ან მათ ნანგრევებზე ქრისტიანული სამლოცველოები შენდებოდა.

შატბერდის ხელნაწერებში მოხსენიებულია, რომ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ხანაში ანგრევდნენ წარმართულ საღვთო

შენობებსა და მათ კერპებს; მოთხრობილია, აგრეთვე, მათ ნაცვლად ეკლესიათა „აღმშენების“ შესახებ („და დაღუწეს საკერპონი და აღაშენეს ეკლესიანი“).

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ზემოხსენებული ტერმინის „წმიდა ტახტის“ ნაცვლად ახალი სახელწოდება შემოიტანა ე. წ. „საყდარი“. ამრიგად, „ტახტი“ და „საყდარი“ ერთმანეთის სინონიმებად იხმარებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „საყდარი“ არის „ტახტი“, რომელიც შემდეგ საკრებულო ადგილსაც ეწოდებოდა და ამიტომ „საყდარი“ ეწოდა იმ ნაგებობასაც, რომელსაც დღევანდელი გაგებით ეკლესიის, ან ტაძრის სახელით ვიცნობთ. ამრიგად, ტერმინი „საყდარი“ შემდეგ „ეკლესიაში“ შეცვალა, რომელიც საბას განმარტებით „შესაკრებელს“ წარმოადგენს.

ბელაქის რაიონის ჩრდილოეთით ტყით დაფარულ მაღალი მთის კალთებზე დღემდე შემორჩენილია უძველეს ნაგებობათა გაურკვეველი ნაშთები.

XVII ს. დასაწყისამდე საქართველოში კულტურის ყველა დარგი ინტენსიურად ვითარდებოდა, მაგრამ შაჰ-აბასის შემოსევებმა იგი ძალზე შეაფერხა. მან გაანადგურა ხუროთმოძღვრული და სხვა ძეგლების უმეტესი ნაწილი. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ მცირე მოცულობის ეკლესია საყდრების ნანგრევთა ნაშთები და მათი კვალი საქართველოს არც ერთ მხარეში ისე უხვად არ იძებნება, როგორც საინგილოს ტერიტორიაზე. ეს განსაკუთრებით შეინიშნება მთის ზონის ტყით დაბურულ ადგილებში, რაც ამ ადგილების მჭიდრო დასახლებაზე მეტყველებს. ამ უბნებში თითქმის „ყოველ ნაბიჯზე“ შეიძლება წააწყდეს კაცი ეკლესიებისა და უძველეს ნამოსახლარ ადგილთა ნაშთებს.

მონუმენტურ არქიტექტურას, ცხადია, წინ უსწრებს მცირე მოცულობითი ფორმები, რისი ნათელი მაგალითიცაა საინგილოს პატარა-პატარა ეკლესიებით მოფენილი ტერიტორია.

თითოეულ ეკლესიას საკუთარი სახელწოდება ჰქონია, მაგრამ ამჟამად მათი დადგენა ფრიად ძნელი საქმეა. თითქმის შეუძლებელია ხსენებული ეკლესიების მიკვლევა და მათი მთელი სისრულით აღრიცხვა, რადგან უმეტესი ნაწილი ფიზიკურად განადგურებულია, ნაწილი კი ისეა საუკუნეების მანძილზე ჯაგნართა და ტყით დაფარული, რომ გასუფთავების გარეშე მათი ფიქსირება ვერ ხერხდება.

მაგრამ ისეთი ბედნიერი გამონაკლისებიც გვხვდება, როდესაც ზოგიერთი ეკლესიის სახელი არა თუ მოხსენიებულია წერილობით წყაროებში, არამედ, ადგილმდებარეობაც კია მითითებული. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ლ. ა. მაღალაშვილის „ოთხთავის“ წარწერა (№1 წ.), რომელშიაც მოცემულია მცირე მოცულობის ეკლესიათა სახელწოდებანი, როგორცაა კასრი სამებისა... ზარი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანი — წმიდისა ჰაბომისი, განუხი არჩილისი, გიშნუხი ღვთისმშობლისა, ვარდთაშენი ელიასი და სხვ.

ასევე დიდძალი მშენებლობა XIX საუკუნის დასასრულს დ. ჯანაშვილის მიერ შესწავლილი მცირე მოცულობის ეკლესიების სახელწოდებანი. როგორც ჩანს, იმხანად ზოგიერთი ეკლესიის სახელწოდება მივიწყებული და დაკარგული ვერ კიდევ არ ყოფილა.

დავიმოწმებთ რამდენიმე ცნობას, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევენ XIX ს. მიწურულში მცირე მოცულობის ეკლესიების მდგომარეობაზე. ამ პერიოდისათვის ცნობილი იყო შემდეგი სახელწოდების ეკლესია-საყდრები: მაღლის ეკლესია (ნურქილისა) დანგრეულია... სოფ. ვარდიანის ეკლესია... ყოველივე აოხრებულია, თვით ეკლესიაც სრულიად დანგრეულია... სოფ. ნამარნევის დასავლეთით არის პატარა ეკლესია... ნამარნევიდან ერთი კილომეტრის მანძილზე არის მშვენიერი ეკლესია, მთლად აგურით ნაშენი, დახურულია. მას დარბაზის ეკლესია ეწოდება ბელაქის


ახლოს არის ჭანდრის საყდარი - ლეკები უწოდებენ შიმშატ ქლისას. სოფ. ბაზართან (ბახთალა) არის ღვთისმშობლის ეკლესია, - დანგრეული. მისი ნანგრევებისაგან ლეკებს სახლი აუგიათ... სოფ. ზარნის თავში ერთ ალაგას, ერთად არის სამი ეკლესია, აქ მრავალი სენაკია დარღვეული. ჩანს, მონასტერი ყოფილა... სოფ. გიულუგი შესანიშნავი ეკლესიებით, მის პირდაპირ მთაზე მშვენიერს მოვაკებულ ალაგას აგებული ყოფილა დიდი, მშვენიერი ეკლესია თამარ მეფის სახელზე... სოფ. კახ ინგილოში წმიდა ბარბარეს საყდარი, სრულიად მოსპობილია... ლურჯი ეკლესია (დანგრეულია), პატარა ალავერდის ეკლესია სოფ. კაკის ბოლოს... და სხვ.

ზოგიერთი ამ ძეგლთაგანი ახლა სრულიად აღგვილია პირისაგან მიწისა, მაგრამ მათი ნანგრევები წმიდა ადგილებადაა მიჩნეული და შენარჩუნებული აქვს ის სახელი, რაც ამა თუ იმ ეკლესიას ჰქონდა. ამის მაგალითს წარმოადგენს წმიდა ბარბარეს ნასაყდრალი სოფ. კახინგილოში, სადაც აღარაა ნაგებობა. მხოლოდ საძირკვლის ქვები ყრია. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ძეგლის ნანგრევებია შემორჩენილი, მაგრამ მისი სახელი წერილობით წყაროებსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აღარ დარჩენილა.

მცირე მოცულობის ეკლესიები, როგორც პატარა ნაგებობები, მტერთა ურდობისთვის ადვილად დასანგრევი და ასაოხრებელი იყო; ამიტომაც ისინი პირველი მსხვერპლნი ხდებოდნენ; მრავალგზის დანგრეული და აღდგენილი ასეთი მცირე ფორმის სალოცავები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დღესაც საკმაოდ ბევრი შეიძლება მოიძებნოს საინგილოს ტერიტორიაზე.

ტყით მდიდარ ადგილებში ეკლესიების უმეტესი ნაწილი პირველ ხანებში ხისგან უნდა ყოფილიყო აგებული, რადგანაც ხე აქ ადვილად დასაშუშავებელ და ყველაზე ხელმისაწვდომ ადგილობრივ საშენ მასალად ითვლება. უძველეს ხის ეკლესიასა თუ ეკვდერს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია.

ქვეყნის აღორძინებისთანავე ცეცხლი-საგან განადგურებულ ხის ეკლესიებს ტრადიციულად იმავე ნახანძრალ ადგილზე აგებდნენ ხოლმე. ხის ეკლესიები თანდათან ქვისგან ნაგებმა ეკლესიებმა შეცვალეს. წესისამებრ, მათ ძველი სახელი რჩებოდათ.



გავეცნოთ ამ ტიპიურ, მცირე ფორმის ქრისტიანულ ძეგლებს, რომელთა ნაშთები ჯერჯერობით კვლავ არსებობენ საინგილოს მიწაზე.

ძელი-ცხოველი

მდ. მაწიმის წყლის ხეობაში სოფ. მაწიმის ქვემოთ, მდინარის მარცხენა ნაპირთან დაბურულ ტყეში დგას ერთი პატარა ქვითკირის ეკლესია, „სიპი“ ქვებისაგან აგებული. ადგილობრივი მოსახლეობა მას ძელი-ცხოველს უწოდებს.

ეს სახელწოდება ძელი-ცხოველი უძველესი დროიდან მომდინარეობს (IV-V სს.) იგი ისეთივე ეტიმოლოგიისა და შინაარსისა უნდა იყოს, როგორც „სვეტი-ცხოველი“. სვეტსა და ძელს აქ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, „ხოლო ტერმინი „ძელის ეკლესია“ შედარებით გვიან უნდა იყოს.

აღნიშნული ქვის ეკლესიის სახელწოდება ძელი-ცხოველი, ანუ ძელის ეკლესია, ეჭვს გარეშეა, მის ადგილზე ხისგან აგებულ ადრინდელ ეკლესიის არსებობაზე მეტყველებს. ზეპირი გადმოცემებიდანაც ირკვევა, რომ ძველად დღევანდელი ქვის ეკლესიის ადგილზე ხისგან აგებული ეკლესია მდგარა, რომელიც ალბათ, მტრის შემოსევის დროს დამწვარა.

ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ძელი-ცხოველის შემოგარენში 50-70 სმ სიღრმიდან მიწის თხრისას ყველგან ნახშირი და ნაცარი ამოდიოდა, რაც ნახანძრალი ადგილის არსებობაზე მოუთითებს.

ძელი-ცხოველის ეკლესიის ზუსტი თარიღის დადგენა მეტად გაძნელებულია, ვინაიდან თვით ძეგლზე ეპიგრაფიკის არავითარი ნიშანი არ მოიპოვება და არც მისი თავგადასავლის ისტორიას შემოუნახავს რაიმე ხელმოსაკიდი საბუთი. ასეთი ტიპის მცირე მოცულობის ეკლესიები საქართველოში გავრცელებული იყო ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარების დროიდან, ვიდრე XIX ს. მეორე ნახევრამდე.

სამშენებლო ტექნიკის მიხედვით ძელი-ცხოველის ეკლესიის თარიღად შეიძლება ვივარაუდოთ XIV-XV სს.

ხალხური გადმოცემით, უკანასკნელად ძელი-ცხოველი ადღენილ და განახლებულ იქნა ინგილოების მეორედ გაქრისტიანების პერიოდში, რაც XIX ს. პირველი ნახევრის მიწურულს ემთხვევა.

კასრის საყდარი

მდებარეობს კახში, მის დასავლეთით, საყარაულოს მთის თხემზე; გარშემო ტყე აკრავს, მას კასრის საყდრის მთის სახელითაც იცნობენ. ეს სახელი ეკლესიამ (და ადგილმა) მიიღო დღემდე შემორჩენილი „საყდრის ქვევრისაგან“, ანუ „საყდრის კასრისაგან“. ამ ქვევრში ინახებოდა კახის მოსახლეობისაგან შემოწორებული „საზღაპო ღვინო“, დღეს ეს ქვევრი უპატრონოდ არის მიტოვებული და ნახევრად ქვებით ამოვსებული“ (ზ. ედილი, საინგილო, 1947, გვ. 161).

საყდრის სამხრეთ აღმოსავლეთით დაფარდებულ ადგილას, დღესაც კარგად მოჩანს მიწისქვეშა ჩასასვლელი ქვის კიბის რამდენიმე საფეხური, რომელიც დიდი ხანია ჩაქცეულა და ჩახერგოლა ღორღითა და დიდი ქვებით.

XIX ს. მიწურულში იგი მოიხსენია საინგილოს პირველმა ქართველმა მკვლევარმა ალ. ხაჩანაშვილმა. მისი გადმოცემიდან ირკვევა, რომ მიწისქვეშა ჩასასვლელი ზემოდან თალით ყოფილა გადახურული.

კასრის საყდარი მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებში; ლ.ა. მაღალაშვილის ცნობილი სახარებისთვის მიწერილ „ანდერძში“, ირკვევა, რომ კასრის საყდარი წმიდა სამების სახელზე ყოფილა აგებული - „კასრი სამების“.

კასრის სამების საყდრის აშენების შესახებ ცნობა მოიპოვება ქართულ მატიაში. იგი აგებული ყოფილა საქართველოს მეფე არჩილის მიერ (VIII ს.). ჯუანშერის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ არჩილ მეფე „დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკაუსტისასა აღაშენა ციხე“. კასრის სამების საყდარი მრავალგზის აოხრებული და აღდგენილი ძეგლია. უკანასკნელად იგი 192 წ. საკუთარი სახსრებით აღუდგენია მღვდელ მიხეილ ყულოშვილს.

ალ. ხაჩანაშვილის გადმოცემით, კასრის სამების საყდარი აშენებულია თეთრი თლილი ქვისაგან, ხოლო ზ. ედილის აღნიშნული აქვს, რომ იგი აშენებულია კლდის ნამტვრევი ქვებისაგან. როგორც ჩანს, თლილი ქვის პერანგი, რომელსაც ალ. ხაჩანაშვილი შეესწრო, ზ. ედილის დროს (დაახლ. ნახევარი საუკუნის შემდეგ) აღარ ყოფილა დარჩენილი.

კასრის საყდრის უკანასკნელ განმარტებელს (მ. ყულოშვილი), იგი ადგილობრივი „ტინის“ ქვებისაგან აღუდგენია. აღდგენიდან მ. ყულოშვილმაც აღნიშნული ძეგლი საბოლოოდ დაარბიეს. მუსავატელებმა. მისგან დღეს მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ზ. ედილის ცნობა სწორედ ამ ნანგრევებში დარჩენილ „კლდის ნამტვრევ ქვაზე“ მიუთითებს.

ვაჩნაძიანთი მაღლის ეკლესია

მდებარეობს ბელაქნის მახლობლად, ლაგოდეხ-კახის მაგისტრალური გზის

მარჯვენა მხარეზე, დაახლოებით 5 კილომეტრის დაშორებით. ადგილობრივი მცხოვრებნი მას „ნურ-ქილისას“ ეძახიან. აღნიშნული ძეგლი 1518-1574 წლამდე კარგად ყოფილა შენახული. ამას ადასტურებს ლევან მეფის მეუღლის, - თინათინის მიერ შუამთის მონასტრისათვის გაცემული გუჯარი.

სამწუხაროდ, ეს ნახევრად დანგრეული ეკლესია დიდ ველზე უპატრონოდ დგას და ახლო-მახლო სოფლებიდან მორეკილი ნახირისა და მწყემსების სადგომად ქცეულა.

გეგმის კომპოზიცია და საშენი მასალა, რომლითაც იგია აგებული, აშკარად მიუთითებს მშენებლობის ორ პერიოდზე: პირველ პერიოდში აგებული უნდა იყოს თვით ეკლესია, მეორეში - სამრეკლო, წრიული მოხაზულობის აბსიდიანი ბაზილიკური ეკლესია აგებულია დიდი ზომის რიყის ქვებისაგან კირის ხსნარით. შემდგომში ეკლესიის კარიბჭის დასავლეთ კედელზე მიუშენებიათ აგურის სამრეკლო.

მაღლის ეკლესიას გალექებული ქართველები ახლაც თაყვანს სცემენ. მათი გულშემატკივრობით ეს ძეგლი დღემდე არსებობს. ამ ეკლესიას ძირითადად გალავნოვები პატრონობენ. ეს გალექებული ქართველები რევაზ ვაჩნაძის შთამომავალი არიან. როგორც ხალხური ზეპირი გადმოცემებიდან ირკვევა, სწორედ ამის გამო ეწოდება ამ მცირე ფორმის ქრისტიანულ ძეგლს ვაჩნაძიანთი მაღლის ეკლესია.

საყურადღებოა, რომ მაღლის ეკლესიის მსგავსი ძეგლების არსებობა დამოწმებულია აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა მხარეებში სახელდობრ, ისტორიული ტაოს მიწა-წყალზე. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იშხნის ტაძრის გვერდით მდებარე 1006 წელს აგებული ე.წ. „მცირე ეკლესია“.

მშენებლობის მეორე პერიოდს ეკუთვნის დასავლეთით მიშენებული სამრეკლო, რომელიც თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ქართული ხუროთმოძღვრების გვიანი პერიოდის დამახასიათებელი



მუშაბაშის ეკლესია

ტიპური სამრეკლოების განმეორებას წარმოადგენს სამრეკლოს პირველი სართულის გეგმის კვადრატული მოხაზულობა და მეორე სართულის გეგმის რვაწახნაგოვანი ტიპური ფანჩატურებისებრი გადაწყვეტა თავისი სიერცობრივი ფორმითა და კონსტრუქციული აგებულებით XII-XIII სს. უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო მადლის ეკლესიის მშენებლობის პირველი პერიოდი XI-XII სს მივანს არ უნდა სცილდებოდეს

პატარა ალავერდი

მდებარეობს კახში. ქართულ წყაროებში მოხსენიებულია კაკის სახელწოდებით, ძველ დროში კახი გვარებად ყოფილა დასახლებული. ეს ტრადიცია დღესაცაა შენარჩუნებული. ყოველ გვარს, ან რამდენიმეს ერთად თავისი საყდარი ჰქონია.

ძველ დროში კახში თორმეტი ეკლესია ყოფილა, რომელთა ნანგრევები ან ნასაყდრალი ადგილები დღესაც დაცულია.


თორმეტი ეკლესიიდან დღემდე შემორჩენილია მხოლოდ სამი - წმ გიორგის საყდარი „შუაგულ სოფელში“ (კახ ინგილოში), კასრის საყდარი საყარაულოს მთაზე რომლის შესახებ ზემოთ უკვე ვკვირდა საუბარი და „პატარა ალავერდის“ საყდარი კახის ბოლოში, თოფახში.

პატარა ალავერდის საყდარი ხალხური გადმოცემით, „შიდა კახეთის დიდი ალავერდის ძმაა“. ყოველი წლის 14 სექტემბერს (ძველი სტილით), ისე როგორც კახეთში, აქაც იმართება იგივე „დიდი ალავერდობა“, ე.წ. „ალავერდის ხატობა“ ანალოგიური წეს-ჩვეულებით.

პატარა ალავერდის გუმბათიანი ტაძარი აგებულია „ძველი უგუმბათობაზილიკური ეკლესიის ადგილზე XIX ს მიწურულში“. ეს იყო უკანასკნელი ტაძარი საინგილოს ტერიტორიაზე რომელიც აღდგენილ იქნა ხალხის მიერ საკუთარი სახსრებით (1888 წ.).

საინგილოში ყველაზე კარგად ეს „პატარა ალავერდი“ დღემდე შემონახული,

მაგრამ ამჟამად გუმბათის დაზიანების გამო ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია.



კახის ალავერდი. ამჟამად მასში გახსნილია აზარბაიჯანის ენობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

გიუმის საყდარი

მდებარეობს მდ. გიუმის წყლის ხეობაში - სოფ. გიუმში, რომელიც ისტორიულ ქ. ნუხიდან (შაქადან) 4 კილომეტრითაა დაშორებული.

სოფელი გიუმი მთის ტიპიური სოფელია, იგი გაშენებულია დიდ მალლობზე. ხოლო საყდარი სოფელ გიუმის აღმოსავლეთით ყველაზე ამაღლებულ ადგილზე მდებარეობს. იქიდან იშლება მდინარე გიუმისწყლის ხეობის თვალწარმტაცი ბუნების დიადი სანახაობა.

საყდარს გარშემო ქვის დიდი გალავანი ჰქონია შემოვლებული, ნანგრევთა ნაშთები დღესაც საკმაოდაა შემორჩენილი. საყდრისა და გალავნის შემოგარენში სხვადასხვა

დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები შეინიშნება.

ქართული საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ გიუმის საყდარი ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული. აღნიშნულ ცნობას ვიმოწმებთ ლ. მალაშვილის შემოხსენებული „ოთხთავის“ მინაწერიდან, სადაც კკითხულობთ „პატრიარქმან ჩუენმან ექუთიმე მოიხილა... და მოვლო გიუმ-ნუხს ღვთისმშობლისა...“ საყდარნი და სხვანი.

გიუმი მოხსენიებულია, აგრეთვე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ, რომელიც გადმოგვცემს, რომ 1117 წელს დავით აღმაშენებელმა „დაიპყრნა გრიგოლისძენი... და აილო ციხე გიუმი“.

ასევე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის სოფელ გიუმისა და მისი საყდრის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი: „გიუმი არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთაო წუქეთისა და ეკლესია დიდი, გუმბათიანი, და იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა...“ როგორც ჩანს, გიუმის ღვთისმშობლის საყდარი ვახუშტის მოხსენიებული აქვს გუმბათოვან დიდ ეკლესიად.

გიუმის საყდრის მთელი ნაგებობა და კარვისებური რვაწახნაგოვანი პირამიდული ფორმის გუმბათი დღემდე კარგადაა შემონახული.

როგორც ირკვევა, გიუმის საყდრის გუმბათი და ზოგიერთი სხვა ელემენტი უკანასკნელად აღდგენილ და გადაკეთებულ იქნა XIX ს. პირველ ნახევარში.

გიუმის ღვთისმშობლის ეკლესიის დათარიღება, რა თქმა უნდა, ძნელდება, იმის გამო, რომ ძეგლი რამდენჯერმე დანგრეული, აღდგენილი და გადაკეთებული.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, შესაძლებელია გარჩევა იმ ძლიერ დანგრეული უძველესი ეკლესიის ნაშთების, რომელიც XI ს. აუშენებიათ გ. ჩუბინაშვილი იქვე შენიშნავს, რომ ეს პატარა ეკლესია თავისი უტყვევი არქიტექტურით არ შეიძლება მივიღოთ ეპისკოპოსთა იმ კათედრად, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ VI საუკუნეში,

სახელდობრ, „გიშელთა“ კათედრად; ასევე მისი აზრით, ეკლესიის შესასვლელი (კარბჭე) გადაკეთებულია XIX საუკუნის შუა წლებში.

აღნიშნული ნაგებობის დასათარღებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ისტორიული პროცესები, რომლის მეოხებითაც ძველი პერიოდულად განიცდიდა ნგრევასა და აღდგენას. ძველის აგებისა და ნგრევა-განახლების პირველ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს VI-XI სს. ხოლო მეორე პერიოდს ვაკუთვნებთ XVII ს-დან ვიდრე XIX ს. მეორე ნახევრამდე.

ზეგამის ღვთისმშობლის ეკლესია

მდებარეობს სოფ. ბახთალაში, ყოფილი უძველესი ქალაქის, ზეგამის, იგივე ბაზრის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ზაქათალის რაიონი), რაიონული ცენტრიდან სამხრეთით 20-22 კილომეტრის დაშორებით, მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, „იქ, სადაც გაშენებული იყო ქალაქი ბაზარი“, იგივე ზეგამი - საინგილოს უძველესი სავაჭრო ცენტრი.

აღიღობრივი მოსახლეობა ამ ეკლესიას ხშირად ფაღღახლოს ტაძარსაც უწოდებდა - „იქეები ამ ეკლესიას ფერიფალას ეძახიან, რაც თამარის ციხეს ნიშნავს“.

სოფ. ბახთალას ღვთისმშობლის ეკლესია ძალაღებუბათოვან, მცირე მოცულობის ეკლესიების ჯგუფს ეკუთვნის. აგებულია კარგად გამოძწვარი ქართული აგურისაგან, კახეთის ამ სახის ხუროთმოძღვრული ძეგლებისათვის დამახასიათებელ ფაიდაზე ეკლესიის კედლები მდიდრულად ყოფილა მოხატული, მაგრამ დრომ და ხელყოფამ კედლის მხატვრობა გაანადგურა. საშინ-ლადა დასახინრებული ფრესკები - „თვა-ლები დანის წვერით აქვთ ამოჩიქნილი, მაგრამ მაინც ჩანს მირქმა ქრისტესი, მიძინება ღვთისმშობლისა“.

ნინოწმიდის ეკლესია

მდებარეობს სოფ. ალიბეგლოს (კახის რაიონი) სამხრეთ აღმოსავლეთით, სოფლის

ბოლოში, ე.წ. ძველ კალოს უბანში. იგი მრავალჯერ ყოფილა დანგრეული და აღდგენილი.

ხალხის მეხსიერებას შემორჩა საინ-ტერესო ცნობა, რომ ნინოწმიდა უკა-ნასკნელად განუახლებია სოფელს თავისი სახსრებით, საინგილოში ქრისტეანობის მეორედ აღდგენის პერიოდში (1850-55 წწ.).

ნინოწმიდის გუმბათი, სამრეკლო და ორქანობიანი კრამიტის სახურავი შეკე-თებულია 1930-32 წწ. მაშინ, როდესაც იგი პირველად გამოყენებულ იქნა საწყობად. სამეურნეო დანიშნულების მინიჭებამ ეს პატარა ეკლესია დანგრევისაგან იხსნა, იგი დღემდე კარგადაა შემონახული.

სოფლის ამ უბანში ეკლესიის ახლოს მოსახლეობენ ყიფიშვილები, რომლებსაც ძველ დროიდანვე მინდობილი ჰქონდათ ნინოწმიდის პატრონობა.

ყიფიშვილების წინაპრებს შიშინობის დროს დავალებული ჰქონდათ ეკლესიის განძეულობის გაზიზვნა (გადამალვა). ეს ტრადიცია ელიზბარ ყიფიშვილის სახლობას ჩვენს დრომდე გაუგრძელებია; ერთ კილო-ბანში ჩალაგებული ნინოწმიდის საეკლესიო ნივთები დღესაც ინახება მის ოჯახში - საცხოვრებელი სახლის აყაროში. მათ შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი ნივთები: თავმოძრვალეული ხის ჩარჩოში ჩასმული წმიდა ნინოს ორი ხატი (ხეზე 37X50); წმიდა ნინოს გამოსახულება შესრულებული ზეთის ფერებში, წმიდა გიორგის ხატი, რომელიც ჭელურ ნახელავს წარმოადგენს, დაზიანებული სახარება, ვერცხლის გრძელტარიანი საზედაშო კოვზი, ორი ვერცხლის ჯვარი და სხვ. ასეთია არასრული სია ნინოწმიდის საეკლესიო ნივთებისა, რომლებიც მოწი-წებისა და თაყვანისცემის ტრადიციას შემოუნახავს ჩვენს დრომდე.

მტერთა შემოსევის დროს, განსაკუთ-რებით შაჰ-აბასის თავდასხმების ხანაში, ტაძარ-საყდრებიდან საეკლესიო განძეუ-ლობის გაზიზვნის ტრადიციამ მოსახლე-ობასა და ცალკეულ ოჯახებში, არალეგა-ლური ქრისტეანული სამლოცველოების,

ანუ წმიდა ადგილების მოწყობამ საინგილოს ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის ნაწილი იხსნა ეროვნული გადაგვარებისაგან. ქრისტიანობამ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა.

ერთ-ერთი ასეთი არალეგალური საოჯახო სამლოცველოს არსებობის შესახებ ცნობა პირველად გამოაქვეყნა ალ. ხაზანაშვილმა. ეს სამლოცველო სოფ. კახ-ინგილოში (კაკში) ყოფილა გამართული ხუციშვილების ოჯახში, სადაც სხვა საეკლესიო ნივთებს შორის ინახება მეფე ვახტანგ VI-ის მიერ 1709 წ. თბილისში დასტამბული სახარება.

ვინ იცის, კიდევ რამდენი საინტერესო განძა საინგილოს ტაძრებიდან გამოტანილი და გადაძალული (ვაზიზნული), რომელთა გამოჩენას უნდა მოველოდეთ ტყით დაფარულ ნასახლარ ადგილებსა და გამოქვაბულებში, ან კიდევ ეწ. „წმიდა ადგილებში“.

კახის წმიდა ბიორბის ეკლესია

მდებარეობს სოფ. კახ-ინგილოს ცენტრში, პატარა მდ. კაკისწყლის მარცხენა ნაპირიდან 20-30 მეტრის დაშორებით. იგი კაკის წმიდა გიორგის სახელითაა ცნობილი.

- ხალხური წყაროებიდან ირკვევა, რომ ახლანდელი ეკლესია აგებულია წმიდა გიორგის ძველი საყდრის ადგილზე. ამ ეკლესიის გალავნის შიგნით - ეზოში დაახლოებით 40-50 წწ. წინათაც კი ეყარა წარწერებიანი დიდი ქვები; ხანდაზმული ინგილოები ირწმუნებიან, თურმე, ეს ქვები ძველი საყდრის ნანგრევებიდან გადარჩენილი ქვები იყო. მათივე გადმოცემით, ამ ქვებს ქრისტიანი მოსახლეობა თაყვანს სცემდა. დღესასწაულების დროს მათზე „წმიდა სანთელს“ ანთებდნენ და იქვე „თეთრსაც“ სწირავდნენ. ხსენებული ქვები ახლა არსად არ იძებნება, არაფერ იცის, რა ბედი ეწია მათ და სად გაქრნენ ისინი.

დღევანდელი ეკლესია (ძველი საყდრის ადგილზე) აგებულია, დაახლოებით XVIII ს. პირველ ნახევარში. იგი უკანასკნელად XIX ს. მიწურულში განაახლა ივან-ბაბა ბულულაშვილმა.

წმიდა გიორგის საყდარი ქვის მაღალი გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომლის ნაშთები დღესაც კარგად შეინიშნება. ჩვენს დრომდე მოაღწია, აგრეთვე, აღნიშნული საყდრის კომპლექსში შემავალმა უძველეს ნაგებობათა ზოგიერთმა ნაშთმა.


ძველი ნეგებობებიდან ყურადღებას იქცევს განცალკევებული სამსართულიანი სამრეკლო, რომელიც რამდენადმე გადაკეთებული და აღდგენილი სახით დღემდე შემონახული.

სამრეკლოს კოშკი აგებულია მდ. ქურმუხის ხევის რიყის დიდი ქვებისაგან, კირის ხსნარით, სადაც კამარებისა და გუმბათის სვეტების წყობაში გამოყენებულია, აგრეთვე, კვადრატული მოყვანილობის (22X22 სმ) აგური.

სამრეკლოს აღმოსავლეთ ფასადზე აგურისა და ქვის წყობის ჩაღრმავებით (ჩაჭრით) გამოსახულია საკმაოდ დიდი ზომის ჯვარი, რომელსაც თითქმის მთელი სართული აქვს დათმობილი.

ილია ადამია





საშუბარი ნეკრუსის ეპარქიის მმართველ, მიტროპოლიტ სერბისტან

შეკითხვა: – არც ისე დიდი ხანია, მაგრამ იმდენი დრო კი არის გასული, რომ შეიძლება ეს კითხვა მაინც დაესვათ... თქვენ საინგილოში იღვწით; უფრო კონკრეტულად, საინგილო თქვენი ეპარქიის ნაწილია. ცხადია, ეს ურთულესი რაიონია. ამ თვალსაზრისით, გქონდათ თუ არა თავიდან რაიმე უხერხულობა, და საერთოდ, რას იტყვით იქ ყოფნის პირველ პერიოდზე?

პასუხი: – მეხუთე წელია, რაც უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ნეკრუსის ეპარქიაში გადამიყვანეს. საინგილოც ჩემს ეპარქიაში აღმოჩნდა. თავდაპირველად, ყველაზე დიდი დაბრკოლება საინგილოში მისვლა-მოსვლა იყო. გაჩნდა საბაჟოები. მე კი ახალციხეში ვიყავი ჩაწერილი და იქ ჩასვლა პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ამ ვერეთწოდებულ „მოგზაურობაში“ დიდად დაგვეზმარა საქართველოს ელჩის მოადგილე აზერბაიჯანში, ბატონი მამუკა ბალავაძე, რომელმაც შეგვიმსუბუქა ფორმალური მხარე.

პირველი წირვა-ლოცვა ჩავატარეთ 1998 წელს 22-23 ნოემბერს. ეს იყო წმიდა გიორგის დღესასწაული კახის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში.

თვითონ აზერბაიჯანელებთან თბილი ურთიერთობა გვაქვს. მე კარგად ვიცნობ მათ ბუნებას – მამჩემს ბევრი აზერბაიჯანელი მეგობარი ჰყავდა და ენაც კარგად იცოდა. ისინი ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან სახლში.

აზერბაიჯანულმა მხარემ ყველა დანაპირები შეგვისრულა – კახის ეკლესიის თავზე დაგვაღმეინეს ახალი ვეჯარი, რომელიც ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ შემოგვწირა. გადმოგვცეს ეკლესიის ტერიტორიაზე არსებული ერთსართულიანი ძველი ნაგებობა – ყოფილი სამრევლო სკოლა, რომელიც სამღვდლო სახლად გადაკეთდა. ეკლესიის მოხატვის ნებაც დავგვრეთეს.

ჩვენი თხოვნა იყო, რელიგიურ ნიადაგზე არ გართულებულიყო ურთიერთობები ორ ერს შორის, რასაც იქაური ხელმძღვანელობა კეთილგანწყობით შეხვდა.

შეკითხვა: – რამდენი მოქმედი ეკლესიაა ამჟამად საინგილოში? რამდენია ძველი, აშენდა თუ არა ახალი? არსებობს თუ არა ეკლესიათა მშენებლობის პერსპექტივა? რას იტყვით მრევლზე?

პასუხი: – საინგილოში ერთი მოქმედი ქართული ეკლესიაა – XIX საუკუნის კახის წმ. გიორგის სახელობისა. ტაძარი კი ბევრია. მათ შორისაა წმიდა სამების ბაზილიკა

- V საუკუნისა (სოფ. ალათეძური - დიდი ბინა), წმიდა სამების კასრის ტაძარი (ამ ტაძრის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „და აღაშენა მეფემან არჩილ საყდარი სამებისა, ანუ კასრისა 718 წელს“.), ქურმუხის წმიდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარი - V-VI საუკუნეებისა. ლექართის წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი (ამჟამად დარჩენილია კედლების ნანგრევები)... ისტორიკოსების ცნობით, ეს კომპლექსი ანალოგიურია გელათის ტაძრისა. წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესიიდან შემორჩენილია გალავანი. X-XII საუკუნეებში უკვე იხსენიებენ ამ ტაძარს და იქ დაარსებულ გადაშერთა სკოლას, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ იასე ქიტიაშვილი. მის შთამომავლობას დღემდე აქვს შემონახული სიწმიდეები - ლოცვანი და სხვ.

XIX საუკუნეში რამდენიმე ტაძარი აშენდა: ალი-ბეგლოში (ქათმისხევში) - წმიდა ნინოს სახელობისა, ქოთოქლოში - წმიდა სამებისა, მეშაბაშში - მთავარანგელოზ მიქაელის სახელობისა. ამათ გარდა, კიდევ ბევრი ძველი ისტორიული ტაძარია საინგილოში. ახლა მიმდინარეობს ქურმუხის - ყოფილი საკათედრო ტაძრის რესტავრაცია. იგი აშენებულია მთის ფერდობზე, ქურმუხის ხეობაში.

ჯერჯერობით მხოლოდ სამ ეკლესიაში იყიდება სანთლები და ხატები. მამა ილარიონი (ჭაჭაშვილი) თვეში ერთხელ, სამშაბათობით ატარებს პარაკლისებს. ამ ეკლესიებში. ხოლო კახის მოქმედ ტაძარში წირვა-ლოცვებს ატარებს და მოლაწვრობს მამა დავითი (თოღუა). მიმდინარეობს მოქმედი ეკლესიის ტერიტორიის - გალავნის, ეზოს მოწესრიგება. იმატა მრევლმა - მატულობს მმარხველთა რიცხვი; მატერიალურად მათ უჭირთ, მაგრამ წირვა-ლოცვას ესწრებიან, ინათლებიან, ჯვარს იწერენ. დიდი ინტერესი აქვთ საღვთო ლიტურატურისადმი. ჩამოყალიბდა ვაჟ მგალობელთა გუნდი.

რაც შეეხება ახალი ეკლესიის მშენებლობას, ჯერჯერობით ეს ჭირს. მიზეზი ბევრია. არ არსებობს მატერიალური სახსრები. ვნახოთ... აღბათ, თანდათან ესეც განხორციელდება. უფალი დიდია.

2001 წელს განსაკუთრებით აღინიშნა აღდგომა. ყველა ნანგრევთან, თითოეულ ნაფუძვართან დიდი სიხარულით მიდიოდნენ ინგილოები. ეს აღბათ, ღვთის შეწევნა და სასულიერო პირთა თანადგომაა.

შეკითხვა: - საერთოდ, ეპარქიის ამ ნაწილში რა კეთდება. იმაზეც ვისაუბროთ, რა გაკეთდა.

პასუხი: - ყვარულში გახსნილია გიმნაზია. ჩვენ სურვილი გვაქვს, საინგილოდან ჩამოვიყვანოთ X-XI კლასის ბავშვები, რომლებიც შემდეგ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელებენ. გვინდა შევასწავლოთ მათ საფერშლო საქმე, უცხო ენები, კომპიუტერზე მუშაობა.

მიმდინარეობს ეკლესიის მოხატვა, რაშიც გვეხმარებიან და გვერდში გვიდგანან საელჩოს თანამშრომლები.

შეკითხვა: - „ქართლის ცხოვრებაში“ არსებობს რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, რომ დიდი ძნელებლობის ჟამს სამღვდელლო პირნი თვით მღვდელმთავარიც კი იარაღს აისხამდნენ ხოლმე. გავიხსენოთ, თუნდაც, ტბეთის ეპისკოპოსის მაგალითი, თქვენ რას იზამდით მსგავს შემთხვევაში? ღმერთმა არ ინებოს, მაგრამ თუ ამის აუცილებლობა შეიქნა.

პასუხი: - ღმერთს შევთხოვდი, დაენახებინა, რა ცოდვების გამო დაუშვა მან ეს განსაცდელი. შევეცდებოდი, მომეთმინა იგი მე და მთელ ერს. კონკრეტულ შემთხვევაში კი, რასაც უფალი ინებებს, - იმას გავაკეთებ.

- შეკითხვა: – როგორია ახალგაზრდობის სწრაფვა ეკლესიისაკენ? ადრე, კომუნისტურ პერიოდში, დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, ახალგაზრდები ეკლესიების აღდგენისათვის იღვწოდნენ. გავისხნით, თუნდაც წმიდა ნინოს ეკლესია აღიბეგლოსთან. ახლა რა მდგომარეობაა?
- პასუხი: – ღვთისა და მამულის სიყვარული საინგილოში განსაკუთრებით იგრძნობა. ლტოლვა ახალგაზრდობისა სიძველეებისა და სალოცავებისაკენ მუდამ იყო. 2001 და 2002 წლები. ეს იყო მაგალითი იმ სულიერი გამოღვიძებისა, რომელმაც მთელი საინგილო მოიცვა. ეს აღდგომა იყო საყოველთაო.
- შეკითხვა: – როგორია თქვენი გეგმები ამ რეგიონში? და საერთოდ, როგორია თქვენი, როგორც მღვდელმთავრის სიტყვა?
- შეკითხვა: – საინგილოში ყველაზე დიდ პრობლემად მიმაჩნია მოძღვრების ნაკლებობა. სასურველია ისეთი სასულიერო პირების გამოჩენა, რომლებიც მუდმივად იქ იქნებიან და იღვწებენ. ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ სწორი ლოცვა, რაც გააუმჯობესებს მათ, როგორც სულიერ, ისე მატერიალურ ცხოვრებას.
ღმერთმა დალოცოს საინგილოს ქართველობა. მე მათ ვუსურვებდი უმთავრესს, რასაც მართლმადიდებლობა ასწავლის – სულის უკვდავების გზის მოძებნას.

ესაუბრა ირინა რობიტაშვილი



დალოცვილი იყოს მისი

მეფა და ცა

საინგილოს ტკივილი, ისე როგორც ყველაში, ვისაც ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ბედი აწუხებდა და აწუხებს, ცხადია, ჩემძიც მუდამ დიდი იყო... მაგრამ რეალურად მასთან მიახლოება და მისთვის თუნდაც მცირეოდენი წვლილის გაღება მხოლოდ 1988 წელს მოვახერხე. სასულიერო განათლების მიღების შემდეგ, სულ მალე, მღვდლად მაკურთხეს და მისი უწმიდესობის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით იქ სამოღვაწეოდ განმარტეს... მე ეს, რა თქმა უნდა, უფლის ნებად მივიღე და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობით კახისაკენ გავემზადე. საინგილოში შესვლისთანავე, კაკლების გრძელ ხეივანში აღმოჩნდი... დალოცვილი, ოქროსფერი შემოდგომა იდგა საინგილოში და მზე თბილად და აღერ-სიანად ანათებდა...

სიხარულით შემეგებნენ კახშიც, ალიბეგლოშიც... ყველგან, საცა კი ქრისტიანული სული ვერ კიდევ ცოცხლობდა. მე კი არა, მღვდელს, მეოცე საუკუნის ოციანი წლების შემდეგ, პირველად რომ მივიღა მათთან. მთელი ხალხი ჩემს ირგვლივ მოგროვდა და ყველამ შესაძლო დახმარება აღმთქვა.

ცხადია, ეკლესიები ყველა გაუქმებული იყო... ზოგიც დანგრეული, იავარქნილი, განძარცვული...

მძიმე მდგომარეობა დაშვდა კახის წმიდა გიორგის ეკლესიაშიც, სადაც მე უნდა მეწირა. არ არსებობდა არც კანკელი, არც ხატები, არც არაფერი ეკლესიური. გახსნილი ჰქონდათ კლუბი და ორი ქიმიური საწყობი, რომელიც აგურის კვლებით იყო გადატანული. საკურთხევლის ადგილზე გამართული იყო სცენა, სადაც ეწყობოდა საღამოები და აჩვენებდნენ კინოფილმებს. მდგომარეობა სავალალო და გულსატკეპნი იყო, მაგრამ იმედით მავსებდა დიდი სწრაფვა სარწმუნოებისაკენ, რომელიც ხალხში

სუფევდა. ყველა — კაციც, ქალიც, ბავშვებიც მხარში ამომიდგნენ. გაკეთდა კანკელი, ტრაპეზი, მიცვალებულთა კუთხე... როცა ყოველივე მზად იყო, უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, კანკელისათვის ჩავაბრძანეთ დიდი ხატები მაცხოვრისა და დედა ღვთისმშობლისა. წამოგვემგვლა ძველთა დაცვა და შეაკეთეს ტაძარი.

კანკელის დადგმისთანავე დავიწყეთ წირვა-ლოცვა. არაფერი არ შემძლია შევადარო იმ წუთებს, როცა პირველად დაირეკა ეკლესიის ზარი... მთელი ხალხი სიხარულისაგან ტიროდა... იწერდნენ პირველად, უფალს ხსნასა და გადარჩენას შესთხოვდნენ... აღავლენდნენ სამადლობელ ლოცვებს. ეს დაუვიწყარი დღე იყო. ვმადლობ უფალს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს იმ დღეებისათვის... საერთოდ, იმ ყამისათვის, როცა მე იქ ვიყავი.

თანდათან შევექმენით მგალობელთა გუნდი... ბავშვებისაც და უფროსებისაც. ახლაც ჩამესმის და არ მტოვებენ ბავშვების ის მშვენიერი, ციური ხმები.

1989 წლის აპრილში აღდგომის წირვას უამრავი მლოცველი დაესწრო... სამასზე მეტი. ეს იყო პირველი სააღდგომო წირვა, დიდზე დიდი ხნის შემდეგ. იგი აღნიშნეს, როგორც ქართველმა ქრისტიანებმა, ისე მუსულმანებმა. უამრავი ადამიანი მოინათლა იმ დღეს.

ეს ერთადერთი მოქმედი ეკლესია იყო მთელს იმ მხარეში.

ადგილობრივი ხელისუფლებისაგან არავითარი წინააღმდეგობა არ გვქონია. ყოველივე წინასწარ იყო გარკვეული და მოწესრიგებული.

შემდეგ თანდათან დავიწყეთ სხვა სოფლებსა და ტაძრებში სიარული. გავასუფთავეთ ალათეზურის სამების ტაძარი...

პარაკლისი გადავიხადეთ ალიბეგლოს წმიდა ნინოს ტაძარში. იგი ჩემს ჩასვლამდე

გაუსუფთავებით და შეძლებისდაგვარად მოუწესრიგებით სოფლის ახალგაზრდებს. ყველაზე დიდ და სანუკვარ განძად მიაჩნდათ და მიაჩნიათ მათ ეს ტაძარი. ნინოობა იყო და ჩვენ ვაკურთხეთ იგი. ვივალობეთ, ჩავატარეთ ნათლობა...

პარაკლისებსა და პანაშვილებს ვინდიდით თითქმის ყველა სოფელში, ყველა ეკლესიის ნანგრევთან. ხალხს ეს ამშვიდებდა და ახარებდა.

თითქმის არავინ მოუნათლავი არ დარჩენილა. ინათლებოდნენ ღრმა მოხუცებიც.

შეძლებისდაგვარად, მართალია, არა პროფესიულად, მაგრამ მაინც... სამახსოვრო ფოტოსურათებსაც ვიღებდი. დღემდე მაქვს იმ სურათების ალბომი.

სულ წელიწადნახევარი ვიყავი... ეს დრო ძალიან ცოტაცაა და ძალიან ბევრიც. შემდეგ იქ უკვე სხვებიც ჩავიდნენ. უმეტესად იქაურები. მათაც იღვაწეს... ყველამ ის გავაკეთა, რაც შესძლო... ყველას უყვარს საინგილო და ინგილო ქართველები. ჩემს დროსაც, დროდადრო თბილისიდანაც ჩამოდიოდა სამღვდელოება. ხვდებოდნენ ხალხს... ესაუბრებოდნენ, მონაწილეობდნენ ჩვენს ერთობლივ ღონისძიებებში... ხალხს ეს ძალიან მოსწონდა.

ისტორიულად, ადრე ძალიან ბევრი ხატი და საეკლესიო სიწმიდე ინახებოდა საინგილოში... ბევრი გადმოცემა არსებობს მათზე. ვცადე მათი მოძიებაც... ზოგი რამ ახლაც არის ხალხში, მაგრამ ძირითადად

ყველაფერი დაიტაცეს და გაანადგურეს... მტერი ბევრი ჰყავდა ამ კუთხეს და ეკლესიის ნაფუძარზე ქვას ქვაზე არ სტოვებდნენ.

ზემოთაც ვთქვი, ხშირად დავდიოდი თქვა ეკლესიებში... მასსოვს ერთგან – კერძოდ ქოთოქლოში (კახის რაიონია) ეკლესიის ზარი სკოლაში ჰქონდათ წაღებული, ტაძარში კი შრომის გაკვეთილები ტარდებოდა.

ჩვენ ტაძარი გავწმინდეთ, გავაკეთეთ კანკელი, ზარიც დავაბრუნეთ, ფარდებიც დავკიდეთ და რამდენჯერმე ვწირეთ. ბოლოს და ბოლოს გაიღო ქოთოქლოს ეკლესიის კარი... საგულისხმოა, რომ კანკელის დამზადებაში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას. თითონ აკეთებდნენ. იშვიათად მინახავს ისეთი უშუალობა და გულის სიწმიდე, საინგილოში რომ ვნახე. ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან დროდ მიმაჩნია ის წელიწადნახევარი, იქ რომ ვიყავი. ბედნიერად ვთვლი თავს, მცირე, მაგრამ რაღაც მაინც რომ გავაკეთე იმ კუთხისათვის.

უფალმა დალოცოს მისი მიწა და ცა... დიდ, ერთობილ საქართველოზე მლოცველი და მონატრული

მამა დიმიტრი სუხიტაშვილი

კახის წმიდა გიორგის ეკლესიის პირველი მოძღვარი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში



საინგილოს ზარები

საინგილოში ამოქმედდა ქართული ეკლესია

საინგილოს ზარი რეკავს,
ამაღლების ღება წამი.
დიდმა მტრებმა იწყეს ღრეკა
შენი ნებით,

ღმერთო,
— ამინ!

აელვარდა საყდრის კართან
ანგელოზის ცრემლი — ნამი.
ღვთისმშობელო, შენი კალთა
კვლავ ფარავდეს

მამულს,
ამინ!

ჯვარს, ალავერდს, გელათს, ილორს
სიხარულის უდგას ჟამი.
ნუ მოაკლებ საქართველოს
შენს წყალობას,

ღმერთო,
— ამინ!

ნოდარ ჯალაღონია



საინგილო.
მამა დიმიტრი სუხიტაშვილის
ფოტოარქივიდან






საინგილო

მამა ღიმიტრი მრეკლთან



ხალხის ხსოვნაში შენახული წარსული, მისი მოამაგენი

მოსე ჯანაშვილი



მთაწმინდის პანთეონში, იქ, სადაც ჩვენი ერის რჩეული შვილები განისვენებენ, არის ერთი საფლავი. ქვაზე წარწერა გვამცნობს, რომ აქ მარხია მოსე ჯანაშვილი. დაბადებული 1855 წელს, გარდაცვლილი 1934-ში. ინგილო ქართველთაგან, მათი ტკივილისა და მოუშუმარი იარის თანაზიარობის ნიშნად აიტანა ქართველმა საზოგადოებამ მისი ნეშტი მთაწმინდაზე.

მოსე ჯანაშვილი გახლდათ ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი, ლიტერატორი, პედაგოგი, ნუმიზმატი, ენათმეცნიერი, არქეოლოგიის მკვლევარი, ავტორი წიგნებისა – „საქართველოს მოკლე ისტორია“ (რომელიც იყო საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო), „საქართველოს დედაქალაქი თბილისი“, „გიორგი სააკაძე და მისი დრო“, „მონღოლები საქართველოში“, „საქართველოს საეკლესიო ისტორია“, „ისტორია მართლმ-

დიდებელი ეკლესიის“ და სხვა... ავტორი ლექსიკონების სახით შეკრებილი და გაანალიზებული შრომებისა – „ქართულ-მეგრულ-სვანური“, „დიდი ქართული“, „ქართული ანბანის წარმოშობა“, „რუსთველი“, „ძველი ქართული მწერლობა“ და მრავალი სხვა... რვაასზე მეტი შრომა გამოუქვეყნებია მას. ამ ნაშრომების მეცნიერული ღონე დღეისათვის იქნებ ყოველთვის მისაღები და უკრიტიკოდ გასაზიარებელი არ იყოს, მაგრამ თავის დროზე მათ თავიანთი მისია შეასრულეს. როცა მოსე ჯანაშვილი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, მეცნიერების თითქმის ყველა დარგში კადრების ნაკლებობა იყო... ამიტომაც ერის მოამაგე აღამიანებს, რომელთა რიცხვში უსათუოდ ისიც იხსენიება, ერთ-ერთოულად თითქმის ყველაფერზე უხდებოდათ წერა და მუშაობა. მაშინ არ იყო ვერტოფილდებული „ვიწრო“ სპეციალობები. მკვლევარის ერუდიცია კი ყველაფერს თანაბარი ძალით ვერ სწვდებოდა. ამ ასპექტში უნდა განვიხილოთ მოსე ჯანაშვილის მემკვიდრეობა. უზომოდ ნაღვაწს, ყოველივე ამის პარალელურად, ბევრი წერილი თუ გამოკვლევა უძღვნია, აგრეთვე, თავისი მრავალტანჯული კუთხის – საინგილოსათვის. მარტო მისი „საინგილოს“ განსვენებაც კმარა. ეს წიგნი აბსოლუტურად უნიკალურ მასალებს შეიცავს და რაც დრო გადის, თანდათან ძვირფასი ხდება საინგილოს ისტორიითა და ყოფით, მისი ფოლკლორით დაინტერესებულ პირთათვის. უდიდესი ამაგი დასდო მოსე ჯანაშვილმა ინგილო ქართველთა ფოლკლორული მასალების შეგროვების საქმეს. მის მიერ შეკრებილი და კომპიტირებული ინგილოური თქმულება-გადმოცემები, რომელთა ძირითადი ნაწილი ქრისტიანული ხასიათისაა, უხვადაა

გაბნეული მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის პირველი სამი ათეული წლების ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. სამწუხაროდ, დღემდე არავინ ცდილა ამ მასალებით დაინტერესებულიყო, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოეკრიბა, სხვათა ჩანაწერებთან შეედარებ-შეეჯერებინა და ინგილოთა პოეტური ნააზრევი ცალკე წიგნად შეეკრა. ეს ალბათ, ერთი კეთილი საქმე იქნებოდა, რომელიც ქართველ ერს საინგილოს ფოლკლორის უფრო კარგად გააცნობდა, მის პოეტურ სულში უფრო კარგად ჩაახედებდა, თვით ინგილო ქართველებს კი გულს გაუთბობდა, ახალსა და ძველს უფრო თვალნათლივ დაანახებდა. ხოლო, რაც შეეხება მკვლევარებს, მათაც ბევრ დანხარებას გაუწევდა. ინგილოური ფოლკლორის თითქმის ყველა ნიმუში, რომელიც კი სხვებს ჩაუწერიათ, სხვადასხვა ვარიაციებითა და ზოგჯერ სხვადასხვა გააზრებით გვხვდება მოსე ჯანაშვილთან. არცერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები არ გამორჩენია მას. შესაძლოა, ხალხში იმიტომაც დარჩა დღემდე ეს გადმოცემები, რომ ისინი თავის დროზე გამოაქვეყნეს. ყველაზე მეტი ამაგი ამ საქმეში მოსე ჯანაშვილს მიუძღვის.

მრავალმხრივ საინტერესოა მის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალა. მას არა მხოლოდ უგროვებია, არამედ ანალიტიკური თვალთ ჩაუხედავს ხალხის სულში, მის ეთნოგრაფიაში; მეცნიერულად შეუსწავლია და ზოგად ქართულ ხასიათთან და ბუნებასთან, მის ქრისტიანულ ფესვებთან შეუჯერებია. ინგილოთა ტრაგიკული ბედის საფუძველზე უცხო ტომთა მიერ მათზე თავსმობვეული გავლენითა და სინთეზით შემუშავებულ ყოფით წესებზე დაკვირვების შედეგად საინტერესო დასკვნები ჩამოუყალიბებია და ყოველივე ეს ცოდნითა და პატიოსნებით აღუწერია თავის წიგნში.

ბიოგრაფიის ცნობები შემოგვინახა მოსე ჯანაშვილმა საინგილოში არსებულ (მათგან დღეს ბევრი უკვე აღარაა) ქართული ტაძრების შესახებ. ამ ტაძრების კედლებთან, თუ ნანგრევებში მის დროსაც თვლემდნენ

ხალხური თქმულება-გადმოცემანი, რომელნიც ამ კუთხის ხალხის რწმენასა და მამულისათვის თავდადებაზე, ურთიერთ-სიყვარულსა და ოჯახის სიწმინდეზე მოგვითხრობენ. მას ყველა ეს თქმულება-გადმოცემანი ჩაუწერია და დაიწყოებისათვის გამოუტაცნია. მის ხელნაწერებსა და წიგნში ეს თქმულება-გადმოცემანი ზოგჯერ მხოლოდ ორიოდ სიტყვითაა ნახსენები, საჭიროებისა და მიხედვით... მაგრამ ყველა მათგანი სხვადასხვა დროს თავისი მთლიანი სახით გამოუქვეყნებია.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

„... კასრის საყდარი ააშენა არჩილ მეფემ... 1718 წ. იყო მცირე, მაგრამ დაინგრა. მის ეზოში არის უზარმაზარი ქვევრი. რომელსაც გვერდიდამ მღვიმე აქვს გაკეთებული. მთელი ეს ეზო წარმოადგენს მცირე ტაფობს საყარაულე-კასრის საყდრის ფერდობზე. დანგრეული ეკლესია განაახლა მღვდელმა მიხეილ ყულოშვილმა. ეკლესია დიდებულად გადმოწყურებს არა თუ მთელს სოფელს, არამედ მთელს მის წინმდებარე საინგილოსაც, ალაზნამდე და მას იქითაც, — შავ მთამდე და დედოფლის წყარომდე. მთის ძირში კი არის სოფლის სასაფლაო, რომელსაც ჰქვია „სანების სამაროვანი“ („სანება“ — სამება, რადგან კასრი სამების საყდარი ყოფილა).

მრავალი გადმოცემა, თქმულება თუ ლეგენდა შემორჩენილა ქურბუხის წმიდა გიორგის საყდრის შესახებ. „ამ სალოცავის პატივი აქ ისე ძლიერია, რომ ინგილო საკლავს ისე არ დაჰკლავს, რომ ღმერთის შემდეგ არ ახსენოს ქურბუხის საყდარი და არ წარმოთქვას: „შენ შეგუწყალ“ -ო.

ბილიკის ქვემოთ ფერდობზე ჰყრია დიდრონი კონცხები. ეს აქლებები არიან. ურწმუნო მეაქლებეს გაუქვავდნენო.

მრავალ თქმულებათა შორის, არის ასეთი: „ქურბუხის საყდრის კარიპირიდან თუთია (წმიდა მიწა) რომ იქონიო და წყალში ნალესი დალიო, გარგებს და სწეულება ვერ შეგაწუხებს“.

ყუბი. აქ ყოფილა დიდებული ტაძარი. ახლა ნანგრევებია: გადმოცემით ყუბის ქვედა ნაწილი ჯანაშვილების კუთვნილება ყოფილა. შაჰ-აბაზი რომ მოსულა, შვიდი ძმა ჯანაშვილი შებრძოლებია. ექვსი დახოცილა, მეშვიდე შერმაზანი კი ტყვედ ჩავარდნილა. იგი სიკვდილისაგან წაზურველ კამაზ-ოღლის გადაურჩენია. შაჰ-აბაზისთვის უთქვამს: მაგის ბეტი ჯანაშვილი აღარ გადარჩა. ნუ მოჰკლავო. რა უნარი აქვსო, უკითხავს მტარვალს. მთელს შენს ლაშქარს ლავამითა და თავლით დააძღობსო, ისეთი შემძლებელიაო. მართლაც გამასპინძლებია. შაჰს აღარ მოუკლავს. ოღონდ, თავადობის ღირსება მოუშლია (როგორც ჩანს, იგი დასდებია საფუძვლად აკაკის ლექსსაც "შაჰ-აბაზი და ქართველი ქალი". მოლაღატე შვილის საქციელით თავზარდაცემული დედის ტრაგედიაა გადმოცემული მასში).

განსაკუთრებით სათაყვანო სალოცავად მიაჩნიათ ინგილოებს ხუციანთ ოთხთავი. გადმოცემით ხუციანთა შვილების წინაპარი მღვდელი ყოფილა. აქედან მოდის მათი გვარი. ლექთა მტარვალის დროს, როგორც ყველა ინგილოს, გარეგნულად ხუციანთა შვილებსაც მიუღიანთ მაჰმადიანობა, მაგრამ ქრისტეს სარწმუნოება არ დაუტოვებიათ. ფარულად უსრულებიათ ყოველი ქრისტიანებრივი წეს-რიგი, ულოცნიათ ქურბუხის წმ. გიორგი და ხუციანთ ოთხთავი. ხუციანთა შვილებს კრძალვით შეუწინავეთ ყოველი სამღვდლო ნივთი და სახარება.

როდესაც ამ მშვენიერს ქვეყანაში უფლობდნენ ლეკნი და მტარვალბდნენ ელისეს სულთანნი „ხუციანთ ოთხთავი“ იყო ერთადერთი ნავთ-საყუდელი აქაურ ქრისტიანებისა. იგი იყო მათი ნუგეშის მცემელი, მათი სასოება და სულიერი მკურნალი. მის თაყვანისსაცემად ინგილონი დიდის კრძალვით იკრიბებოდნენ ხუციანთ ოჯახში. აქ ანთებდნენ სანთელს, აკმეკდნენ საკმეკელს და ღმობიერებით ითხოვდნენ შველას და შეძწობას.

... ხუციანთ ოთხთავის გამოა უმთავრესად, რომ ეს განაპირა კუთხე სრულიად არ

მოწყდა საქართველოს და დაიცვა თავისი ხალხისნობა-ქართველობა, თავისი ენა, რჯული. მის გამოვეა, რომ ლექთა ძალმომრეობამ ვერ დაჩაგრა ეს ერთი მუჰტა ხალხი და ინგილო ისევ დაშთა ქართველად.

ამგვარი დიდი დამსახურება აქვს ხუციანთ ოთხთავს ქართველების წინაშე და ამიტომაც იგი ღირსია ყურადღებისაო, – წერს მოსე ჯანაშვილი...

ქრისტიანობა, სამშობლოს სიყვარულისა და ეროვნულობის სინონიმი იყო ქართველთათვის მუდამ. მისმა სულმა სავსებით მიიღო და შეითვისა ქრისტეს მცნება, ამიტომაც ეცვა ჯვარს იგი ქრისტესთვის.

მოსე ჯანაშვილსაც ინგილოთა გადარჩენის ერთ-ერთ უტყუარ ფაქტორად ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნება მიაჩნია. თვით მას ბევრი უღვაწია ძველი ქართული ლიტერატურის ქრისტიანულ ტრადიციათა თუ მართლმადიდებლობის ისტორიის საკითხებზე. ყოველივე ამის პარალელურად საკმარისია დავასახელოთ საქართველოს საეკლესიო მუზეუმი, რომლის განხრის ინიციატორი და წლების მანძილზე, თითქმის სიცოცხლის დასასრულამდე მისი ხელმძღვანელი თვითონ იყო. ამ მუზეუმმა ქართული კულტურის ბევრი უძვირფასესი განძი გადაარჩინა და შეინახა და ყოველივე ამის მოამაგე მოსე ჯანაშვილი გახლდათ.

წიგნში „საინგილო“ (გვ. 19) მოსე ჯანაშვილი წერს: „მაჰმადიანად დარჩენილები დღეს უკვე თითქმის უარყოფენ თავიანთ ქართველობას, ირთავენ თათრისა და ლეკის ქალებს, რომ რა არის, ენაც მალე დაივიწყონ. მხოლოდ ასეთი უარყოფა თავის თავისა ცოტათი შეაჩერა ეხლანა აჭარიდან მოსულმა ქართველმა მოლამ. მან ყველას ჩაავიწყო, იწერებან, რომ ჩვენ ქართველები ვართ და მხოლოდ რჯულით მაჰმადიანებიო. ჩვენ ჩვენის ქართველობით და ქართული ენით კიდევ უნდა ვიამაყოთო“, ეს მაშინ, როცა ინგილოებს ემუქრებოდნენ, გავწყვეტო, თუ არ გაათარღებთო“.

ეთნოგრაფიულ ცნობებში, რომელსაც მკვლევარი გვაწვდის, საგულისხმოა ერთი

რამ... თვით მუსულმან ინგილოთა ყოფაში ისევაა შემორჩენილი ქრისტიანული წესები.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა მიცვალებულის დამარხვისა და მისი გლოვის რიტუალები.

„...გარდაცვალებისთანავე იმავე წამს შვილი მშობლის თბილს გვაძს „ასწორებს“, პირაღმა აწვენს, გულზე ჯვარედინად მკლავებს უწყობს, ფეხებს ერთმანეთზე უკრავს, რომ აქეთ-იქით არ გადაიხნიქნენ, თვალებს „უხუჭავს“, რომ ღია არ დარჩეს, თავით ერთ არწ ღვინოს, ერთ ჯამ ხორბალს, ერთ ჯამ წყალს და ტანისაცმელს ულაგებს და ამ ჯამზე ერთსა თუ სამ სანთელს უნთებს. სულთმობრძავ დედაკაცს კი ხელში ერთ კით კელს (ძაფს) უღებენ.

სიკვდილზე იტყვიან, კაცის სული პეპელას მიაქვსო.

... ინგილოებმა საფლავებზე გასვლა მარიამობის მარხვის გახსნილების მეორე, ან მეოთხე დღეს იციან. ამ დღეს მთელი სოფელი სასაფლაოზე იკრიბება. საინტერესოა, რომ საკმეველს, როგორც სუფრაზე, ისე საფლავზე, ქალები აკმევენ.

... ყოველი გვარი თავის მკვდარს ცალკე საგვარეულოში იმიტომ მარხავს, საზოგადო სასაფლაოზე, რომ საიქიო თავისებურად აქვს წარმოდგენილი. იქაური მოსახლენი, როგორც აქ, გორებად (გვარებად) დაყოფილნი არიანო. ყოველი გორი ერთ ოჯახს წარმოადგენსო. ამიტომაც კაცის შორს, უცხო ქვეყანაში გარდაცვალება და დამარხვა ინგილოს დიდ უბედურებად მიაჩნია. ყოველ გორს, იქ თავისი უფროსი ჰყავს, ყოველ ოჯახს თავისი. იქ მკვდრები სადილ-ვანშამზე გვარ-გვარეულად დალაგდებიან. ყველა გვარის წინ სუფრაზე ისა ჰშლია, რითაც ცოცხლები იხსენიებენ. ის ხალხი იქ გახარებულია, რომელსაც აქაურები არ ივიწყებენ, ხშირ-ხშირად იგონებენ. უბედურად, მოწყენითა და ყელ გადაგდებულად ისინი არიან, რომელსაც აქაური ნათესავები სიღარიბისა გამო ვერ იხსენებენ. ამისთანა კაცი საზოგადო მარაქაში ვერ ერევა. ერთმანეთისთვის ლუკმის მიწვდენა და განაწილება



იქ არ არის. ქვის უკან, განმარტოებით ზის ამისთანა კაცი, ყელი გადაუგდია და ჩივის: მშიერი ვარ, ნათესავებმა არ გამომიგ ზაენეს რაო (არ მომიხსენიესო). სანოვავე მკვდრების წინ თუმცა ბევრი ჰშლია, მაგრამ ისინი არ ჭამენ. მხოლოდ ჭვრეტით (ხილვით) ძლებიან და ამით გზას მიდიან...”

როგორ ენათესავება ეს ჩვეულებები და გადმოცემები ზოგად ქართულ ტრადიციას... თვით იმ სუფრას, ან საკურთხს, რომელსაც ჩვენი ხალხი საუკუნეების განმავლობაში მიცვალებულთა პატივსაცემად და მათი სულის საოხად აკეთებს. ისე, როგორც საინგილოში, საქართველოს სხვა კუთხეებშიც ამის გამო სხვადასხვა ხასიათის გადმოცემები ცოცხლობს, ერთიც ასეთია...

სუფრაზე, როცა მიცვალებულის შესანდობარი ითქმება, იგი ყველამ უსათუოდ ბოლომდე უნდა დალიოს, რადგან ამით საიქიოში მიცვალებულის სასმელი სურა ივსება... ხოლო ვისიც აქ დაუღეველი რჩება, იქაც ცარიელია. რა ჰქნას საწყალომა... დადის ერთი მკვდრიდან მეორესთან და სთხოვს, ცოტა ღვინო ჩამომისხითო, მაგრამ ზედმეტი ჯერ არვისა აქვს და რომც ჰქონდეს, მიცმა არ შეუძლია.“ ასეთი გადმოცემა ბევრია, ისე როგორც ბევრია გადმოცემა, ვთქვათ, მკვდრის საიქიოდან დაბრუნების შესახებ.

... ერთს ქალს ელაპარაკნა: „იმ ღუნიაში წავედიო, ყველანი ტკბილ მასლათ-საუბარში იყვნენო. ვნახე პაპა, ბებია, ბიძები, ძმები, ძმისწულები. ჩემი პატარა ძმა პაპას გულში ჩაეკრა და ეთამაშებოდა. უცბად სამხიარულო ნალარა დაუკრეს. ყვიროდნენ: პატარძალი მოჰყავთო. მთელი ზალნი გავიდა სეირის საყურებლად. მეც წაველი. ვნახეთ ციკუებიანთ (გვარია საინგილოში) ქალი მოჰყავთ, მაშინ ჩემმა ბებიამ მითხრა: 'შენ რა გინდა აქ. ჯერ შენი დრო არ არის, წა, წა, იქათია. ხელ მკრა, გამშაგდა. იქ კა ლამაზა დახატული სახლებ-ოთალებ არის, ზე მუდამ ანათებს“.

ამასაც ამბობენ, სამოთხის კარზე კუპრის ტბა არისო. ზედ ხილია გადებული, მართალი მარდად გადიან და სამოთხეში შედიან, ცოდვილნი შიგ ცვივიან და საუკუნო ცეცხლში იტანჯებიან. ცოდვილისა და კეთილის გამოსაცნობად მიჯნაზედ სასწორია გამართული. სამოთხისა და ჯოჯოხეთის პატრონი სწონავს, რომელი თვალის დაიწვევის, ის ჯოჯოხეთში წავა, რომელიც აიწვევის ის სამოთხეში. მართლებს იქ ყორულები აქვთ. იქ მწვანედ ბიბინებს ყანა, იქვე სძოვენ ყორები. ვენახები და ხილი ბევრია. ყანა იმ პურისა ამოსდით, რომელსაც გარდაცვალების ყამს თავით დაუდგამენ. ყორები ისინი არიან, რომელთაც ცოცხლები უკვლენ.

ერთი-ორი წლის ყმაწვილს საკმეველი არ ერგება. საიქიოს ერთი რძის ტბა არის. იმის შუაში თეთრად გაფოთილი ზე დგას. იმ ზეზედ სხედან ეს ნორჩი ბალები, ჟივვიებენ, იცინიან, როცა კი მოშვათ, ზე ჩაწვება ტბის პირამდე, ყმაწვილები დაეწაფებიან, რძით გაძლებიან და ზე ისევ აიძარბება. ასე ატარებენ დროს ყოველ დღე. ისინი უკოლნი არიან და სამხრეთში ნებარებენ.

ეს გადმოცემები და შეხედულებები ერთნაირია ყველგან, მთელს საქართველოში. თვით მოსე ჯანაშვილს ამის საილუსტრაციოდ და შესადარებლად მოჰყავს ერთი ქართული ლექსი:

მიველ და ვნახე სამოთხის სახე,
ელქსა გარე შემოვუარე:
ოთხი წყარო დის, ოთხის მხრით
მიდის,

მითი მოირწყვის ყოველი არე...
სიზმრითა ვნახე ედემი
აღმოსავლეთის თავშიო:

არის შზე, არის მთოვარე, მრავალ
ვარსკვლავი ცაშიო,
მივდივარ სანუკვარადა წმიდა
ედემის ბაღშიო;

მიველ და ხეხილთ გადვხედე:
ჩარიგებულა რიგშიო,

ზოგი მწიფს, ზოგი ყვავილობს,
ზოგსა მკუხენი ასხია:

ერთი რამ კუპრის ტბა არის
აქედან მოსავალშია.

ზედ წვრილი ბეწვის ხიდი ძვეს,
ვინ გადაზომავს თვალშია?

მართალი მარდად გადიან
და მკვიდრდებიან ბაღშია!

ცოდვილნი დაბლა ცვივიან,
ილუპებიან ტბაშია.

ძალზე საინტერესო გადმოცემები არსებობს „ფინთობის“ ჩამდენი კაცის „განხორთაგების“ (გაცოცხლების) შესახებ. სადაც ზოგი ღორადაც იქცევა.

„ერთი ღორი მოგკალი, წინა ფეხის მაჯაზედ ქალის სალტა ჰქონდაო. მაგრამ „განხორთაგდება“ მხოლოდ ლეკი და არა ქრისტიანი. ...მუხტარ-ალა გაცოცხლებულიყო, შინ მისულიყო, ცოლს ეცნა და ყვირილი დაეწყო. შეყრილიყვნენ მოლები და სოფლები და ისევ სასაფლაოზე გაეცილებინათ და ეთქვათ: 'შენ ადგილი ჰეგი, აღარ გამოხუდე'... გაცოცხლებული ცოცხალ კაცს არ ერჩის, პირველად რომ გამოვა საფლავიდან, კაცს ჰგავს, მცირე ბალანი აქვს. მერე კი ბანჯგვილიანი გახდება და რასმე ცხოველს დაემგვანება.

ყველა ეს აღწერილობა და რწმენა, რომ გარდაცვალებულის სული პეპლად იქცევაო, რომ მკვდარი ცხოველად დაბრუნდებაო, პარალელს სხვადასხვა ხალხების შეხედულებებსა და რწმენაში პოულობს.

მსგავსი შეხედულებები უძველეს წარსულში საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ყოფილა და მკვდართა გვაშების უხრწნელად შენახვაც სცოდნიათ. ამას ცხადყოფენ არა თუ ზემოთ აღნიშნული ხალხური გადმოცემანი, არამედ თვით ქართულს ენაში დარჩენილი სიტყვებიც: „განსვენება (განსვენება), გარდაცვალება (გარდაცვალება), მიძინება (მიძინება)“. ეს სიტყვები გვიჩვენებენ, რომ ინგილო-ქართველთა წარმოდგენით, მკვდრები საიქიოს სანეტარო სვენებასა და მიძინებაში არიან და სააქო ჭირ-ვარაში საიქიო სამარადისო ნეტარება – განცხრომად გარდასცვლიათ.

საინტერესოა, რომ ინგილოები უდიდესი მოწიწებითა და შიშით არიან განმსჭვალულნი ძველ გადაშენებულ საყდრების ეზოში დაშთენილ წმიდა ხეების წინაშე – „ერ წკირ რომ მოვჭრათ, გოგიწყრება“.

„ახალი წლის ღამეა. სიწყნარა. არ სძინაეთ მხოლოდ სახლის პატრონს და მოხუც ქალებს. აი, მოხუცი ქალი მორჩა თავის საქმეს. ადგენენ ორივენი და ჩუმად მოვიდნენ მძინარე ყმაწვილებთან. მკლავები საბინიდან გამოუდეს და მაჯებზე დართული ძაფი შემოუჭარეს. გაკვანძეს და მოშორდნენ. ძაფი შემოახვიეს დედაბოძსაც, თუნგსაც და ყოველსავე სხვა ჭურჭელსაც.“

ეს ძაფი მოგვაგონებს რგოლს, რომელიც ძველთაგანვე ცნობილია, როგორც ღვთის დაუსაბამობისა და ერთარსობის სიმბოლო. ამ ჩვეულებით ინგილო გამოსთქვამს თავის სურვილს, რომ ერთარსება და დაუსაბამო ღმერთმა ოჯახის ყოველნი წევრნი და ყოველივე მათი ქონება ახალ წელიწადს შეინახოს მთლიანად, დაუზიანებლად და დაურღვევლად. ამ ჩვეულებას ინგილონი თათრობაშიაც დიდხანს მტკიცედ ასრულებდნენ. ძაფის რგოლს სამ დღეში არ შეიხსნიდნენ“.

ბეკრი ამ ჩვეულებათაგან უკვე დავიწყებულია, ახალმა ცხოვრებამ შესცვალა და გარდაქმნა მათი როგორც ყოფითი, ისევე სულიერი სამყარო, მაგრამ საინგილოს ისტორიის, მისი კულტურისა და საერთოდ

ცხოვრების შესასწავლად, მის ზოგად ქართულ ხასიათთან შესაჯერებლად ამ ჩანაწერებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ... ისინი ამ კუთხის ხალხის მხატვრული ნააზრევის ნაშესრევია.

ინგილოთა შორის ყველაზე დიდ დღესასწაულად აღდგომა ითვლება. ამ დღეს მარტო ქრისტიანები კი არა, თვით მუსულმანი ქართველებიც განსაკუთრებით აღნიშნავენო, წერს მოსე ჯანაშვილი.

„მზადება იწყება ვნების პარასკევიდან. წითლად ღებავენ კვერცხებს და სამხთო საჭმელ-სასმულით (მხოლოდ მამაკაცები) სასაფლაოზე გადიან. ერთად, ძმურად იხსენიებენ მკვდრების სულებს. შელებილ კვერცხებს ინახავენ ადღომისთვის. აღდგომის დღეს, მამლის ყვილისას, მთელი სახლობა იღვიძებს და პირს იხსნილებს ღორის ზორციტ. გაღვიძებენ ერთ ნამცეც ღორის ზორცს, გამოაფურთხებენ და იტყვიან – „ლეკო დაგზენ“. ამ სიტყვებს აღდგომის შემდგომ იმეორებენ მამინაც, როცა პირველად დაინახავენ ლეკს, ან მაჰმადიანს საერთოდ. ეს ჩვეულება ერთხელ კიდევ უსვაშს ხაზს იმ მოუშუმარ ტკივილსა და სამინელებას, რაც შაჰ-აბაზის ღროიდან ლეკთა დაუსრულებელ თარეშს მოჰყვა ამ კუთხეში. მთელი ორი საუკუნის მანძილზე ინგილოსათვის (და არა მხოლოდ ინგილოსათვის) უფრო შემზარავი და სამიში სიტყვა, ვიდრე ლეკია, არ არსებობდა.

დილით ყველა ახალი ტანისამოსით იძოსება, თავს იყრიან სახლის აღმოსავლეთ კუთხეში, ანთებენ სანთლებს და ღმერთსა და ქურმუზის წმიდა გიორგის ევედრებიან „განსნილებას (აღდგომას) მუდამ დოვასწარ“ (დაგვასწარიო).

შემდეგ კლავენ „სამხტოს“, ყოჩს, ბატკანს, ან მამალ-ვარიას (წერილფენა მამლებსა და სადედლე ვარიებს). ხონჩაზე დალაგებენ სხვადასხვა საჭმელს და მიდიან საგვარეულო საყდრებზე სალოცავად. ეს საყდრები (ვინაიდან ტაძრები ან აღარ არსებობს, ან არ ანებებენ იქ მისვლას) მაღალი ხეების ჯგუფებია. ხშირად აქ არც

ჩანს ძველი შენობის კვალი. ხეებს ქვეშ სადმე დევს ქვა (ფშავ-ხევსურების ნიშის მსგავსი), მასზე დაანთებენ სანთლებს, აკმევენ საკმეველს და შევედრებიან ღმერთს მზურვალედ. შემდეგ ამ საყდრებს დაუკლავენ სამხთოებს, ერთად ისამხრებენ ნათესავები (გვარეულობა) და თავიანთ სახლებში წავლენ. სადილობის შემდეგ ნათესავები და ნაცნობები ერთმანეთს ულოცავენ ადგომას. „ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტად!“ აქ არ იციან. მის მაგივრად ერთურთს ეგებებიან სიტყვებით – მოგილოცავ გახსნილებას! ახლაც მაჰმადიანად დაშთენილი ინგილოები შიგა და შიგ ასრულებენ ხსენებულ წესებს“, წერს მოსე ჯანაშვილი.

ღარიბია ლიტერატურა, რომელიც მოსე ჯანაშვილის ღვაწლს თუნდაც სქემატურად გაგვაცნობდა. მან როგორც მეცნიერმა, მკვლევარმა, მწერალმა, პედაგოგმა თავისი ტვირთი გულგაუტეხლად ზიდა და ქართულ საზოგადო საქმეს თვალსაჩინო სამსახური გაუწია. მძიმე პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. ყველაფერი გასაკეთებელი იყო მაშინ და ისიც ყველაფერს აკეთებდა, ყველაფერზე წუხდა, ყველაფერზე წერდა.

„შენ ერთი იმათგანი ხარ, ვინაც ქართული მეტყველების ხაზით პირნათლად იმუშავე და უაღრესად მძიმე პირობებში შესამჩნევი კვალი დაამჩინე შენს მიერ არჩეულ გზას.

ამ მხრივ შენი ნაღვაწი და ნაამაგარი იმისთანა და იმოდენაა, რომ ერთი მოდგმისთვის კმა არს, რომ იტვირთოს...“ – ასე მიუძარტავს მოსე ჯანაშვილისთვის ეუკოლ ბერიძეს მისი დაბადების იუბილეზე...“

აქვეა მისი სიტყვაც:

„... კიდევ მსურს სამსახური ქართველი საზოგადოებისათვის, კიდევ მსურს გაღვივება მასში უკეთეს გრძობებისა, კიდევ მსურს მის ჭირ-ვარაშს მტლად დაველო...“

ინგილო ქართველთაღმ, მათი ტკივილისა და მოუშუშარი იარის თანაზიარობის ნიშნად აიყვანა ჩვენმა მოაზროვნე საზოგადოებამ იგი მთაწმიდაზე. და დღეს, იქ, სადაც განისვენებენ ქართული აზრის დიდნი მნათობნი, დიდნი მამანი და დედანი ჩვენნი... არავის უკვირს და ეუცხოება ერთი საფლავი... რომელზედაც აწერია „მოსე ჯანაშვილი“.

თ. ჰვარციძე



მისივე აღსასრულადმდე სიუზისა

საუბარი საქართველოს საკათრიარქოს მისიისა და

ეკანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარე,

მიტროპოლიტ დანიელთან

წარვედით და მოიძოწაფენით ყოველი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისამთა, და ძისამთა, და სულისა წმიდისამთა.

და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქვენ; და აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა ღლეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა. ამინ“.

(მათე 28, 19-20).

კითხვა: „წარვედით და მოიძოწაფენით...“ ესაა მარადიული ანდერძი უფლისა ჩუენისა მოციქულთა მიმართ. პირველი და მთავარი მისია, ეკლესიას რომ დაეკისრა...

ვიდრე საუბარს დაეწივებდეთ, სასურველი იქნებოდა, რამდენიმე სიტყვა ჩვენი სამღვდლოების სამისიონერო მოღვაწეობაზე გეთქვათ...

პასუხი: დიას. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. თქვენ მართალი ბრძანეთ. მისიონერობა ღვთისმსახურებს ეკლესიის დაარსების დღიდანვე დაეკისრათ. იგი შეიძლება ითქვას, მართლა პირველი დავალებაა. ქრისტიანობა მთელ მსოფლიოში უნდა გავრცელებულიყო და მოციქულებმა პირნათლად მოიხადეს ვალი. ბევრი მათგანი წამებითაც აღესრულა. მაგრამ ჭეშმარიტების გზიდან არ გადაუხვევიათ. მისიონერობას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. პირიქით... არის ქვეყნები, სადაც ქრისტიანული სარწმუნოება არაა გავრცელებული და არა მარტო ასეთ ქვეყნებში, არამედ იქაც კია საჭირო მისიონერობა, სადაც არსებობს ქრისტიანობა. მაგრამ რაა და რაში გამოიხატება მისიონერობა? ეს არის მუდმივი ზრუნვა არა მხოლოდ ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელების, არამედ მისი დაცვისათვის, დამახინჯებისა და სახეცვლილებისაგან დაზღვევისათვის. ეს პროცესი ეკლესიის ისტორიის მანძილზე არანამდვილ, მწვალებლურ მოძღვრებებთან ბრძოლაში აისახებოდა. დღეს ამ პრობლემამ კულმინაციას მიაღწია.

მისიონერული მოღვაწეობა ორი სახისაა: სადაც არ არსებობს ქრისტიანობა, ვიქადაგოთ და სადაც არსებობს, დაეიცვათ.

დღეს თითქმის ყოველი მხრიდან გვიტყვენ...

ამიტომ მეორე სახის ღვაწლი უნდა გავაძლიეროთ. საქმე იმაშია, რომ ბოლო საუკუნის ათეისტური ძალადობის შედეგად (აღარ ვლაპარაკობ წინა პერიოდზე) თანამედროვე ადამიანი მოწყვეტილი დარჩა რელიგიური განათლებისაგან. სწორედ ამის გამო, მისი შეხედულებები ყოველთვის ვერ არის სწორი. მას ადვილად შეუძლია გაიზიაროს ნამდვილად მავნე სწავლებები და თვალსაზრისები. სწორედ ამის ბრალია, ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს ფეხმოდებული მთელი რიგი სექტების არსებობა. თუ მათ არ მივხედეთ, მძიმე შედეგს მივიღებთ.

კითხვა: ეს მართლაც მძიმე პრობლემაა. რა კეთდება ამ მხრივ ჩვენს ეკლესიაში?

პასუხი: უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, ამ თვალსაზრისით სრულდება სხვადასხვა სახის ღვთისმსახურება. ტარდება წირვა-ლოცვები, პარაკლისები, საუბრები, ქადაგებები ქვეყნის იმ კუთხეებში, სადაც შეწყვეტილია, ან ნაკლებია ეკლესიური ცხოვრება, არ არის მოქმედი ეკლესიები. ასეთი ადგილები კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს. იბჭვდება სათანადო ლიტერატურა. ქვეყანაში არსებული კრიზისის გამო ჯერჯერობით მისი რიცხვი და ხარისხიც არასაკმარისია, მაგრამ გვაქვს იმედი, რომ შედეგებისდაგვარად, ეს საქმე მოვაგვართ.

ასევე, საზოგადოების ეკლესიურ ცხოვრებასთან დაახლოების მიზნით ხდება სხვადასხვა საწარმოებისა და დაწესებულებების კურთხევა. სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საავადმყოფოებში, საპატიმროებში და სხვადასხვა საერო ორგანიზაცია-დაწესებულებებში მიდიან სამღვდლოების წარმომადგენლები, ამყარებენ ურთიერთობებს ადამიანებთან, ეწყობა მათთან შეხვედრა-საუბრები. მათ საშუალო ადგილებში ხშირად ხსნიან სამლოცველობებს.

ვცდილობთ, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები – ტელევიზია, რადიო, პრესა.

კითხვა: თქვენს საქმიანობაში, როგორც წესი, ცხადია, ქველმოქმედებაც შემოდის. იქნებ რამდენიმე სიტყვით ამის შესახებაც გვითხრათ...

პასუხი: ისევე, როგორც ქადაგება, გასულ საუკუნეში, ქველმოქმედებაც უკიდურესად შეზღუდული იყო. ათეისტური ხელისუფლება კანონით კრძალავდა ეკლესიის მიერ ერში ქველმოქმედებით საქმიანობას. ქველმოქმედებას კი დიდი როლი ეკისრება სარწმუნოების გავრცელებისათვის. ამ ბოლო დროს სექტების მომძლავრებას, სამწუხაროდ, ჩვენს დღევანდელ მძიმე პერიოდში, მათ მიერ შემოტანილმა ჰუმანიტარულმა დახმარებამაც შეუწყო ხელი. მაგრამ ნამდვილი ქველმოქმედებისაგან განსხვავებით, ისინი უანგარონი არ არიან და სანაცვლოდ ყველაზე უფრო ძვირფასს – ადამიანის სულს ეუფლებიან. ნამდვილი ქველმოქმედება კი ქრისტიანობის არსებითი თვისებების მაჩვენებელია. ესაა კაცთმოყვარეობა და მზრუნველობა მათზე. დღეს, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, ხდება საქველმოქმედო სამსახურის აღორძინება.

უკვე რამდენიმე წელია საპატრიარქოსთან შექმნილია საქველმოქმედო ცენტრი „ლაზარე“, რომელიც ერთდროულად ცდილობს აითვისოს ქველმოქმედების პროფესიონალურად წარმართვის თანამედროვე ფორმები და ამავე დროს, იზრუნოს უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ადამიანებზე. ამ ცენტრმა დახმარება აღმოუჩინა ჯავახეთის

რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს. პერიოდულად იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს უწვდის ხელს. განსაკუთრებით ლტოლვილებს. თბილისში და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მოქმედებენ უფასო სასაღილოები. ლტოლვილებისათვის განხორციელდა შრომითი დასაქმების პროგრამა. შეიქმნა საგანგებო სახელოსნოები, სადაც იკერება საბნები და ურიგდება უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს.

საპატრიარქოში უცხოეთიდანაც დროდადრო შემოდის ჰუმანიტარული ტვირთი, პროდექტები, ტანსაცმელი. იგი ნაწილდება ეპარქიებზე და ურიგდება გაჭირვებულებს.

ასევე აღსანიშნავია თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტრის საქველმოქმედო საქმიანობა... დელები გამუდმებით იღვწიან, რათა დახმარება გაუწიონ უძღურებს, მოხუცებს, გაჭირვებულებს. ზოგს ეხმარებიან, ზოგს იტოვებენ მუდმივად. ქსენონის ტიპისაა.

უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, ამ მონასტრის წევრებმა შეაგროვეს ქუჩაში მყოფი, მაწანწალადქცეული, უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები. უპატრონო ბავშვებს მზრუნველობენ ეპარქიებშიც.

ასევე, ბათუმში ეკლესიას გადაეცა მოხუცებულთა და დავრდომილთა თავშესაფარი...

კითხვა: რამდენადაც ვიცი, მისიონერული მიზნით თქვენ ხშირად გიხდებათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა, იყავით საინგილოშიც.

პასუხი: საინგილოში რამდენჯერმე ვიყავი.

კითხვა: როგორი იყო პირველი ჩასვლა?

პასუხი: საინგილოს პრობლემას ქართველი ადამიანისათვის საერთოდ მეტად მტკივნეულია. ჩვენი ერის საუკეთესო ტრადიციების მქონე ჰერეთის მოსახლეობა ბოლო დროის მანძილზე განვითარებული სამწუხარო მოვლენების შედეგად მოწყვეტილი აღმოჩნდა ერის მთლიან ორგანიზმს. ამიტომ მათთან ურთიერთობა მე წარმომიდგენია, როგორც მათ ჭრილობაზე მალამოს დადება. შეიძლება ასეთმა შეხვედრებმა პრობლემას ვერ გადაჭრას, მაგრამ ის ხანმოკლე შეხებაც მეტად მნიშვნელოვანია. მთავარი, რამაც გამოიწვია ჩემი სიხარული, ეს განხლავთ ის, რომ ასეთი ტრაგედიის მიუხედავად, საინგილოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები (ცხადია, მათი ერთი ნაწილი) მთლიანად ინარჩუნებენ ქვეყნის კულტურისა და ტრადიციებისადმი ერთგულებას. საინგილო ერთგვარი მაგალითი შეიძლება იყოს თანამედროვე ქართველისათვის, თუ როგორ უნდა დაიცვას ადამიანმა თავისი ღირსება, მიუხედავად იმისა, რა მძიმე დღეშიც არ უნდა აღმოჩნდეს იგი.

კითხვა: ეს რაც შეეხება საქრისტიანო ნაწილს. მე მესმის, თქვენ სამუსულმანო მხარეში არ გადახვიდოდით, მაგრამ თავად იქიდან არავინ მოსულა, არავის შეხვედრიხართ?

პასუხი: შეხვედრები გვქონდა. მოდიოდნენ, მაგრამ რიდით. სარწმუნოების მიუხედავად, მუსულმანი ქართველები, ინგილოები, ქართულ ეკლესიას, როგორც თავიანთი წინაპრების სალოცავს, პატივს სცემენ.

არიან ახალგაზრდები, რომელთაც სურთ უფრო ახლოს მოსვლა. მათთან გვაქვს ურთიერთობა. დანარჩენი მომავლის საქმეა. ჩვენ არავის არაფერს ვაძალბებთ.

კითხვა: რომელი ტაძრები მონაზულეთ... ტაძრები და ალბათ, უფრო მეტად, ტაძართა ნანგრევები...


პასუხი: ვიყავით კახის წმიდა გიორგის ეკლესიაში, ქურბუხზე. ვნახეთ სოფელ მეშაბაშის მთავარანგელოზის ტაძარი, ალიბეგლოს წმიდა ნინოს ტაძარი... სხვათა შორის, ეს ტაძარი ახალგაზრდებმა ჯერ კიდევ ოცზე მეტი წლის წინ აღადგინეს. ასევე მონაზულეთ ქოთოქლოს, ალათეშურის ეკლესიათა ნანგრევები.

ხალხი ყველგან სიხარულით გვხვდებოდა. ვატარებდით პარაკლისებს, ნათლობებს... ერთდროულად უამრავი ადამიანი ინათლებოდა. კუქადაგებდით, ვუხსნიდით.

ძალზე სასიხარულო და დაუვიწყარი იყო ეს ყოველივე. ძალზე შთამბეჭდავი.

‘დამწყსეთ ცხოვარნი ჩემნი’ – მოგვიწოდებს უფალი... უნდა მიეყვით ამ ხმას... მას ჭეშმარიტებისაკენ მიყავართ.

ესაუბრა თინათინ კობალაძე



მადლის ეკლესიის ნანგრევთა საერთო ხედი

ილია და მე-19 საუკუნის საინგილო



„მოიხსენენით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ მეცნიერებისათა, და ხედვიდით აღსასრულსა მას ცხოვრებისა მათისასა და ჰბადევიდით შრომასა მათსა“ (ებრ. XIII,7).

წმიდა წერილში დაუნჯებული ეს სიტყვები ჭეშმარიტად შეესაბამება საქართველოს ყველა კუთხის ჭირისუფალსა და გულშემატკივარს – ილია ჭავჭავაძეს – ილია მართალს, რომელიც პეტერბურგიდან საქართველოსკენ მომავალი წერდა: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე“- შეეყარა სამშობლო დამძიმებული, სანუგეშებელი და საპატრონო. ამ დღიდან ილიას გონებას და კალამს ზრუნვა არ მოუკლია, როგორც ერთიანი საქართველოს, ისე მისი განაპირა კუთხეებისათვის.

გარემოებამ მოითხოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, რომლის შესახებაც ილია წერდა: „თუ მართლა საზოგადოებამ და

მისმა გამბედაობამ მოიღო აღასრულებს ყოველიფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიღვამს ფენს გავრცელებს სწავლა-განათლებს სამშობლო ენაზე და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნივთი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამოდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას.“

გამართლდა მისი სიტყვა. მაგალითისათვის საკმარისა იმდროინდელი საინგილოს განსენება. უშუალოდ ილიას და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ საინგილოში გაიხსნა ქართული სახალხო სკოლები.

თუ რაოდენ მოწინააღმდეგე და სიყვარულს იჩინდა დიდი ილია იმდროინდელ ინგილო მოღვაწეთა მიმართ, ჩანს მოსე და დიმიტრი ჯანაშვილების, აბელ ბაირამაშვილის, ივან-ბაბა ბულუღაშვილის, ბართლომე ხუციშვილის, სოფიო კენჭოშვილი-ყულოშვილის და სხვათა მიმართ ურთიერთობის ამსახველი ცოცხალი ფაქტებით. ყველა ესენი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მუდმივი წევრები იყვნენ, ხოლო მოსე ჯანაშვილი ამ საზოგადოების მდივანი. დიდა მოსე და დიმიტრი ჯანაშვილების ღვაწლი მშობლიური საინგილოს და საერთოდ, საქართველოსადმი.

დიმიტრი ჯანაშვილი კარგად გრძნობდა, რომ მშობლიურ საინგილოს და მის ეკლესია-მონასტრებს სჭირდებოდა ქრისტიანობის ერთგული მქადაგებელი. მან 12 წელი იმოღვაწა საინგილოში. გახსნა ქართული სკოლები, ქართული წირვა-ლოცვა გააძლიერა საინგილოს სოფლებში. წუთით არ გაუწყვეტა კავშირი აღნიშნულ საზოგადოებასა და მის ხელმძღვანელთან — ილია ჭავჭავაძესთან. დიმიტრი ჯანაშვილის ერთ აუწყრელი ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმდროინდელი დაღესტნისა და ელისუს სულთნებს. ისინი ყოველნაირად ავიწროებდნენ და დასდევდნენ მას მოსაკლავად. ყოველი ცოცხალი ფაქტის მომსწრე იყო ილია სწორედ ილიასა და სერგი მესხის რჩევით 1873 წელს იგი გადმოდის თბილისში. აქ ილია დიდი მოწინააღმდეგეობით ეპყრობა ნიჭიერ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს და ხშირად უქვეყნებს მასალებს მის მიერ დაარსებულ ჟურნალ-გაზეთებში.

დ. ჯანაშვილს, როგორც ღვთისა და უფლის სიტყვის მქადაგებელს, მჭევრმეტყველსა და უანგარო მღვდელს, ქუთაისის სემინარიაში თავისთან იწვევს იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. აქაც ისევ ილიას სურვილს ექვემდებარება იგი.

1873 წელს დ. ჯანაშვილის საინგილოდან გადმოსვლის შემდეგ, დიდ ილიას საინგილოში სამისიონერო მოღვაწეობის სურვილს ამცნობს ცნობილი საზოგადო

მოღვაწე ივანე როსტომაშვილი. იგი ილიას თანხმობით მიემგზავრება საინგილოში და სხივანაუქრობელი იმედის შუქი შეაქვს იქაურ სოფლებში. აარსებს სკოლებს, ეხმარება უფროსი ასაკის ქართველობას წერა-კითხვის შესწავლაში. პარალელურად აგზავნის წერილებსა და კორესპონდენციებს ჟურნალ-გაზეთებში. კახის ქართული საშუალო სკოლის გარშემო დღესაც ამაყ მემატანესავით გაკრპებული მის მიერ დარგული მსხლის, ცაცხვისა და კაკლის უზარმაზარი გულდადარა ხეები, დარაჯად დასდგომიან 150 წლის ასაკის ქართულ ძველ-სკოლას. რამდენი სიხარული, რამდენი ცრემლი ახსოვთ ამ ბებერ, საუკუნეზე მეტი ხნის ხეებს, უტყვე შემატკივართ სკოლისას...

ილიას მახვილ თვალსა და გულს არც ეს ღვაწლი გამოჰპარვია. იგი დიდად აფასებდა ი. როსტომაშვილის წმიდა მამულიშვილურ საქციელს და მას სამართლიანად უწოდებდა „ჩვენს ფუტკარს“.

თითო-ორიოჯი, სანთელივით გამნათებელი არასოდეს მოჰკლებია საინგილოს. ღვთის მადლით, ივანე როსტომაშვილის შემდეგ აქაურ ხალხს, თუ შეიძლება ითქვას, „მზარველ ანგელოზად“ იმდროინდელი თბილისის მოწინააღმდეგე ინტელიგენციის წრეში გაზრდილი 20 წლის ქართველი ქალი — სოფიო კენჭოშვილი მოევილია. იგი, ცნობილი ინგილო მღვდლისა და მოღვაწის — მიხეილ ყულოშვილის რძალი, ფარვანასავით დასტრიალებდა და ცოდნა-განათლებას არ იშურებდა იქაური ხალხისათვის.

სოფიო ახლოს იცნობდა იაკობ გოგებაშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, ილია ჭავჭავაძეს. ინგილო ბავშვების აღზრდის საკითხებზე მიმოწერა ჰქონდა მათთან.

ერთხელ თბილისში ე. გაბაშვილს შეხვდა და ერთად ესტუმრნენ სახლში ილიას. სტუმრებს ოღლა გურამიშვილი შეეგება, სიყვარულით გადაკოცნა ორივე.

— ილია ჯერ კიდევ მუშაობს. მთელი ღამე გაათენა. დაბრძანდით, დაისვენეთ, — უთხრა მოსულებს. მალე გამოვიდა

ილია — დაღლილი თვალებითა და სახით. როცა მოსულები იცნო, გაიღიმა, მიესალმა და მიმართა სოფიოს:

— როგორ ჩამოდი ჩვენი ნებართვის გარეშე, შენ ხომ გადასახლებული გვყავხარ იქ?

სოფიოს ეკატერინე მიეშველა:

— წელიწადში ერთხელ ნებადართულია, ბატონო ილია, მითუმეტეს თუ განსაკუთრებული საკითხი აქვს გადასაწყვეტი და ჩვენ ვუგვიანებთ.

— ალბათ ძალიან მძიმე პირობებია მუშაობისათვის, არა? — ჰკითხა ილიამ.

სოფიომ ენა ამოიღვა.

— ია-ვარდებით მოფენილი გზა, რა თქმა უნდა, არ დამხვედრია, ბატონო ილია. დამფრთხალ, აწიოკებულ, ნაწამებ ხალხს საკუთარი ლანდიც კი ამინებს. თუ ძველად მათ ბატონობა არ იცოდნენ, თუ ისინი აზატნი იყვნენ, როგორც სანაპირო ქვეყნის დამცველნი, დღეს მონებად არიან ქცეულნი. ელისუს სულთნები და ბეგები სულს ხდიან გადასახადებით... ხალხი ებრძვის ამ ბოროტებას, მათ ჰყავთ მოწინავე კაცები, მოთავეები, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ამ საქმეს მანამ არაფერი ეშველება, სანამ სათავეში არ ჩაიხშობა ბოროტება, სანამ თვითონ მთავრობა არ მიიღებს გადაწყვეტ ზომებს მის საწინააღმდეგოდ. ამის შესახებ წინათაც მქონდა თქვენთან საუბარი. ქალბატონ ეკატერინესაც გავაცანი ეს ამბავი და ყოველივე ამის გამო გამიჭირდა გოგონების მიყვანა სკოლაში. მე ვცდილობ, აღეზარდო ისინი კარგ ცოლებად, კარგ დელებად და კარგ მეხელგარჯილებად.

ილია წამოიღვა, ბოლოთის ცემა დაიწყო ოთახში, სოფიოს პირდაპირ დადგა, თვალებში შეხედა და ნაწყენი კილოთი უთხრა:

— აი, აქამდე ყველაფერი კარგი იყო, მისასალმებელი, საამაყო. აქ კი ნება მიბოძეთ, ჩემო კარგო მასწავლებელო, შეგნიშნოთ, რომ თქვენ ცდებით. ახლა თქვენი მეცადინეობა უნდა მიაქციოთ იქითკენ, რომ ქალს გონება გაუხსნათ ჭეშმარიტი აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ

გული კაცობრიულის, მოქალაქეობრივის ინტერესისათვის. ასეთი რწმენით გაზრდილი ადვილად გაიგებს მეუღლისა და დედის მოვალეობას. ამაშია შენი ამოცანა, შენი რაინდული და მისიონერული სულის დანიშნულება.

დიდხანს ლაპარაკობდა ილია ქალის როლის, ქალის დანიშნულების შესახებ მომაგო საზოგადოებაში იგი ქუნდა, ბობოქრობდა, იწოდა ქალები ათეულები თვალზეთ შესცქროდნენ მას ბოლოს გაჩუქდა, მობრუნდა და მოწყვეტილი ჩაეშვა სავარძელში.

რამდენიმე დღის შემდეგ ლაგოდეხკახის გზაზე კაკლის ხეივანში ეტლი მიჰქროდა, რომელსაც დიდი ილიას მოწაფე — ზემოთ მოხსენიებული პატარა მანდილოსანი მიჰყავდა საინგილოში. მას ილიას დარიგების მიხედვით უნდა აღეზარდა ინგილო ახალგაზრდობა. ხალხმა მას სიყვარულით „სოფიო დედა“ უწოდა და სამარადისო სასუფეველი მიუჩინა კახის წმიდა ნინოს ეკლესიის ეზოში.


საქართველოს უგვირგვინო მეფეს, ქართველი ერის მიერ წმიდანად აღიარებულს, ბევრი რამ აკავშირებდა საინგილოსთან. მოგვყავს ნაწყვეტი ინგილო მოხუცი კაცის მოგონებებიდან: 1980 წლის მარტში, 124 წლის ჯუმა პაპამ მზერა წარსულში გადაიტანა და გაიხსენა, თუ როგორ ჩაიკრა გულში ილიამ მასთან მისული ინგილოები, როგორ გულდასმით გამოჰკითხა იქაური მოსახლეობის მდგომარეობა, სახალხო სკოლების გახსნის საკითხი ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სოფლებში... „ჩონ საუბარში ოლღამაც მიიღო მონაწილეობა“ — აგრძელებს მოხუცი. — მითხრეს ჩამოვალთ, აუცილებლად ჩამოვალთ, ენახავთ ჩვენს ლამაზ მიწაწყალს. ახლოს გავეცნობით ხალხის სურვილს და სატკივარს ჩვენი სახსრებით გავხსნით სკოლებს კახის, ზაქათალის და ბელაქნის ოცდაათსავე ქართულ სოფელში... ვიცოდი, ილიამ ტყუილი რომ არ იცოდა. ვიცოდი, აუცილებლად ჩამოვიდოდა, მთელმა სოფელმა იცოდა ილიას ფასი და ელოდნენ იმედით... მაგრამ

სულ ცოტა ხანში გავიგეთ ილიას მოუ-
ლოდნელი სიკვდილის ამბავი... მახსოვს
სოფლის ხალხის ცრემლიანი სახეები:
„ილია აღარა, ილიაი მოჰკლეს!“...

ჩავედით ოლღასთან სამძიმარზე. ცოტა
ინგილოური მიწაც წავიღე და მის

საფლავს დავაპნიე... ოღლამ მიცნო,
გადამეხვია, ცრემლნარევი ხმით მომმართა:
არ დაგვცალდა, ძმაო, თქვენთან ჩამოსვლა...
აღარა გვყავს ილია... მეც ამომიჯდა
გული. ორივენი დიდხანს ვტიროდით“.

მართა ტარტარაშვილი



ქრისტიანობა საინგილოში. ინგილოთა ყოფა მეცხრამეტე საუკუნის მიმწუხრსა და მეოცის დასაწყისში.

(იბეჭდება შემოკლებით)



საინგილოს საბლალოჩინო, რომელშიც მე გადმომიყვანეს, შვიდი სამრევლოსაგან შედგებოდა. მათგან ოთხასკომლიან კახის ეკლესიას ორი მღვდელი ემსახურებოდა. ალიბელოს, ყორღანის, ქოთოქლოს, თას-მალოსა და ბელაქნის სამრევლოს, რომელიც 600 კომლისაგან შედგებოდა, სხვა მღვდლები ემსახურებოდნენ.

საინგილო ძველთაგან კახეთის ნაწილი იყო. ხუ წელს, შაჰ-აბასის ლაშქრის შემოსევისას, დაიწყო მისი განადგურება. ზოგი ქართველობა ადგილზე დახოცეს, ზოგიც სპარსეთს გადასახლეს, მათ ადგილას დაამკვიდრეს დაღესტნელი ლეკები, რომელნიც შაჰ-აბასს ეხმარებოდნენ ქართველების განადგურებაში. იმ ადგილებში, ახლაც დგანან მშვენიერი ძველი ტაძრები. სოფელ ლექეთის ახლოს შემორჩენილია მთელი სამონასტრო კომპლექსი სოფელ ყუმის ახლოს და სხვაგანაც არის მიტოვებული ტაძრები.

დამპყრობლებმა განადგურებას გადარჩენილ ქართველობას მდინარე ალაზნის ახლოს ქვემო ნაწილი მისცეს დასახლებლად, რადგან აქ აუტანელი სიცხე იცის, წყალი და ჰავა უვარგისია, ადგილი კი ციებ-ცხელებიანი. ამით თითქოს დიდი მოწყალეობა მოიღეს

თავის მამულში დარჩენილ ქართველობაზე ქართველთა ახალი სოფლები — ზაქათალა, ჭარი, ბელაქანი, კატეხი, მაწეხი, ყუმი და სხვები, წარსული საუკუნის 70 წლამდე ლეკებს ეჭირათ ბატონყმური წესით და დიდ შემოსავალსაც ღებულობდნენ. კახი და მდინარე ქურმუხის ჩაყოლებაზე მდებარე სოფლები კი ელისუს სულთნების ყმები იყვნენ.

ინგილოები, თუმცა ძალით გაამაჰმადიანეს, მამა-პაპათა რჯულს მალულად ინახავდნენ. სახელი „ენგილაჲ“, რომელიც ყმადქცეულ ქართველებს შეარქვეს, ქართულად კათაკმეველს ნიშნავს, ე. ი. მაჰმადის რჯულზე ახლად მოქცეულს. სანამდე რუსები დაღესტანსა და ჭარბელაქანს დაიპყრობდნენ, ინგილოებმა საიდუმლოდ მოილაპარაკეს, რომ მამა-პაპის რჯულზე ქრისტიანობაზე გადასულიყვნენ, თუმცა ამის გაკეთება ლეკებთან ძალზე საშიში იყო.

როცა რუსეთის ჯარმა დაღესტანი, ჭარი და ბელაქანი დაიპყრო, საინგილოში კვლავ ძველებურად დაარსდა თორმეტი სამრევლო თავისი მღვდელ-დიაკვნებით, მაგრამ ინგილოთა ამ სიხარულს დიდი დღე არ ეწერა. სოფელ ბელაქანში ბანქოს თამაშის დროს რუსის ჯარის ყოფილმა

პოლკოვნიკმა, ლეკთა ბეგმა ჰაჯი მურთაზმა, ჭერაგულად მოკლა ზაქათალის ოლქის უფროსი, თავადი შალიკოვი. ამის შემდეგ ზელაქანსა და სხვა სოფლებში ხელოვნურად მოაწყვეს აქ მცხოვრებ ლეკთა აჯანყება. რუსის ჯარის მცირე რაზმს, რომელიც რუსეთიდან პირველად შემოდიოდა საინგილოში, ლეკები ვიწრო კლდინ გზაზე ჩაუსაფრდნენ და მეომრები მთლიანად ამოწყვეტეს. მერე კი აჯანყებული ლეკები დაამშვიდა მთავრობამ და აჯანყების მიზეზების გამოძიება დაიწყო.


თვითონ დიდი მთავარი, ახალი მეფის-ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე იძიებდა ამ საქმეს. აგენტების ჩაგონებით ლეკობამ პირი შეკრა და ერთხმად განაცხადა, ძალითა გენათლავდნენ და აჯანყება იმიტომ მოვახდინეთო. ამაზე დიდმა თავადმა უპასუხა, ჩვენ ძალით არავის ვნათლავთ და არც მოვნათლავთო. ვისაც ქრისტეს რჯული არ გინდათ, არც ჩვენ გვინდისართ, თავისუფალი ხართო.

გამოძიებისას მხოლოდ აჯანყებული ლეკები დაჰკითხეს მშვიდობიან ინგილოებს არც კი გამოუძახეს. ქრისტეს რჯულზე მობრუნებული ინგილოებიც კი არ დაჰკითხეს, თუ რომელი მათგანი არის ძალათ მონათლული. შამილი უკვე დატყვევებული იყო და ჭარ-ბელაქანიც დაპყრობილი. ინგილოების დახმარება და ერთგულება რუსეთის იმპერიას უკვე აღარ სჭირდებოდა. ამიტომ ამ ქართველობისთვის თავს აღარ იწუხებდა.

გამოძიების შემდეგ ლეკები არ დასავჯეს ამით უფრო წააქეზეს ისინი და გათამამებული მოღობი, თავიანთი აგენტებით, დაერივნენ ქრისტიან ინგილოთა სოფლებს. აშინებდნენ: აგიკლებთ, დაგხოცავთ, ვინც არ გადადგებით ქრისტეს რჯულიდანო. ამის გამო თორმეტი სამრევლოდან სამი-ღადარჩა. ცხრა სოფლის მრევლი რჯულიდან გადააყენეს და მღვდლები გაიქცნენ. ინგილოების საჩივარს ლეკთა უსამართლობაზე მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა. უფრო მეტიც, მთავრობის ადგილობრივ დაწესებულებებში ქართველების მაგიერ

ლეკები დანიშნეს. მათ უფროსად მხოლოდ ერთი რუსი მოხელე დაუყენეს მთავრობის პოლიტიკა ახლა სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. ლეკებს უფრო ეფერებოდა, ვიდრე ქართველებს, მაგრამ კახის იმ სამი სამრევლოდან არავინ გადამდგარა ქრისტეს რჯულიდან, არც მღვდლები გაქცეულან, ალიბეგლოსა და ყორღანშიც მღვდელი ადგილზე დარჩა. მხოლოდ მრევლის ნაწილი რჯულიდან გადააყენეს – ქრისტიანობის ნაცვლად მაჰმადიანობა მიაღებინეს.

საინგილოში ქრისტიანობა ასეთი ჭირვარამით არსებობდა. კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება რომ დაარსდა და განვითარდა, (მას წინათ ოსების საზოგადოება ეწოდებოდა, რადგან ის მართლ ოსებში აარსებდა სამრევლოებს, აშენებდა ეკლესიებს და უწევდა მზრუნველობას), საინგილოც ახლა თავისი მზრუნველობის ქვეშ მიიღო. კრებული სრული ჯამაგირით უზრუნველჰყო. აშენებდა ეკლესიებს, აარსებდა სამრევლო სკოლებს მთელ კავკასიაში დაარსდა მისიონერისა და სამრევლო სკოლების მეთვალყურის სპეციალური თანამდებობანი. ამ საზოგადოების გამგეობაში შედიოდნენ აფხაზეთი, სამურზაყანო, ოსეთი და საინგილო. მღვდელსა და დიაკვნებს ნახევარი ხელფასი ხაზინიდან გვეძლეოდა, ნახევარი კი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებიდან. მღვდლების ჯამაგირი 600, დიაკვნებისა 300 მანეთს შეადგენდა. სახლიც კი უფასო გვექონდა. მრევლისაგან არავითარ მატერიალურ დახმარებას არ ვღებულობდით. სრულიად უსასყიდლოდ უნდა შეგვესრულებინა სავალდებულო ქრისტიანული წესები: წირვა-ლოცვა, ანდერძი, ნათლობა, ჯვრისწერა, ზიარება, აღსარება, სახლის განათვლა და ყველა სხვა წესი, რაც კი საჭირო იყო. ისე რომ, თუნდაც ასი ჯვრისწერა ჩაგვეტარებინა, ერთ ეროშსაც არ ავიღებდით. ტაბლებისა და ბეჭ-ტყაკების აღება, რომელიც საქართველოში დიდ სამარცხვინოდ ითვლებოდა, საინგილოში ხომ სათქმელადაც არ შეიძლებოდა. ჩემი იდეური შეხედულებით, სემინარიის



მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე

კურსის დასრულების დროს სწორედ ასეთ სამსახურს ვნატრობდი და ახლა, ამ მოხუცებულობის დროს, ღვთის შეწევნით, ბედმა მარგუნა ეს ნეტარება. ისევ უცვლელად ვდგავარ ამ აზრზე. წმინდად და უმწიკვლოდ ვასრულებ მას, რითაც პირნათელი ვარ ხალხთანაც და ჩემს სინდისთანაც. თავიდანვე ვცდილობდი, ჩემი წმინდა მოვალეობანი, როგორც სამსახურებრივი, ისე დამრიგებლობითი, საქმითა და ჩემი ცხოვრების მაგალითით, ზნეობრივი სიწმინდით შემესრულებინა, რაც შესაძლებელი იყო ჩემი ყმაწვილ-კაცობისათვის და რასაც სამსახური, ქრისტიანობის იდეა მოითხოვდა ყველა მღვდელისაგან, ვინც საინგილოში ვმსახურობდით. ამას მოითხოვდა, აგრეთვე, თვით ქრისტიანობის მღვდმარეობა საინგი-

ლოში, რაკი აქ საგანგებო მისიონერი დაინიშნა, რომელიც ხანგამოშვებით მოდიოდა, მთელი თვეობით რჩებოდა და კახის მეზობლად მდებარე ყორღანში, თასმალოსა და სხვა სოფლებში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ინგილოებთან და თვით მოლებთანაც კი საუბრებს მართავდა. ამან შეაშფოთა ლეკები. მათი სასულიერო წოდება დაფაცურდა და შეეცადა, სოფლებში კარგად განვითარებული მოლები დაენიშნა, მეჩეთები და მათი სკოლები უკეთეს პირობებში ჩაეყენებინა. მოლებმა ასეთი შეჯიბრება გაუმართეს სამღვდელოებას. სამღვდელოებაც ცდილობდა თავის სიმალლეზე ყოფილიყო.

საინგილოსა და მთელ კავკასიაში მაშინ მისიონერებად დანიშნული იყო სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, კანდი-

დატის ხარისხით და მღვდელმონაზვნად შესული ლეონიდე (ოქროპირიძე) საინგილოში სწორედ მისი შუამავლობით დამნიშნეს ბლალონინად, როგორც საიმედო ახალგაზრდა მღვდელი. ყოველმხრივ ვცდილობდი, მისი იმედები არ გამეცრუებინა. ყოველ კვირა-უქმე დღეს წირვა-ლოცვას დაუზარელად ვასრულებდი. წირვის დროს არ ვაკლებდი ქადაგებას, სახარების განმარტებასა და მოძღვრებას. ყოველივე ამას ვასრულებდი ხალხის გასაგები ენით. ამასთან, როცა კი შემატყობინებდნენ, დაუყოვნებლივ ვავებოდი სოფელში სამღვდელ მოქმედო წესების შესასრულებლად. როცა საჭირო იყო ანდერძის დამტკიცება, მიცვალებულის წინ გაძლოლა, ახალშობილთა ნათვლა, ახალშობიარე ქალის სახლის განათვლა, მიცვალებულთა მოსახსენებლად სუფრის კურთხევა და სხვა. ამ წესების შესრულების მოთხოვნა ექვს ვერსზე გაჭიმულ ოთხასკომლიან სოფელში ხშირი იყო, მეტადრე ბედნიერ დღეებში. მღვდლებს ხანდახან მთელ დღეს გვიხდებოდა სირ-

ბილი და საღამოთი დაღლილ- დაქანცულები ვბრუნდებოდით სახლებში. თუმცა კახში ორი მღვდელი ვიყავით და არ გაგვიძნელებოდა ოთხასი კომლის მოვლა, მაგრამ მეორე მღვდელი, – მიხეილ ყულოშვილი, – სოფელ თასმალოს ახალ სამრევლოში გადაიყვანეს, სადაც ათი კომლი კვლავ დაუბრუნდა ქრისტიანობას მისიონერ ლეონიდეს შეგონების შედეგად. ამასთან, მღვდელთან და მუსულმან ხალხთან, მათს მოღებთან საკამათოდ უფრო შესაფერისი და გამოსადეგი იყო მიხეილ ყულოშვილი, როგორც ყოფილი მოლა, ყურანის მცოდნე. მის მაგიერს კი კახში მღვდლად კურთხევის შემდეგ ჭლექი შეხვდა და მიიკვალა ამის გამო იმ მღვდლის მოვალეობის შესრულებაც მე მომიხდა სამ წელიწადს.

საინგილოს მისიონერ ლეონიდეს თხოვნის თანახმად, საჭირო იყო აშენებულიყო ქურმუხის წმიდა გიორგის მკვიდრი, ლამაზი ხუროთმოძღვრული ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი ქრისტიანებისა-



მღვდელი ი. ოქროპირიძე კახის ეკლესიის მრევლთან.
 აქვე საინგილოს ცნობილი მასწავლებელი სოფიო ყულოშვილი.

თვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეკლესიის ადგილი მდებარეობს მდინარე ქურმუხის ნაპირზე, ტყის მალალ გორაკზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს საინგილოს დაბალი ადგილები, ნუხის მაზრა, ალაზნის ნაპირები და შირაქის მთა. ამ ადგილზე დაწყებულია ერთი მთლიანი შავი კლდე, რომელსაც აქაურები „ქურმუხის გიორგის საყდარს“ უწოდებენ. გიორგობის თვის პირველ კვირა დღეს იცის ამის დღეობა. აქ სალოცავად მოდიან საინგილოს ყველა კუთხის მცხოვრები ქრისტიანი ქართველები და სომხები. ნუხის მაზრიდანაც კი მოდიან მუსულმანი ინგილოები და თათარ-ლეჩიცი. ხალხის გადმოცემით, ამ კლდეში არის გამოკვეთილი ეკლესია, რომელიც ძველად მთელი მახლობელი ქრისტიანების სამლოცველო იყო, მაგრამ აღმოსავლეთიდან მაჰმადიანთა მოძალებული ურდოების შემოსევების დროს კარები ამოუქოლიათ და ახლა მარტო შავი კლდე იჭურება. ამ კლდის წინ მოდიან მლოცველები, მუხლს იყრიან, სანთლებს ანთებენ, საკმეველს უკმევენ. თვითონ კლდე შავია, მაგრამ ძირი სანთლის ბოლით არის შავად გარუჯული. გარეშე კაცს, ვინც ამ კლდის შინაარსი არ იცის, ეს ჭეის და კერპთა თაყვანისცემა ეგონება. ეს აზრი რომ არ გამეფებულიყო, მისიონერმა ლეონიდემ ამიტომ აღძრა შუამდგომლობა სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ აქ ძველად ეკლესია ყოფილა და დიდი სახელიც ჰქონიაო, ამას ისტორიკოსებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს საეპისკოპოსო კათედრების სიაში მოხსენიებულია ქურმუხისა და გიშის საეპისკოპოსოები. გიშის ეკლესიის ნაშთები ქალაქ ნუხის მახლობლად ჩრდილოეთის მხარეს დღესაც კარგად არის შენახული. ინგილოთა ცხოვრებაში ამ ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა მათი გათათრების დროს.

ქართველები გარეგნულად თათრობას მისდევდნენ, მაგრამ საიდუმლოდ მაინც ქრისტეს რჯულს იცავდნენ, – დღესასწაულებსაც იჭერდნენ და მარხვასაც ინახავდნენ. აღდგომა დღეს ინგილო წამო-

იყვანდა საკლავს, მაგრამ თათრების შიშით ეკლესიასთან თუ ვერ მივიდოდა, მის წინ დაფარულ ტყეს შეაფარებდა თავს. შეხედავდა ეკლესიას, მუხლს მოიყრია, პირჯვარს გადაიწერდა: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო, შენ შეგვეწიე“, – იტყოდა და პირუტყვს წამოაქცევდა. სამღვთოს დაკლავდა, ჩუმად წამოიღებდა სახლში და აღდგომა დღეს გაიხსნილებდა, დიდ მარხვასაც და მარიამობის მარხვასაც იმ თათრობის დროს ინგილოები წმინდად ინახავდნენ.

თუ ინგილოს თათარი ბეგი სტუმრად ეწვეოდა, შემდეგნაირად გაუმასპინძლებოდა: სტუმრის პატივსაცემად, თათრულ წესზე დიდ ქვაბში ფლავს მოხარშავდნენ. ფლავის მომზადების დროს ქვაბში სპილენძის თეფშს ჩააყოლებდნენ და ბრინჯის ფაფას გაყოფდნენ ერთი ნაწილი სტუმრისთვის, მეორე ოჯახისათვის იყო განკუთვნილი. სტუმრის წილ ფლავში ერბოს ჩაღებდნენ მის დასანახავად, თავიანთ წილში კაკლის ზეთს ჩაასხამდნენ ხოლმე. ფლავს კი იმ ერთი ქვაბიდან იღებდნენ, რომ სტუმარს ეჭვი არ აეღო.

სიკვდილის დროს ზიარებასაც შემდეგნაირად ასრულებდნენ: წყალკურთხევის, აღდგომის, ან სხვა ბედნიერ დღეს რომელიმე მორწმუნე ინგილო კახეთის სოფლებში წავიდოდა, სეფისკვერის ნაწილს და ნათლისღების წყალს წამოიღებდა. იმ წყალს და სეფისკვერს ერთად გასთქვეფდნენ და ნაცარში აურევდნენ, ნაცარს წმინდად ინახავდნენ და თუ სოფელში მომაკვდავი ავადმყოფის ზიარება დასჭირდებოდათ, იმ ნაცრისას ცოტას გამოართმევდნენ, წყალში გახსნიდნენ და დაალევიებდნენ. ეს იყო მათი ზიარება.

ინგილოები ბავშვებსაც ნათლავდნენ. ამიტომ ყველა ინგილოს თათრული სახელიც ერქვა და ქართულიც. თათრულ სახელს მოლა არქმევდა, როცა ბავშვს თავისებური წინადაცვეთით ნათლავდა, ქრისტიანულ სახელს კი მღვდელი არქმევდა, როცა ბავშვს ქრისტეს წესზე ნათლავდა. როგორ და საიდან ჩნდებოდა მღვდელი ამ



მღვდელი იროლიონ ოქროპირიძე ოჯახთან ერთად

თათრებშიო, — იკითხავთ. ქიზიყიდან სამკალში სამუშაოდ გლახები მოდიოდნენ. ხელში ნამგლები ეჭირათ და თავზე ხილაბანდები ჰქონდათ მოხვეული. იმათში ერთი ერია მღვდელი, რომელიც ინგილოებს წინასწარ ჰყავდათ შეპირებული. ინგილოებმა ზოგან ახლაც ისეთი დაფარული სახლები იციან, რომ სხვენი საკუჭნაოდ და ოთახად ჰქონდათ გამოყენებული. სხვენიზე სინათლე არსაიდან არ შედიოდა. ეს განაპირობებდა მათ იღუმალ მოქმედებას, მუშად მოჩვენებულ იმ მღვდელს ღამე იქ აიყვანდნენ და მანამდე მოგროვილ ბავშვებს ჩუმად ნათლავდნენ. ამ ბნელ ოთახში, ზამთრობით რომ თბილია და ზაფხულობით გრილი, ახლა ახლადდაქორწინებულ ნეფედლოფალს აწვევენ, ზაფხულში კი აბრეშუმის ჭიას უვლიან და ინახავენ.

ყველა ინგილოს სახლის ახლო ბაღში კარგად მოვლილი ხეივანი აქვს, სუფთად შენახული. ეს ამწვანებული მშვენიერი ადგილი ინგილოთა საგვარეულო საყდარი იყო. მათ მამა-პაპათ ეს ადგილი წმინდა ადგილად ჰქონია მიჩნეული, რადგან მათი ძველი ოჯახი აქ ყოფილა და ერთი გვარის ოჯახები აქედან გამრავლებულა. იქ გდია სუფთა მოზრდილი ქვა კვირამალზე და უქმე ღღეს ამ ქვაზე ანთებდნენ სანთელს და ზემოდან ძველ ქოთანს აფარებდნენ, რომ სინათლე არ გასულიყო, საღვთოებსაც აქა კლავდნენ, თუ ქურმუხის ეკლესიაში ვერ მოახერხებდნენ მის დაკვლას. ჩემი იქ ყოფნისას, ამნაირი საყდარი ყველა გვარეულობას ჰქონდა. მას წმინდად ინახავდნენ, მაგრამ ბოლო დროს ზოგმა ის ხეივანი

აჩეხა — ვენახს მიჩრდილავს, ადგილსაც ბევრს იჭერსო.

ხუციშვილების ერთ ოჯახში დღესაც ინახვენ ყდაშემოცვეთილ სახარებას, მინანქრის ბარბიძისა და ამნაირსავე სანაწილეს. ამ სახარებას ხუციანთ ოთხთავს ეძახიან. მათ წინათ, თურმე, კიდობანში ინახავდნენ. ახლა კი ხის სუფთა კარადაში აქვთ ჩაკეტილი. ოთხთავს წინ შანდალი უდვას პატარა სანთლის დასანთებლად. ეს სახარება ამათი გვარის ერთ ბერს ჰქონია და მას დარჩენია. თათრები ამ ბერს თურმე ყარაქეშიშს ეძახდნენ, რაც შავ მღვდელს ნიშნავს. ის მღვდლობის დროს დაქვრივებულია და ბერად აღკვეცილა. მღვდლებს კი შავ სამღვდლოებას ახლაც ეძახიან. ეს ოთხთავი ისე სწამო, რომ მას უბრალოდ არ ახსენებენ. განსაკუთრებით დიდ შემთხვევაში თუ დაიფიცებენ ისე, როგორც ქურმუხის საყდარს. ის ყარაქეშიში თათრებს წაშებით მოუკლავთ (მისთვის თავზე გახურებული ზედადგარი დაუდგამთ). წმიდანად ითვლება, მაგრამ მისი საფლავი არ იცინა. მისი სახელის არდავიწყებისათვის ამ სახარებას ინახვენ. ბევრი ინგილო ავადმყოფობისას საღმრთოსა და სანთელს ჰპირდება ამ ოთხთავს, ოღონდ მალე გამოჯანმრთელდეს. ბედნიერ დღეს აქ მოდიან, ოთხთავს მამლებს უკლავენ და სანთელს უნთებენ. ჩემზე წინ მსახურ ბლალორინებს უსურვებიათ ამ სახარებისა და კიდობნის გადმოტანა ეკლესიაში, მაგრამ არ დაუნებებიათ. ეგ ჩვენს გვარში უნდა ინახებოდეს, თორემ არ გვიყაბულებს და გაგვიწყრებაო. ხალხსაც უარი უთქვამს მის იქიდან დაძვრაზე.

1871 წლის ბლოს კახის ნაიბი მერკულოვი ალიაბადის სანაიბოში გადაიყვანეს. მერკულოვი დიდი თანაგრძნობით ეპყრობოდა ქრისტიანობას. კახის ახალი ნაიბი გეგელაშვილი კი მექრთამე და ხალხის მყვლეფავი აღმოჩნდა. ალიაბადის სანაიბოში იყო სოფელი თასმალო, რომელშიც წინათ სამოცი კომლი ქრისტიანი მრევლი ცხოვრობდა და თავისი მღვდელი ჰყავდა, მაგრამ 1863 წელს, როცა ბელაქან-

ში ზაქათალის ოლქის უფროსი თავადი შალიკაშვილი მოკლა ჰაჯი მურთაზმა და ლეკ-თათართა აჯანყება და ქრისტიან ინგილოთა გათათრება კვლავ დაიწყო, თასმალოს მრევლმა ჭეშმარიტ სარწმუნოებას უღალატა. თასმალოში მხოლოდ სამი კომლი დარჩა მტკიცედ ქრისტიანობაზე. მათგან ორი კომლი იყო ფიროსმანაშვილების და ერთი ადვჭაშვილებისა. ქრისტიანთა ეს სამი კომლი მტკიცე დასაყრდენი იყო მისიონერ ლეონიდესი, რომელიც არც თუ ისე იშვიათად მიდიოდა მათ ოჯახებში. მას სურდა მოლებთან გაემართა მოლაპარაკება, მაგრამ მოლები მასთან მოლაპარაკებას გაუბოძდნენ. თათრული ენის მშვენიერად მცოდნე მერკულოვმა მოლები ხალხთან შეარცხვინა. თუ თქვენი რჯული ქრისტიანობაზე უკეთესია, რათ გეშინიათ ქრისტიან მისიონერებთან სარწმუნოებაზე კამათის გამართვისა? შეხედეთ ერთმანეთს, თქვენ თქვენი თქვით და იმათ თავისი. ამით რა დაგვიშავდებათ? ის კაცი ძალით ხომ არ დაგნათლავთ? მოლები დაითანხმა, რომ კრება გაემართათ და მისიონერებთან ესაუბრათ. ალიაბადის სანაიბოში ხალხი ქართულ ენაზე უფრო წმინდად ლაპარაკობს, ვიდრე კახში. ამ საუბარს ის შედეგი მოჰყვა, რომ ცამეტმა კომლმა სურვილი გამოთქვა დაბრუნებოდნენ ქრისტიანობას და მისიონერს თხოვნა წარუდგინეს. მისიონერმა ეს თხოვნა თავის მხრივ ეგზარხოს ვლადიმირს წარუდგინა. მისგან ნებართვა მიიღო ლეონიდემ, რომ განემტკიცებინა სარწმუნოების ცოდნა ინგილოებში და მოენათლა ქრისტე რჯულზე. ლეონიდემ და მღვდელმა მიხეილ ყულოშვილმა ამ ინგილოებს სარწმუნოება შეასწავლეს და მონათლეს. ლეონიდემ ეგზარხოსს მაშინვე წარუდგინა მოთხოვნა, რომ მალე დაენიშნათ მღვდელი ახალი სამრევლოსათვის და ეკლესია აეშენებინათ. ამასთან თხოვდა, რომ აქ გადმოეყვანათ კახის მეორე მღვდელი მიხეილ ყულოშვილი, როგორც გამოცდილი, ინგილოთა ზნე ჩვეულებისა და თათრული ენის კარგი

მცოდნე, მოლებთან გამოცდილი მოკამათე; მის ადგილზე კი კახში მღვდლად ეკურთხებნათ სამრევლო სკოლის მასწავლებელი ნიკოლოზ ყულოშვილი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა საოსტატო სემინარიის სრული კურსი.

მღვდელ ყულოშვილის მაგიერ ჩემს თანამემწედ მისი შვილი დანიშნეს. ეკლესიების ასაშენებლად ორი პროექტი მოვივიდა, რომლის მიხედვით ქურონების ეკლესია უნდა აშენებულიყო ბიზანტიური სტილით, ჯვარის სახით, გუმბათიანი, ხოლო თასმალის ეკლესია რუსული სტილით, უგუმბათოდ აშენდებოდა. ორივე ეკლესიისათვის გამოყოფილი იყო თანხა, და ამდენად თადარიგსაც მაშინვე შევუდექით. კარგი მცოდნე კალატოზი შევიგულეთ სიღნაღში. ეს ოსტატი თავისი მუშებით მუშაობდა. კირი და მასალა კი ჩვენ უნდა დაგვემზადებია.

ლეონიდე, როგორც მისიონერი, სკოლების მეთვალყურე და კავკასიის ბევრ რაიონში ქრისტიანობის აღმდგენელი, ზაქათალის მაზრაში მარტო დიდ მარხვაში მოდიოდა. სხვა დროს მას უნდა ემოგზაურა აფხაზეთში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთსა და ჩრდილო კავკასიაში, ფშავ-ხევსურეთში. ამის გამო ამ ეკლესიების მშენებლობის მეთვალყურეობა მთლიანად მე დამეკისრა. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ქვა-ქვიშითა და კირ-აგურით მომარაგება. ამისთვის მყავდნენ კომიტეტის წევრები. მშენებლობა 1893 წლის გაზაფხულზე დაიწყო. 1895 წლის შემოდგომაზე კი ორივე ეკლესია საკურთხებლად მზად იყო.

სანამ თასმალის ეკლესიას ავაშენებდით, ქრისტეს რჯულზე გადმოსულ ინგილოებს, მოლებს ჩაგონებით, თათრებმა ბრძოლა გამოუცხადეს. დახოცვითა და სახლ-კარის დაწვით ემუქრებოდნენ. იმათ საქონელს ნახირშიც კი აღარ უშვებდნენ. ინგილოებს საქონელი ეკარგებოდათ და ვეღარ პოულობდნენ. იმ დროს ნაიბი მერკულოვიც სხვაგან გადავიდა და მათ მფარველი აღარავინ ჰყავდათ. ამიტომ თათრების

შიშით ისევ გადადგნენ რჯულიდან. ვეღარც მისიონერ ლეონიდეს დარიგებამ გამოასწორა საქმე და ეს ყველაფერი ეგზარხოსს მოვახსენეთ.

- 1897-1898 წლებში ლეკებისაგან შიშისანობა გამძაფრდა. ოსმალეთიდან მოდიოდნენ ემისრები. ლეკებსა და თათრებს დამლაშობით შეკრებდნენ ხოლმე და რაღაცას ელაპარაკებოდნენ. მათ აშკარად შეეტყვოთ, ქრისტიანების წინააღმდეგ ამხედრება. ინგილო დედაკაცებს ეკლესიის გვერდით მიმავალი ლეკებისაგან გაეგონათ, ცოტა კიდევ და აი, იმ ზარსაც ჩამოვადებთ, ეკლესიასაც დავანგრავთ და ქრისტიანებს მღვდლებთან ერთად ავიკლებთო. შეშინებული დედაკაცები მოვიდნენ ჩვენთან და ეს ამბავი შეგვატყობინეს. კაცებმაც დაადასტურეს, ყონალები გვეუბნებოდნენ, რომ მართლა რაღაცას აპირებენ, შეძლებული ინგილოების სახლ-კარი ასაოხრებლად დანაწილებული ჰქონიათ ოსმალები მოგვეშველებიან და რუსებს გავერეკავთო. ყველგან შიში გაძეფდა.

მეც შეშინდა და გადავწყვიტე მეორე დილითვე ჩავმჯდარიყავი „ტროიკაში“ და ცოლ-შვილი გორში წამეყვანა. სიღნაღამდე გავეყვებოდი, მარტო რომ ვიქნებოდი და ცოლ-შვილზე ზრუნვა აღარ დამჭირდებოდა, მრევლს უფრო კარგ პატრონობას გავეწვედი. ცხენოსანი რაზმის შედგენას ვაპირებდი, მაგრამ მეორე დილას, სანამ წასასვლელად მოვემზადებოდი, ჩემთან მოსალაპარაკებლად მოვიდნენ მასწავლებლები ბათო ხუციშვილი და თომა პაპიაშვილი. გასაქცევად მზადება შეგვატყვეს და გვითხრეს, თქვენი გაქცევით ხალხი უფრო შეშინდება, სასოწარკვეთაში ჩავარდება და უფრო უარესია; სულ დაიღუპებიანო. მათ ჩემი განზრახვა აუხსენო მერამ ამით რას დავაჯერებდი? მაშ კარგი დაფრჩხილ, მაგრამ ახლავე გავზავნოთ დეპეშა მეფის ნაცვალთან. საჩქაროდ შევატყობინოთ აქაური მღვდმარეობა-თქვა, ვუთხარი ამ დეპეშას სამივემ მოაწერეთ ხელი.

დეპეშაში ვწერდით, რომ ლეკები დაცემას აპირებენ ქრისტიანებზე და ვთხოვთ, საჩქაროდ

მოგვაშველოთ ჯვარი-თქვა იმყამდ მეფის ნაცვლის მოვალეობას გენერალი ამილახვარი ასრულებდა იმას მაშინვე გაეგზავნა ბრძანება დედოფლის წყაროში ნიუგოროდის ცხენოსანი პოლკისათვის, რომ საომარი მომზადებით სასწრაფოდ წასულიყვნენ ზაქათალის ოლქის ქრისტიანულ და მუსულმანურ დასახლებებში სამი დღის შემდეგ კახში შემოვიდა გრენადერთა ცხენოსანი პოლკი თავისი „კუნძითა“ და აღალით პოლკის უფროსი პოლკოვნიკი არჯევანიძე და შტაბის სამი ოფიცერი ეკლესიის ეზოში შემოვიდნენ და მომიკითხეს, ბლალოჩინო ოქროპირიძე რა დეპეშა გაგიგზავნათ მეფის ნაცვლისათვის, რაშა საქმეო? მდგომარეობა ავუხსენი. მან მიპასუხა, რომ მეფის ნაცვალმა ამის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ თქვენმა დეპეშამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინაო. ახლა დამშვიდებით იყავით, რაკი დაგვიანახეს, მუსულმანები კვლარაფერს ვაბედავენო.

მეორე დღეს ათ ოფიცერს სადილი გაუმართეთ ეკლესიის ეზოში, როცა პოლკის მეომრები სადილობდნენ, სასულე ორკესტრი უკრავდა. გარშემო ხალხი მოგროვდა განსაკუთრებით ლეკები მოვიდნენ და ერთიბიორეში ჩურჩულებდნენ, ჩვენ ამითან რას გავხლებით, მარტო ცხენებით გავვსრესენო. პოლკმა სამ დღეს სულ შემოიარა თათრებისა და ქრისტიანების სოფლები მერე დედოფლის წყაროშივე დაბრუნდა. ამრიგად ლეკ-თათრებს გულში ჩაუკლეს განზრახვა, რამაც ქრისტიანები გამხსნევა. დრაგუნის ბეგერი ოფიცერი ქართველი იყო, მათ მოსწონდათ ჩვენი გაბედული და დროის შესაფერისი საქციელი.

მეც დაგმზიდდი და ჩემი ქრისტიანი მრევლიც დაგამზიდე აზვურად ასე ავიცილე თავიდან მოსალოდნელი განსაცდელი.

ლეონიდე ოძროპირიძე - მღვდელი
(შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი)

მისიონერის ჩანაწერებიდან

„უფალო ღმერთო და ქურბუხის ტადარო, თქვენ დამოუარეთ“ – ყოველი მართლმადიდებელი ინგილო ასე აღავლენს ლოცვას, ვიდრე რაბე საქმეს შეუდგებოდეს იგი უზენაესს არც მაშინ იფიწყებს, როცა ყოველდღიურ სუფრას მოუკვდება და მოგრძო ფორმის საქართველოს ისტორიაში „მოთი“-ს სახელით ცნობილ პურს გატეხს.

ქურბუხის ტადარს ზაქათალის ოლქის ყოველი მკვიდრი ქართველი თავის ყველაზე დიდ სიწმიდედ თვლის და 10 ნოემბერს, ძლევაძისილი, დიდმოწამე წმიდა გიორგის ხსენების დღეს, ზემოხსენებული

ოლქის მცხოვრები მართლმადიდებლები ისეთივე მოუთმენლობით, სიხარულითა და სასიოებით მოელან, როგორითაც ყოველი ჩვენთაგანი ქრისტეს აღდგომას. დღესასწაულის დადგომამდე ჯერ კიდევ რამდენიმე კვირით ადრე, დიდი და მცირე გულმოდგინეთ იწყებს ამ დღის ღირსეულად შეხვედრის სამზადისს: ყიფულობენ შესაწირავ ცხვარს, იმარაგებენ საუკეთესო ღვინოს, აცხობენ უმაღლესი ხარისხის პურს, იკერავენ ახალ ტანსაცმელს და სხვ. ასე, ყოველი მათგანი მატერიალური შესაძლებლო

ბის გათვალისწინებით სათანადოდ მომზადებული, დღესასწაულის წინა დღეს ოჯახის თავის წინამძღოლობით ვაღება სანუკვარ ქართულ ურემზე და სულიერი ნეტარების გრძნობით ნელ-ნელა, დინჯად, ს.კახიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით სამი ვერსის მანძილზე სათაყვანო სიწმიდისაკენ მიემართება.

ქურმუნზე ასვლა ყოველი ქრისტიანი ინგილოსათვის საგაღებულაა და ამიტომაც ქურმუნის მთა, რომელზედაც ამჟამად აღმართულია ზომით არც თუ ისე დიდი, მაგრამ უნატიფესი ფორმის ტაძარი, ამ ღამეს ძირიდან ვიდრე თხემამდე მლოცველთ ვერ იტყვს.

საუცხოო სანაზავია ღამის მღუმარებაში ჩაძირული, მთვარის შუქითა და ათასობით სანთლით განათებული ამ მთის ხილვა! ერთ ნახვად ღირს, როგორ კმაყოფილებას ნეტარებასა და სულიერ აღმაფრენას განიცდის ამ წმიდა ღამეს ყოველი მლოცველი.

ზაქათალის ოლქის ქრისტიანთა საქებად და უდიდეს ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ამ ღირსშესანიშნავ და ხალხმრავალ ზეიმზე სრულიად არ შეიმჩნევა ის თავაშვებულობა, საეკლესიო დღესასწაულისათვის შეუფერებელი მზიარულება, შფოთი და არეულობა, რაც აუცილებელ თანმხლებად იქცა ქართლსა, კახეთსა და იმერეთში მსგავს დღესასწაულობებზე. ზაქათალის ოლქის ქართველობა ქურმუნში მოდის არა გართობის, ქვიფისა და მზიარულებისათვის არ, ამედ მამა ღმერთის სახელზე გულითადი და მხურვალე ლოცვების აღსავლენად-მოდის ისეთ ადგილზე, რომელიც თავის წიაღში ქრისტეს რწმენისათვის აღსრულებულთა ძვირფასს ძვლებს იფარავს. ქურმუნზე თავმოყრილი მლოცველები შეადგენენ ერთ ოჯახს, რომელიც „ერთპირ და ერთგულად იდებებს და უგალობს“ თავის შემოქმედს.

ერთობ სისხნარულო და სსიამოვნოა ყოველივე ეს, მაგრამ გული ტკივილისგან გვეკუმშება, როცა უნებლიედ გახსენდება, რომ ამ ქრისტიანების ახლობელთა მნიშვნე-


ლოვანი ნაწილი: მათი გამუსლიმებული პაპები, მამები, ძმები, ბიძები, ძმისშვილები და სხვ. გულგრილნი არიან მშობლიურ სიწმიდეთა მიმართ და როგორც ჩანს, მშობლიურ ენაზე ხელის ალება გადაუწყვეტიათ. მხოლოდ თათრულად მეტყველებენ. მართალია, ჩვენ იმის მოწმეც ვიყავით, რომ იმ ღამით ქურმუნში რამდენიმე თასმალოული და ალიაბდელი მუსლიმი ინგილო მოვიდა, თან სანთელ-საკმეველი. მოიტანა და ქრისტიანებთან ერთად ლოცულობდა, მაგრამ მათი რიცხვი ძალზე მცირე იყო; ამასთან, ისე ემინოდათ მაჰმადიანებს არ შეენიშნათ, და ისე იმალეობოდნენ, საეჭვოა, აქ მეორევეჯერ ამოვიდნენ.

აკვირდები რა ამ უკიდურესად სამწუნხარო ამბავს და ყოველივეს ღრმად უფიქრდები, ძალაუნებურად გებადება კითხვა: — რა, ან ვინ აზიზლებს ინგილო მუსლიმებს თავიანთ ნათესავ ქართველთ? რას, ან ვის შეაქვს დაუნდობელი დაპირისპირებულობა და დაქსაქსულობა ადამიანთა ცხოვრებაში, რომელთაც ერთმანეთთან სისხლისმიერი ნათესაობა აკავშირებს, რომელთა ანტაგონიზმი და დაყოფა, როგორც მკვიდრი ხანდაზმულეები მოგვითხრობენ, ადრე არ შეიმჩნეოდა?

გინდა, ახსნა მოუძებნო ხსენებულ სამწუნხარო ფაქტს; ცდილობ გაეცნო მუსლიმ — ინგილოთა ყოფას, მათ გონებრივ თვალსაწიერს, აღზრდის საფუძვლებს, შეხედულებათა გამოუმუშავების გზებს.

საკმაოდ დაინტერესნი ინგილოები, ძალზე ბევრი ვნება მიაყენა მათ მუსულმან სასულიერო პირთა მძლავრობამ, დღეის დღეობით ნამდვილი დაღუპვის გზაზე იმყოფებიან და ამიტომ ჩვენი წმინდა ადამიანური ვალია, თუ არ გვინდა ვიყოთ დამნაშავე ღვთის, ისტორიული სამართლიანობის, საკუთარი სინდისისა და ბოლოს, წმიდა წამებულთა — დასაღუპად განწირული ხალხის წინაპართა წინაშე დახმარების ხელი გავუწყოლოთ მათ (ინგილოებს), გადავარჩინოთ.

ხალხის ხსოვნაში შენახული წარსული, მისი მოამაგენი



ზაქარია ედილს თავისი თვალთ უნახავს, შეუსწავლია საინგილოს მიწა-წყალზე არსებული ეკლესია-მონასტრები და ციხე-კოშკები. ისე, როგორც საინგილოს ისტორია, მისი ეთნოგრაფია, ბუნება, კულტურა, ამ ტაძართა და ციხე-კოშკების მდგომარეობა, მათთან დაკავშირებული გადმოცემებიც დაწვრილებით აღწერილია მის წიგნში „საინგილო.“ ხშირად ჩამონგრეული და ფრესკებ-ჩამორეცხილი, ხშირად მხოლოდ ნაეკლესიარიც და მათ ირგვლივ მიმოფანტული ქართულ წარწერებიანი ქვები, აგრეთვე, სახლების ნანგრევები გვამცნობენ, რომ აქ ძველად სიციცხლე ღულა და ძალუმად ისმოდა ქართული მაჯისცემა. ახლა კი უმეტესწილად, ამ მიდამოებში უცხო ტომის ხალხი სახლობსო, აღნიშნავს იგი. ტაძრები კი მაინც არსებობს. მტერს სალოცავების დანგრევის ეშინოდა. ასეთი შემთხვევებიც ყოფილა, თათრები ქართულ ტაძარში რომ სალოცავად შესულან, მაგალითად, ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძარში... (ასეთი რამ დღესაც ხდება).

ზაქარია ედილმა შემოგვინახა ცნობები ისეთ ციხე-ტაძართა შესახებ, როგორებიცაა ბელაქნის ძველი სავანე (სადაც მოღვაწეობდნენ პიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებლიძე), კაკასიის კედელი, რომელიც კარგა მანძილზე პარალელურად მისდევდა მთელ საინგილოში გაჭიმულ დიდ შარავას, ყუმის დიდი ეკლესია, რომელიც ლეკებს 1915 წელს, მის თვალწინ დაუნგრევიათ და მისი ქვები საკუთარი სახლების ასაშენებლად წაუღიათ.

სწორედ ამ გარემოებას აუბულებია იგი მიტოვებული ქართული ძეგლები შემოევლო, აღენუსხა, შეესწავლა და დაწვრილებით აღეწერა.

ეს ცნობები ამჟამად ნამდვილად ფასდაუდებელია. მითუმეტეს, რომ ბევრი იმ ძეგლთაგანი, დღეს უკვე აღარ არსებობს.

შემოქმედი სულისაგან მთლიანად დაცლილი და იმედგადაწურული იყო საინგილო, როცა იგი იქ ჩავიდა. რა შეეძლო მას სიყვარულისა და ერთგულების გარდა? ძალიან ცოტაც და ძალიან

ბევრიც. და მან გააკეთა ეს ძალიან ცოტა და ძალიან ბევრი.

თქმულებები და ბავშვობები

მძიმე ტრაგიზმითაა სავსე ინგილოური ლეგენდები და გადმოცემები... ძალიან მძიმე ტრაგიზმით. ერთი მშვიდი წამიც არ ანათებს მათში, ერთი მცირე სინარულიც არ ფეთქავს. თითქოს არასოდეს დაუსვენია ამ ხალხს. თითქოს მხოლოდ გაბმული ტანჯვა და სიციცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ყოფილა მისი ცხოვრება. აღარ ახსოვდათ წარსულის დიდნი საქმენი: ჰერეთის ერისმთავართა, ერის მოამაგეთა, ერის შვილთა საქმენი საერონი, საეკლესიონი, საგმირონი... რუსთაველის სამშობლოობას რომ იჩემებდნენ... პირველი ქართველები ჩვენ ვიყავით, ჩვენგან განივრცო და გამრავლდა ქართველთა გვარ-ტომიო, რომ ამბობდნენ. მწიგნობრობის დიდი კერა რომ იყო, შიგა საქართველოში მტერს რომ არ უშვებდა აროდეს. შაკ-აბასის მრისხანე მახვილს შეეწირა ყოველივე და დარჩა მხოლოდ ტკივილი, ისეთი მძიმე და

მოუშუშარი, მთლიანად რომ ჩაჰკლა შემოქმედი სული. მაგრამ არა, ამ გადმოცემებსა და ლეგენდებში, თუმცა ზოგჯერ გულუბრყვილოდ, მაგრამ მაინც ღვივის მცირეოდენი ნაპერწკალი, „ნაშთი ძველი დიდებისა“, ღვივის იმედი და რწმენა... თვით იმ მწუხარე ამბებში, რომელიც მკაცრი სინამდვილის თავისებური მხატვრული განზოგადებით შეუქმნია ხალხს, იგრძნობა ერის სული და სურვილი, როგორმე, რაღაც იქნებ ნამდვილი, ან იქნებ გამოგონილი, მაგრამ მაინც სასურველი მიზეზი მოუძებნონ მთელ რიგ ტრაგიკულ ამბებს...

სწორედ ეს მცირეოდენად მბრუნავი, ტკივილიანი და სიყვარულიანი ნათელი აძლევს ერის სულს არსებობის ძალას. გაზაფხულიც ყოველ წელიწადს მოდის. მოდის ბავშვის უმანკო ღიმილით, მისი დაუოკებელი სწრაფვით სიცოცხლისაკენ. და რაკი ეს სწრაფვა, ეს განახლება, ეს აღორძინება სიცოცხლისა ნამდვილი და გარდაუვალია, გარდაუვალია იმედიც... გარდაუვალია რწმენაც. აი, ამ იმედის გადარჩენის, აღარ გადაგვარების, აღარ მოსპობის სიმბოლოდ მათ სულში ისევ ქართული და სინათლიანი სამყარო შემოდის.

ქალთა ციხე

რატომ ბოგოძრობს მდინარე ბიში

შორს, იქ, სადაც საქართველოს ძველი ისტორიული საზღვარი თავდება და მდინარე გიში თავპირის მტვრევით მიღრიალებს, მთის პატარა მიუვალს ქიმიდან კარგა მოზრდილი ციხე-კოშკი ამაყად გადმოცქირება, რომელსაც ქალთა ციხეს ეძახიან. ძველს დროში ამ ხეობაში ქართველთა ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა. აქ იყო საქართველოს განაპირა ქვეყნის, ჰერეთის შუაგული, აქ ისხდნენ მისი ერისთავნი და მმართველ-გამგებელნი. აქ ხალხს მწყემსდა დიდი მწიგნობარი ჭყონდიდელი, დავით აღმაშენებლისაგან დანიშნულ-გამწესებული. ძლიერი იყო მაშინ ჰერეთი და არავისი შიში არ ჰქონდა.

მაგრამ დრონი იცვალნენ. გაქრა ჰერეთის სიხარულისა და შებების დღენი, ჰერეთი დასუსტდა და მუსულმანთა სათარეშო მოედნად გადაიქცა. რაც დრო გადიოდა, მონღოლები ძლიერდებოდნენ და მედგრად აწევდნენ საქართველოს ამ განაპირა კუთხეს. ხალხი უკან-უკან იწევდა და მდინარე გიშის მიუვალ ხეობას და მთა-კლდეს ებიზნებოდა. მთელი ჰერეთი იქ იყრიდა თავს. მტერი დიდი ლაშქრით წამოვიდა. ხალხმა ყველაფერი წინასწარ გაითვალისწინა და ცოლ-შვილი მიუვალ ციხეში შეხიზნა და გაამაგრა. თვითონ კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მოემზადა. მტერს ხეობის ვიწრო გასავალი ჰქონდა ჩაკეტილი. დაიწყო თავგანწირული ბრძოლა. ქართველები ლომებივით იბრძოდნენ, მაგრამ რას განდებოდნენ ურიცხვ მტერთან. ყველანი მამულსა და სამშობლოს შეეწირნენ. ერთიც აღარ წამოსულა ცოცხალი.

გამარჯვებული მტერი ყოფინით შეესია ციხეს. ქვემოდან შესძახეს იქ გამაგრებულ ქალებს:

– დაგვენდით, თორემ სულ ერთიანად ამოგჟლეტთო.

ციხიდან არავითარი ხმა არ ისმოდა. იფიქრეს, შიგ არავინ არ არისო და დაიწყეს ბჭობა, როგორ ასულიყვნენ. თათრები თხებივით გაიბაწრნენ და აუყვნენ ციხის ბილიკებს. ამ დროს ციხის ამბრაზურებზე თოფის ლულები გამოჩნდა და თვალის დასამხამებაზე იგრიალა. მტერს თავგზა დაებნა, აირია, უზომო ზარალი ნახა.

დიდხანს იბრძოლეს ქალებმა. მტრებმა თვით ციხის ცხვირწინ აღმართეს საფარი და დაუშინეს თოფები.

ციხე ხმას არ იღებდა. ბოლოს რაღაც არაჩვეულებრივი ჩოჩქოლი ატყდა. ქალებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ.

– გაეწყდეთ, მაგრამ მათ არ ჩაუვარდეთ ხელში, – გაიძახოდნენ ისინი და თანდათან გადაეშენნ მდინარე გიშის თვალჩაუწვდენელ უფსკრულში. საშინელი და გულშემზარავი იყო ეს სურათი. ცვივოდნენ ბავშვებით. გადახტომის წინ ყველა პირჯვარს იწერდა... ეს იყო არაჩვეულებრივი თავგანწირვა სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის. რაკი სხვა გზით თავის ხსნა აღარ შეეძლოთ, მტერი მაინც არ გაახარეს. შემზარავი, მაგრამ ამალღებულად ლამაზი იყო ეს უმძიმესი წუთები.

უფსკრულში ყველაფერი ილეწებოდა, იმსხვრეოდა. ცოცხალი აღარავინ ჩანდა. აივსო მდინარე. წითლად შეიღება მისი პიტალო მთის ნაწური ცრემლები, შეტბორდა, შედგა, გასავალი აღარსად ჰქონდა. ადამიანთა დაღუპული სხეულები, მათი საცხოვრებელი და საერთოდ, ყველაფერი ერთმანეთში აირია. თვით მდინარე გიშიც შეჰზარა ამოდენა საცოდაობამ. ბოლოს ერთბაშად წამოვიდა ქვიშა-ლამი, გადაეფარა ზვეიდან დახოცილებს, თავის წიაღში გაუთხარა საუკუნო სამარე და კვალად არაჩვეულებრივად აბობოქრებული, ღვართქაფად ქცეული ზღვასავით ერთბაშად აზვირთდა, დაეტაკა ხეობის ბოლოს დაბანაკებულ მტრის სადგომს და მთლად წალეკა, წაიღო.

მას შემდეგ აღარ მოუსვენია მდინარე გიშს. მუდამ აფთარი და უნდობია ყოველ განაფხულზე. მოვა თუ არა ის დრო, როცა მტერმა უწყალოდ ამოწყვიტა ამ ხეობის მკვიდრნი, აბობოქრებული მრისხანედ მოედება ხოლმე ხეობას, იტაცებს, აოხრებს იქაურობას და თან მიაქვს ყველაფერი, რაც კი წინ დახვდება. მისგან მოსვენება არა აქვთ გიშის ახალ მობინადრეებს, ქალთა ციხე კი ამაყად გადაჰყურებს გიშის ხეობას.

მეორედ მოსვლას მოგაგონებდათ შაჰ-აბასის შემოსევა საინგილოში. მთელი ქვეყანა ცეცხლში იყო გახვეული. იწვოდა სოფლები, სახლ-კარი, ბაღ-ვენახები.

სოფელ ფიფანის ახლოს დაბანაკებულ შაჰ-აბასის მხედრობას თან ახლდა 40 000 ტყვე ინგილო. მას სურდა მათი ნეშტისაგან ძეგლი აეგო... ძეგლი არაჩვეულებრივი, უმაგალითო. მას გადაწყვეტილი ჰქონდა თავებისაგან ციხე აეშენებია.

თქვა და ასრულა კიდევ. მალე მდინარე ფიფანი მოწმე გახდა იმის არაჩვეულებრივის ბარბაროსობისა. მისი სპეტაკი ზვრები წითლად შეიღება. ჯალათები მარჯვედ იქნევენ ცულებს, სისხლი ღვარად მოდიოდა, სხეული წყალს მიჰქონდა და უფსკრულში უთხრიდა სამარეს. სისხლში გასვრილი თავები გროვავროვად მოჰქონდათ მდინარის ნაპირზე აღმართულ პატარა გორაკზე ციხის ასაშენებლად, სადაც შაჰ-აბასის კალატოზები არაჩვეულებრივ ციხეს აშენებდნენ. თავები ქვის მაგივრობას სწევდნენ, ცრემლები და სისხლი ხალხისა კირის მაგივრობას. წყება-წყებად მოჰყავდათ ტყვეები. აგერ, მოიყვანეს კიდევ ახალი წყება. მათ წინ უძღოდა ასი წლის მოხუცი ბერი ბელაქნის ღვთისმშობლის სახლისა.

მოვიდა, მაგრამ ვილაიეთის წინ კი არ გაჩერდა, პირდაპირ შაჰ-აბასისაკენ გაემართა. მდებლად დაუკრა თავი, წელში გასწორდა და გაბედულად მოახსენა:

— იკმარე, შაჰ-აბაზო, ამდენი უდანამოულო ხალხის სისხლი, ღმერთი გადღეგრძელებს და ჯანსაღს გამყოფებს...

— დიდებულ მბრძანებელს ირანისას ვინ უბედავს მაგოდენ კადნიერებას, — დაიღრიალა შაჰ-აბაზმა. — ჯალათნო, როგორ გამოგეპარათ ეს უსჯულო ნადირი. ჩქარა, თავი მოჰკვეთეთ და მაგის გვაში ძალებს გადაუგდეთ.

მოხუცი კინწისკვრით წინ გაიგდეს, შეუკრეს ხელ-ფეხი, დასცეს დედამიწაზე

და ცული დაუშინეს, მაგრამ ამაოდ. გარკინებული სხეული ნაფოტსავით ისვრიდა ცულსა და მოხუცი უვნებელი რჩებოდა. მრისხანებდა შაჰ-აბაზი, კბილებს აკრატუნებდა, ღორბლებსა ჰყრიდა. ბრძანება გასცა, ცულები გაეხურებინათ და ისე დაეშინათ მოხუცისათვის.

დაუშინეს გახურებული ცულები და თავი სხეულს გაჰყარეს. გახარებულმა ჯალათმა სტაცა მოხუცის თავს ხელი და კალატოზს მიუბრუნებინა კედელში ჩასატანებლად. თავი სხეულს გაჰყარეს, მაგრამ შაჰ-აბასმა წადილს ვერ მიაღწია. კედელში ჩატანებული თავი არ გაჩერდა, თვალები ზეცისაკენ აღმართა, გრძელი წვერი შეარხია და ხმამაღლივ ლოცვას მოჰყვა. ყველა გაჩუმდა, სმენად გადაიქცა და მას მიაჩერდა. მოხუცის თავმა ლოცვა გაათავა. ტოკვა დაიწყო და გადმოსძახა:

— იკმარე, ჯალათო! განსოვდეს, რომ ძალა ზეცაში შენზე ძალი და ძლიერი ღმერთია და მაგდენი უდანამოულო ხალხის ტანჯვას და სისხლისღვრას არ შეგარჩენს.

ცა მოიქეშა, ატყდა ჭექა-ქუხილი, შეინძრა მიწა, ჯალათებს ცულები ხელიდან დასცივდათ. ტყვეებს შეკრულ-შებოჭილი ხელები გაეხსნათ, ნახევრად აშენებული ციხე ჩამოიქცა. შაჰ-აბასი შედრკა, შეძრწუნდა, ბუნებისა და მოხუცის მრისხანებამ შიში დაჰბადა მის გაქცევებულ გულში, მოლბა და ფიცხელი ბრძანება გასცა:

— გაათავისუფლეთ ყველა ტყვე და ნება მიეცით დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს.

გადარჩა საინგილო სულ ამოვარდნას. ტყვეები ცას ეწვიენ და მაღლი შესწირეს თავიანთ მხსნელ ბერსა და ის ადგილი, სადაც სხვებთან ერთად ისიც შაჰ-აბასის მტარვალებს შეეწირა, წმიდა ადგილად ჩასთვალა ხალხმა. მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა, კიდევ ბევრმა ჭექა-ქუხილმა გადაუქროლა საინგილოს, მაგრამ ხალხის ხსოვნაში ღრმად შეჭრილი მოხუცი ბერის ამბავი დღესაც არ აღმოფხვრილა მისი გულიდან.

ზაქათალა...

შაჰ-აბასმა მთლად მოაოხრა საინგილოს სოფლები. საბრალო ინგილოები აჰყარეს და ირანს წაასხეს... ზოგიც მთებში და შორეულ სოფლებში გაიხიზნა. მღვდელი ზაქარია ტყეში წავიდა. წაიღო სახარება და სხვა საღვთო წიგნი... იცდიდა, ეგებ, ინგილოები ისევ დაბრუნდნენო. ბოლოს ჩამოვიდა თავის სოფელში. მთლად მოოხრებული ნახა ყველაფერი. გული ჩაწყდა, მაგრამ მაინც დაიწყო კარ-მიდამოს მოწყობა და ეკლესიის მოვლა. უსათუოდ მოვლენო, ფიქრობდა. ჯვარი ქრისტესი არ გასწირავს ქვეყანასო. მოვიდნენ, მაგრამ თათრები და ლეკები. ინგილოები არ ჩანდნენ. ტანჯვით გაუძლო ამ ელდასაც. უცხო თესლის მომრავლებამ ვერ გასტეხა და ვერ ჩააქრო მისი იმედი. ისევ ისე შრომობდა და ეკლესიის სიწმიდეს მოძმეს უნახავდა. ლოდინში სიბერემ ჩამოსთოვა, წელში მოჰხარა... ისე მოკვდა, ნატვრის ასრულებას ვერ მოესწრო... სიკვდილის წინ მეზობელ ლეკებს ანდერძად დაუტოვა:

ეს ადგილი ქართველების წმიდა ადგილია – ხელი არავინ ახლოთო. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ... წავიდა შაჰ-აბასი, წავიდნენ მისი აბორგებული, მოთარეშე, მრისხანე ურდოები... ბოლოს კი... თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, სწორედ იქ, სადაც ზაქარიას კარ-მიდამო, ანუ ზაქარიას თალა იყო, ააშენეს ეკლესია... დაარსდა ქალაქი და მის სახსოვრად „ზაქარიას თალა“, ანუ „ზაქათალა“ უწოდეს. და... თუ არ ხედავდა, გრძნობდა ამას ზაქარიას სული...

სოფელ კაკში ხუციანთ ოთხთავთან ერთად ინახებოდა „კრებული“, რომელიც შეიცავდა ლოცვანს, ზატიკს, სამოციქულოს, ჟამნს... ამ წიგნის არშიაზე იყო წარწერა: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოსებ დიაკონი, უღირსი. უფალო ღმერთო, შეიწყალე ყოვლად უღირსი, ამ წიგნების მჩხბავი ლავრენტი მონაზონი, „ჯვარი მამის“ აღმზრდელი ბერი“.

სოფელ გილიუკის, ანუ ვარდოვანის (ეს სოფელი ისტორიული სოფელია. იგი არა ერთხელაა მოხსენიებული საქართველოს მატეანეში). სამხრეთით იყო ერთი პატარა ეკლესია, ჩვეულებრივი ქართული ტიპისა. აქ, დაბადების მეორმოცე დღეს მაჰმადიანებს თავიანთი ბავშვები მოჰყავდათ (როგორც ვარდოვანიდან, ისე სხვა მახლობელი სოფლებიდანაც) და ეკლესიაში აბანავებდნენ იმ რწმენით, რომ აქ განბანილი ბავშვი უფრო ჯანსაღი და მაგარი აგებულებისა იქნებაო. მოჰყავდათ ავადმყოფებიც. ბანაობა ასე ხდებოდა: შიგ ეკლესიაში დაანთებდნენ ცეცხლს, გაათბობდნენ წყალს და ბანდნენ ბავშვებს, შემდეგ გრძელ ცოცხებს წაუკიდებდნენ ცეცხლს და დასწავავდნენ, განაბან წყალს იქვე, ორმოში ჩააქცევდნენ.

ამ ჩვეულებას ასე ხსნიან:

როცა ლექთა თარეში მბინვარებდა საინგილოში და ხალხს მოლები ძალით ათათრებდნენ, ქალები მაინც თავისას არ იშლიდნენ და ფარულად, უძღვდლოდ ნათლავდნენ ბავშვებს. მითუმეტეს, რომ თვით ტიპიკონითაც ქალებს, ზოგიერთ შემთხვევაში, ამის უფლება აქვთ. ცოცხებს კი, ალბათ, სანთლების მაგივრად ანთებდნენ...

...ბელაქანში, სოფლის ბოლოს, სახნავი მამულების შუაში ეულად მდგარა ერთი მომცრო, კოხტა ეკლესია, რომელსაც ლექები „ნურ-ქილისას“, ანუ მადლის ეკლესიას ეძახდნენ. ეკლესიის გვერდით მშვენიერი წყარო ყოფილა. ხალხის თქმით, ძველ დროში ამ წყაროს წყლით ბევრი ავადმყოფი იკურნებოდა, მაგრამ რაც ეკლესიაში ქრისტიანული ღვთის ვედრება შეწყდა, სამკურნალო თვისებაც დაკარგა წყარომაც.

ინგილოთა მთავარი სალოცავი ქურბუხის წმიდა გიორგის ეკლესიაა. უძველესი ნაშთი ამ ეკლესიისა არის უზარმაზარი მოგრძო ლოდი. ეს ლოდი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ზვეიდან მასზე პატარა ეკლესია აუგიათ. მისი საძირკველი და კედლების ნანგრევები დღესაც ჩანს. ხალხის გადმოცემით, ლოდი შიგნით გაქვავებულია და ხატები ასვენია, ხოლო კარები წმიდა გიორგის ისე დაუქოლავს, რომ აღარ აჩნია. მხოლოდ წელიწადში ერთხელ, აღდგომა დღეს, მარიამ დედა ღვთისმშობელი აღებს ხოლმე კარებს, გამოდის გარეთ და ოქროს სავარცხლით თმას ივარცხნის. ამავე დროს გამოფრინდება ხოლმე შიგნიდან ოქროს მამალი და ყვივს იწყებს. მას ბანს აძლევენ მახლობელი სოფლის მამლები.

ეს გადმოცემები და ლეგენდები, რომელიც ინგილოებსა თავიანთ ხსოვნაში შემოინახეს და დღემდე მოგვიტანეს, გვიამბობენ ამ მრავალნათანჯი ხალხის პოეტურ, შემოქმედ სულზე, მათ ოცნებასა და ნატვრაზე... მათ იმედზე, უკეთესისაკენ სწრაფვასა და რწმენაზე, რომ ოქროს მამალი, რომელიც ყოველ ღამით ქურბუხის წმიდა გიორგის საყდრის მღვიმიდან ამოდის, საბოლოოდ აუწყებს მათ ნანატრ მშვიდობას.

მეუფე კონსტანტინე და ინგილო ბავშვები

სიმშვიდით, სიყვარულით, სარწმუნოებით, მოთმინებით გამორჩეული მარგვეთის ეპარქიის მმართველი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი კონსტანტინე უსაზღვრო სიყვარულით იყო დაკავშირებული საინგილოსთან. კარგად იცნობდა საინგილოს ნატანჯ ისტორიას. თითქოს განგებით მოხდა, რომ ზედიზედ ოთხი წლის მანძილზე მისი ეპარქია ინგილო ბავშვების მასპინძელი იყო.


კომუნისტური არტახებიდან ახლად თავდალწეულ საქართველოს უჭირდა ლუკმაპური. ამ დროს სტუმარზე ფიქრიც კი ზედმეტია თითქოს... მაგრამ ქრისტიანული გული ბევრის შემძლეა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ყოველ წელიწადს საინგილოდან ჩამოსულ 100-150-ზე მეტ ბავშვს მასპინძლობდა მეუფე კონსტანტინე და მასთან ერთად მამა გრიგოლი.

მიზეზიც სერიოზული იყო. ახალწყობადარღვეულ სიტუაციებში ადარც ბანაკები და ადარც დასასვენებელი სახლები არსებობდა. მოზარდი თაობა განსაკუთრებით საინგილოში იყო კარჩაკეტილი, ყოველგვარ ინფორმაციას და სულიერ საზრდოს მოკლებული.

ღვთის შეწევნით 1995-98 წლებამდე, ოთხი წლის მანძილზე ერთთვისანი მოგზაურობა საინგილოდან შავიზღვისპირეთამდე ბავშვებს უამრავ ინფორმაციას აწვდიდა და ეს ყველაფერი ხდებოდა მორწმუნე ადამიანებს შორის.

იმერეთში გამგზავრებამდე ბავშვებს ხვდებოდა თბილისის ინტელიჯენცია. და რა თქმა უნდა, მისი უწმიდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. საპატრიარქო რეზიდენციაში ბავშვების დალოცვას თან ახლდა მამა-შვილური



დარიგებანი, რომ უნდა იყვნენ კეთილები, ზნეობრივად მაღალნი, მორწმუნენი, მშობელთა დამფასებელნი, სამშობლოს მოყვარულნი. ასეთივე მისიით ღებულობდა თავის ეპარქიაში მათ მეუფე კონსტანტინე.

ბავშვები საოცრად სწრაფად ითვისებდნენ ლოცვა-გალობებს. მარხულობდნენ, ეზიარებოდნენ, აღსარების მნიშვნელობას სწავლობდნენ. მაგრამ ყველაზე მეტი სიხარული იმ მხარის გაცნობა-დათვალიერება იყო მათთვის. დადიოდნენ გელათში, უბისაში, ტაბაკონში, მოწამეთაში. სულ მალე თავადვე გალობდნენ პარაკლისების დროს. ყველგან თავად დაჰყვებოდა მათ მეუფე კონსტანტინე.

ყურადღება და სიყვარული არ მოუკლია ახალგაზრდა ინგილო მასწავლებლებისათვისაც. მათ საქმიანობას მაღლიანს უწოდებდა.

საღამოს ბავშვებზე ზრუნვით დადლილი ახალგაზრდები მონდომებით ისმენდნენ საღვთო საუბრებს ბიბლიაზე, იესო

ქრისტეზე, საერთოდ ქრისტიანობაზე. მეუფე კონსტანტინეს მოსწონდა მათი გულისხმი-ერება საღვთო ცოდნისადმი და ცდილობდა ყველანაირად დახმარებოდა მათ.

ყოველ წელიწადს, დღიდან ჩასვლისა, უკან დაბრუნებამდე, რომელიც ბავშვების დაჟინებული თხოვნითა და მამა გრიგოლის დაუღლე შრომის ფასად შავიზღვისპირა დღეებს მოიცავდა, წუთითაც არ გვეცილებოდა მეუფე კონსტანტინე. პაპანაქება საცხის მიუხედავად, ხანდაზმულმა, ნაავადმყოფარმა, ბათუმიდან თბილისამდეც თავად იტვირთა მასპინძლის მამობრივი ტვირთი.

უყვარდა ბავშვების გვარ-სახელების გამოკითხვა, ინგლოური კილოს თავისებურებაზეც ამახვილებდა ყურადღებას. გაოცებული იყო, ზაქათლის რაიონის ბავშვებმა რომ იცოდნენ თავიანთი წინაპრების გვარები: დათუნაშვილი, აბულაშვილი, იაშვილი, ერისთავი, სულხანიშვილი, ჭავჭავაძე, ნატროშვილი... ლოცვა-კურთხევის დროს გამოკითხავდა ხოლმე ვინაობას, მშობლების საქმიანობას, ათქმევინებდა ლექსებს, გამოცანებს, ლოცვებს და თუ რომელიმე რაიმე წამოსტკივლებოდა, სასწრაფოდ ყველა

ღონეს მიმართავდა, რათა ჩამოსულ სტუმარს ფრჩხილიც არ დაზიანებოდა. მათთვის ხშირად თავად ატარებდა წირვა-ლაცვას და ნათლობებს.

შეჩვეული გარემოდან წამოსვლა ცრემლსაც იწვევს... ცრემლიანი იყო მათი ყოველი უკან წამოსვლა. ტიროდნენ ბავშვები, მასწავლებლები, თვით მეუფეც იწმენდა ცრემლს. ორასამდე ბავშვს თვითეულს ჩაიკრავდა გულში, დაულოცავდა გზას საინგილომდე და გააფრთხილებდა ინგილო მოსწავლემასწავლებლებს, რომ მის უწმიდესობა იღია II-სთან გამოსამშვიდობებლად მხნედ, ყოჩაღად და შესწავლილი ცოდნით წარმდგარიყვნენ.

მწამს, ამ ბავშვების ხსოვნაში სიცოცხლის ბოლომდე გაუნუნარი იქნება ამ ჭეშმარიტი მოძღვრისა და დიდებული ქართველი კაცის სათნო და კეთილშობილი სახე. მისი ხსოვნა მარადის გაუნათებს მათ გზას სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარულისკენ.

მართია ტარტარაშვილი



თამარ პაპიაშვილის პოეზია

მზის სასიმღეროდ,
ცის სასიმღეროდ,
მამულის ფესვზე
ავენთე ლეროდ.
მალლა გასწია
ნისლმა ზმორებით,
გამოჩნდა ზეცა,
ლურჯი გორები...
ვანთე სანთლები
საბედნიერო,
ჩემს ფესვს სიცოცხლე,
ღმერთო ძლიერო..



მე მას დიდი ხანია ვიცნობ. ჯერ კიდევ იმ დროიდან, ეროვნული მოძრაობა რომ იწყებოდა საქართველოში. მაშინ ყველანი, ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც სიონის ეზოში ვიკრიბებოდით. აქ იყო ჩვენი მთავარი თავშესაფარი. ისიც მუდამ აქ ტრიალებდა. ანთებული თვალებით, სიცოცხლით, შთაგონებით, იმედით სავსე. საინგილოს ტკივილით აღავსებდა ყველას, ვისაც თუნდაც ერთხელ ხვდებოდა. მე გაჩუქებული ქართველი ვარო, იცოდა თქმა. საინგილო იყო (და ცხადია დღესაც ასეა) მისი მუდმივი მისახედავი. დღესაც, ყველა თბილისში ჩამოსული ინგილოს პატრონი ისაა. მრავალი ბავშვი მოეწყო მისი მცდელობით უმაღლეს სასწავლებლებში. ყველას ავედრებდა და ავედრებს მათ ბედს. გამორჩეულად უყვართ ინგილოებსაც. ყოველ საეკლესიო დღესასწაულზე, სადაც არ უნდა იყოს, მუდამ საინგილოსკენ მიისწრაფვის.

მასსოვს პეტრიციები, რომელსაც მასთან ერთად ვწერდით საინგილოს და არა მარტო საინგილოს სატკივარზე.

ორიოდე მაგალითს გავიხსენებ:

...ერთხელ მეუფე კონსტანტინესთან გაფითრებული შემოვიდა. თურმე წყნეთში, ეკლესიის შიგნით პურის საცხობი მოუ-

წყვიათ. ეკლესია ინგრევაო. მეუფე მაშინვე თავად წაჰყვა და ღვთის ნებით, ეკლესია გადაარჩინეს. ცხადია, დიდი ძალისხმევის შედეგად. ეს მაშინ იოლი არ იყო.

ხოლო, ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი ნამალადევში, აბანოდ რომ იყო გადაკეთებული (რა ირონია!)...

ერთერთი პირველი სწორედ თამარ პაპიაშვილი იყო, ვინც მის გამოსათავისუფლებლად და აღსადგენად ბრძოლა დაიწყო. სად არ მივიდა... პეტრიციებს პეტრიციებზე ვწერდით ჩვენც, მაგრამ ყველაზე მოუღელელი და თანმიმდევრული ამ ბრძოლაში იგი იყო.

ისევ მეუფე კონსტანტინესთან ერთად, რომელმაც მართლაც თავგანწირვით იბრძოლა ტაძრის გამოსათავისუფლებლად, თამარ პაპიაშვილმა უდიდესი წვლილი გაიღო. და ბოლოს, როგორც ყველამ იცის, დღეს ივერიის დედა ღვთისმშობლის ტაძარი გაბრწყინდა მთელი თავისი სიმშენიერით!

ხოლო პოეზია... იგი პირველი ინგილო პოეტი ქალია. დიდხანს არ ვიცოდით ჩვენ ეს, ვიდრე მისი ლექსების პირველი წიგნი არ ენახეთ. დღეს კი რამდენიმე წიგნის ავტორია. მათშიც იგივე ტკივილია, იგივე შთაგონება, იგივე სიყვარული...

იაკობ ბობეჯაშვილს

ფრთაშესხმულები მოგესალმებით,
ჩვენ შენი სიბრძნის ნათელი გემოსავს.
შენ შეასწავლე დედა-ანბანი
მწყემსს და მეომარს,
მეფეს და მგოსანს,
მზედ „დედა-ენა“ ამოაბრწყინე,
შუქით რომ ფანტავს სიბნელეს ფრთაშავს,
დღეს შენ გიმადლის ინგილო ბიჭი,
რომ თვის ენაზე კითხულობს ვაჟას.
ინგილო ქალმა რისხვით სპარსულ ქუდს
მუჭა ქლიავი გადმოაყარა...
და მერე მეფე ერეკლეს მტრები
კაფა, აჩეხა, არ გაახარა...
და იმის შემდეგ ამ „დედა-ენით“
ქართულს ვასწავლი მეც საინგილოს.
რომ მშობლიურმა ქართულმა სიტყვამ
მთის არწივივით ლაღად იფრინოს.

მტკვარს ესიტყვება

დღეს სულში იწვის წმინდა სახმილი
და მსურს მოგიძღვნა სიტყვა ალალი:
ყველა ინგილო გოგოს სახელით,
ყველა ინგილო ბიჭის სახელით,
ჩვენი ვაშა და ჩვენი სალამი!
ო, საინგილოვ, ვერ მოგსპო ვერვინ,
არ მოგიხრია მტრების წინ ქედი.
თუმც გითქვამს ბევრი სიმღერა კარგი,
მაგრამ არასდროს სიმღერა გედის!
ო, საინგილოვ, მრავალი მოვლე,
მედგრად ხვდებოდი მომხვდურთა ზორონს.
თუ არ კვდებოდი ბრძოლებში ხოლმე,
ჩვენ გვჭირდებოდი და მისთვის მხოლოდ.
იმიტომ გიმღერ და სანთელს გინთებ,
რომ მსურს შეგამკო რითმის ზურმუხტით,
რამეთუ, ზეცის სიანკარეში
მტკვარს ესიტყვება ჩემი ქურმუხიც.

ქურმუხმა არაგვს გასძახა:
– დავრჩი განმარტოებით,
ძმავ, იქნებ დამიფარო
პაპა მუხის რტოებით,
რქაწითელი ქვითინებს:
– მეკარგება სურნელი.
ნუთუ ყველა გათავდა,
დავრჩით განუკურნელი?!
საინგილო ჩემია,
ბურთითა და მოედნით...
არაგვო, შენ მიჩრდილე
პაპა მუხის რტოები.

ღაღო ხევისშინო

მესალმებიან მთები,
მათი სითბოთი ვთბები,
მესმა წინაპართ ხმები:
– სამშობლოვ, ნუ მაჰკვდები.
რძისფერი ასა ღმუის,
კლდეს უნაპირა კიდე,
ღაღო ხევსურნო, ერთად
მსურს კვლავ სათიბებს მკიდეთ.

ღმერთი დამიფარავდა

შენზე მონატრებული
მიყვებოდი გზა-შარას,
ჭირთა წვიმამ მასველა,
გვიან გადაიდარა.
ჩუმაღ ავი დარდები
გულს წვრილ-წვრილად მპარავდა...
მაგრამ მქონდა იმედი
ღმერთი დამიფარავდა!

ნაკადული ვარ წმინდა

ნაკადული ვარ წმინდა,
გამოგზავნილი ციდან,
წმინდა ვარ, რადგან ოდითგან...
ქართული მიწა მზრდიდა!

დაგველოცოს დედა ენა ქართული,
ყოველივე იღუმალის სამარე,
მე ძეგლი ვარ,

მდინარე ვარ,

მთა ვარ,

სამშობლოზე მეოცნებე თამარი.
ჩუქურთმებით მოხატული ქვა ვარ,
გუგუნე ვარ ჩემი ზღვის და ხმელეთის,
უსულგულო ისტორიის ხმა ვარ –
დედის მკერდზე მოწყვეტილი ჰერეთი.
თითქოს მუხას მუძლი შემომესია,
მე ხომ ერთ დროს საქართველო მერქვა
და მწყალობდა ყოვლისშემძლე მესია.
ისევ ტირის აჩეხილი ვაზი,
თითქოს ისევ ტამერლანის ცეცხლია,
გაყიდული საქართველოს ფასი,
ვაგლახ ისევ ოცდაათი ვერცხლია.
მიზიარეთ მშობლიური ჰანგი,
იავენანამ იქნებ ისევ რამე ჰქნას.
არ მოვშალოთ მამა-პაპის ჩანგი,
ვინძლო ისევ საქართველო დამერქვას.
ონვრით აღარ გავისივებთ გულებს,
ძველი სიბრძნე დაგვავიწყდა განა?
თუ მალამო არ განკურნავს წყლულებს –
საჭიროა დასტაქარის დანა!

ხალხის ხსოვნაში შენახული

წარსული

მისი მოამაგენი



ალექსანდრა ჩხენკელი

ალექსანდრა ჩხენკელი გახლდათ მწერალი, ჟურნალისტი, პედაგოგი. მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ბავშვებს ჯერ გორის რაიონში, შემდეგ საინგილოში. როგორც მისი ჩანაწერებიდან ვგებულობთ, თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდად მას სწორედ საინგილოში მოღვაწეობის წლები მიაჩნდა.

თითქმის ყველა სოფელს, სადაც კი იგი ყოფილა, მძიმე ნაჭრილობევიად ჰქონდა შემორჩენილი მტრისაგან მიყენებული მოუშუშარი ტკივილი. ეს ზოგჯერ თვით სოფლის სახელში გამოხატულა, ზოგჯერ ციხე-ტაძართა ნანგრევებში მოვლემარე ლეგენდებში, ზოგჯერ... ხალხში დარჩენილ გადმოცემებში.

ალათემური, ლალაფაშა, ემურჯანლო იმ მტრის სარდლების სახელები ყოფილა, რომელთაც დიდი „ღვაწლი“ მიუძღოდათ ამ კუთხის დაქცევაში. ეს მათი სახსოვარია. სადაც ისინი დაიბანაკებდნენ, იმ ადგილს მათი სახელი ერქმეოდა.

ალექსანდრა ჩხენკელი საინგილოსადმი მიძღვნილი რამდენიმე წიგნის ავტორია. ინგილოები მაღლიერების გრძნობით ინახავენ მის ხსოვნას და მუდამ თავიანთ დიდ მოამაგეთა შორის იხსენიებენ.

მკითხველს ვთავაზობთ მცირე ამონაწერს მისი წიგნებიდან:

...საინგილოში ჩასულ კაცს უთუოდ გურია-სამეგრელოს რომელიმე მთიან სოფელში ეგონება თავი, ისე ჰგავს აქაურობა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს. მარტო ბუნება კი არა, აქ ბევრი რამ მოგვაგონებს ძველს, ქართულს. პატარა ეკლესია, ხუხულასავით რომ მოჩანს მთის წვერზე, კასრის საყდარია. იგი VIII საუკუნის დასაწყისში 718 წ. აგო არჩილ მეფემ, წამებულია. 1912 წელს კი საკუთარი ხარჯით განაახლა მიხ. ყულოშვილმა. „ქართლის ცხოვრებაში“ პირდაპირა ნათქვამი ამის შესახებ: „მოვიდა

არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა ივანი, აღაშენა ეკლესია საძმოს, შერთო ცოლი... და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა ციხე, აღაშენა, აგრეთვე, ციხე-ქალაქი ერთი, ნუხაბატს, ორთა წყალთა შუა“.

გულისტკივილით ჰყვებიან ინგილოები: ჩვენი ქვეყანა დიდი და ვრცელი ყოფილა, საკუთარი მეფეებიც გვყოლია, მაგრამ მტრებმა დააქციეს ჩვენი ქალაქები და სოფლები: ყუბი, ვარდიანი, ჯინიხი, ფიფინეთი, კატეხი, მაწეხი, შოთავარი, ლექეთის

მონასტრები და კიდევ ბევრი სხვა. საინგილოს მთები და ტყეები სავსეა ეკლესიებით, მაგრამ ჩვენ იქ შესვლის უფლება არა გვქონდა. სამაგიეროდ, აი იქ, იმ პატარა გორაკზე, შემოღობილი მდელი რომ მოჩანს, იყო ჩვენი წმიდა ადგილი, იქიდან ერთი წკირის გატანაც არ შეიძლებოდა. თუ ღობე დაირღვეოდა, რომელიმე ჩვენთაგანი მივიღოდა და უჩუმრად შეაკეთებდა. ჩვენ ამ ადგილს საყდარს ვეძახდით და ყოველ აღდგომა, ან ქრისტეშობის ღამეს იქ ვიკრიბებოდით. გავანსენებდით ხოლმე ერთმანეთს ჩვენს ქართველობას, ვადგენდით მტერზე თავდასხმის გეგმებსო.

ყველაზე დიდ სამსახურს მანც ხუციანთ ოთხთავი გვიწვევდა, – განაგრძობენ თხრობას. ეს „ოთხთავი“ მოსე ხუციშვილის სახლში ინახებოდა, სადაც ყოველ მარიაშობა დღეს თავს იყრიდნენ ინგილოები. იქ კილობანში შენახული ჰქონდათ ბარძიმი, ფეშხუმი, „ჯამნი“, კონდაკი და სახარება. ერთხელ დანიელ სულთანს მოუწოდებია ამ საუნჯის წართმევა ინგილო ხალხისთვის, მაგრამ ეს ძვირფასი ნივთები გადაუშალავთ და ამის გამო სულთანს ზაქარია ხუციშვილი ზაქათაღლის გზაზე ჩამოუხრჩვია ხეზე. მისი ძმა, ალავერდი კი გაქცეულა და გადარჩენილა.

უბედური დრო იყო, წყევული. რას არ ვაკეთებდით, ქართველობა რომ შეგვეწარუნებინა, ღმერთთანაც და კაცთანაც რომ პირნათლად ვყოფილიყავით. ალაზნის გაღმა გავდიოდით, საქართველოს მიწა-წყალზე, იქიდან ნაცარში არეული მიწა გადმოგვქონდა, აიაზმას ვაკეთებდით და მიცვალებულის ირგვლივ ვასხურებდით.

ასე ვიბრძოდით, ასე მოვიტანეთ ქართველობა დღემდე, – ასრულებს თხრობას მოხუცი ინგილო.

ვინ იცის, რამდენ რამეს ინახავს საინგილოს მიწა, ვერ კიდევ რამდენი რამაა სიბნელით მოცული, „უწყალო დროთა ხელით დანთქმული“, რამდენი რამაა საგულისხმო, დასაფიქრებელი, გამოსაკვლევი და შესასწავლი. აქ მიწის ყოველი მტკაველი სისხლითაა მორწყული, ყოველი ქვის ქვეშ წინაპრების ძვლები მარხია.

ქართველ მკვლევარ-ისტორიკოსს, არქეოლოგს ელის საინგილო. აზნაურას მიდამოები, ალაზნის ნაპირები, სადაც უნდა ყოფილიყო ქალაქი ჰერა, „ქალაქი ბაზარი“, სოფელი გიულუქი, ყუმი, ლექეთი, მაჭისწყლის მიდამოები, თოლას ნანგრევები და მრავალი სხვა.

დღეს უკვე თითზე თუ ჩამოთვლება საინგილოს, ოდესღაც ამ მდიდარი და „აშენებული“ კუთხის ქართული სოფლები; სამაგიეროდ, მრავლადაა ნასოფლარები. ახლა ისინი ან ნანგრევებადაა ქვეული, ანდა, იქ ქართველების ნაცვლად სხვა ტომის ხალხი ცხოვრობს.

XIX საუკუნის საინგილოს ისტორია სავსეა ქართველობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი, თავგანწირული ადამიანებით. გავიხსენებ რამდენიმეს:

ივან-ბაბა ბულულაშვილი.

ეს ის ივან-ბაბაა, „სისხლის წვიმების“ დროს ლეკებისაგან აკლემული ინგილოები ფეხით რომ ჩამოიყვანა საქართველოს დედაქალაქში მოსანათლად და ამით მთელი იმდროინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოება ალაპარაკა. სარწმუნოებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ასეთი მოქმედება მიუთითებს იმ დიდ პროტესტზე, რომელსაც მაშინდელი მოწინავე ადამიანები იჩენდნენ ინგილო ხალხის მრავლელების წინააღმდეგ.

ივან-ბაბა ბულულაშვილი ორმოცდაათი წლის განმავლობაში იბრძოდა ელისუს ბეგების წინააღმდეგ, რომლებიც ავიწროვებდნენ ინგილო გლეხებს, ართმევდნენ მიწებს, აწერდნენ არაკანონიერ გადასახადებს. ეს იყო დრო, როდესაც პოეტი და სარდალი გრ. ორბელიანი ინგილოებზე წერდა: „ჭარულ ლეკებს ინგილოები ყმებად გაუხდიათ და იმ ზომამდე შეუვიწროებიათ და დაუბეჩავებიათ, რომ სრულ მონობას განიცდიან და ადამიანის სახე და მსგავსებაც კი დაუკარგავთ. მტრებისაგან მათ მარცვა-გლეჯას, დაუსრულებელ მტარვალობას და ყოველგვარ ძალმომრეობას საზღვარი არა აქვს“.

ივან-ბაბა თავგამოდებით იბრძოდა საინგილოში კულტურის შეტანის, სკოლების გახსნისა და ინგილო ახალგაზრდობის



კაკლების ხეივანი

აღზრდისათვის. „ივან-ბაბამ ჩამოიარა სოფელში და გამოაცხადა, თითოეული კომლიდან თითო ბავშვი მაინც გაეგზავნათ სკოლაში სასწავლებლად“ – ივონებს მ. ჯანაშვილი.

კახის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში, ივან-ბაბა ბულულაშვილის საფლავზე აღმართულია სადა ძეგლი, რომელზეც სურათია მოკლე წარწერით:

„ივან-ბაბა ბულულაშვილი დაიბადა 1801 წელს, გარდაიცვალა 1872 წელს. 1850 წელს იხსნა საინგილო გადარჯულებისაგან“.

ივან-ბაბას მიერ დაწყებული საქმე განგრძობ მომდევნო თაობამ – დიმიტრი და მოსე ჯანაშვილებმა, მიხეილ და სოფიო ყულოშვილებმა, ბათლომე ხუციშვილმა და სხვებმა.

დიმიტრი ჯანაშვილი პირველი ინგილო იყო, რომელმაც კალამი აიღო ხელში და ქართველ ხალხს საქართველოს ამ უძველესი კუთხის, მრავალტანჯული ჰერეთის წარსული და აწმყო გააცნო. ეს მგზნებარე პატრიოტი, მწერალი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ეკუთვნოდა XIX საუკუნის იმ გამოჩენილ ინგილო მოღვაწეთა თაობას, რომელთაც მთელი შეგნებული სიცოცხლე

ინგილო ხალხის გათვითცნობიერებას შესწირეს.

დიმიტრი ჯანაშვილი დაიბადა სოფ. კახში 1840 წელს. ჯანაშვილები კახში წარჩინებულ გვარეულობას ეკუთვნოდნენ. ისინი თავადიშვილის ღირსებისანი იყვნენ.

1851 წელს ივან-ბაბა ბულულაშვილის თაოსნობით კახიდან თბილისში ჩამოსულ ინგილოებში 9 წლის დიმიტრი ჯანაშვილიც ერია.

მისი წერილები: „ჰერეთის აღწერა“, „ქართველი ქალის ისტორია“, „საჭიროა თუ არა ამჟამად თხზულებანი იწერებოდნენ ქართულ ენაზე“ და მრავალი, დღესაც არ კარგავენ მნიშვნელობას და ყოველი ქართველი, რომელსაც კი აღელვებს ჩვენი ხალხის მწარე წარსული და სწამს საქართველოს კეთილდღეობა, ინტერესით წაიკითხავს მათ. ისტორიული ნარკვევი „ქართველი ქალის ისტორია“, სადაც აღწერილია ქალის როლი საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე, იბეჭდებოდა ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ისტორიული ნარკვევი „ჰერეთის აღწერა“,

რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალ „მოგზაურში“. გარდა ამისა, დიმიტრი ჯანაშვილის მოხუცებულობაში დაუწერია დიდი მეცნიერული გამოკვლევა „ქრისტიანობა კაკუნისელში (საინგილო)“, რომელიც დაკარგულა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დიმიტრი ჯანაშვილი მისიონერად გაგზავნეს საინგილოში.

მისიონერობის დროს დიმიტრი ჯანაშვილს ეპისკოპოსის თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა. „წმიდა საკურთხეველს ვერ ვემსახურები, რადგან მე მიყვარს მოძრაობა და თავისუფალი ცხოვრება“ – განუცხადებია მას. სად არ იმსახურა, ბედმა სად არ გადატყორცნა და ბოლოს, 65 წლის დაუძღვრებული მოხუცი უპატრონოდ გარდაიცვალა ბოდბისხევში. ინგილო ხალხმა იგი კახში წაასვენა და ღირსეულად დაიტირა.

სოფიო ყულოშვილი დამსახურებული მასწავლებელი, და საზოგადო მოღვაწე 900-იანი წლების იმ უანგარო საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც სახელოვნად განვლეს ცხოვრების გზა და თავიანთი მოღვაწეობის შესახებ წარუშლელი მოგონება დაუტოვეს მომავალ თაობას.

იგი 50 წელიწადი ემსახურებოდა ინგილო ხალხს.

1896 წელს სოფიო ყულოშვილი დანიშნეს სოფ. კახის საეკლესიო-სამრევლო სკოლის (საქალაქო-პირველდაწყებითი) მასწავლებლად და გამგედ. ამ დროს ჯერ კიდევ ხშირი იყო შემთხვევები, როცა მთის ლეკები, ჭარ-ბელაქნის ურდოების ნარჩენები დაეცემოდნენ ხოლმე რომელიმე ოჯახს ღამით, აიკლბდნენ და ქალიან-კაციან-პირუტყვიანად გაირეკავდნენ წინ, მთებისაკენ. ინგილო არამცთუ ქალიშვილის, ვაჟიშვილის გაგზავნასაც ვერ ბედავდა სკოლაში. მიუხედავად ამისა სოფიომ მაინც მოახერხა რამდენიმე ათეული ინგილო გოგონა შეეკრიბა. მისი პირველი მოსწავლეები იყვნენ სალომე პაპიაშვილი, ნინო ტარტარაშვილი, საშა ყულოშვილი, ნასტია ჯანაშვილი და სხვები. თავისი ხელით უკერავდა სოფიო მოსწავლეებს კაბებსა და წინსაფრებს.

მას კარგად იცნობდნენ საქართველოს გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, ეკატერინე გაბაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები.

1917-20 წლებში, მუსავატელების ბატონობის დროს, სოფიო ყულოშვილს დიდი გამჭრიახობა დასჭირდა, რომ სისხლი არ დაღვრილიყო საინგილოში მცხოვრებ მეზობლებს შორის. ინგილო ხალხი თავისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის, ბევრით არის დავალებული მისგან. ამის გამო იყო, რომ მას სოფიოდედა შეარქვეს.

მიხეილ ყულოშვილი იყო სოფიო ყულოშვილის მამამთილი. მასზე ნათელი მოგონება არის დარჩენილი ინგილო ხალხში. ამ შესანიშნავმა ადამიანმა მთელი თავისი ხანგრძლივი, შეგნებული სიცოცხლე საინგილოს კეთილდღეობას შესწირა. მშობლიური ენის გარდა მან იცოდა თათრული, უღური, სომხური და რუსული ენები. მსახურობდა დიაკვნად მარსანსა და კაკში. 1870 წელს მღვდლობა მიიღო. იცოდა მკურნალობაც და უსასყიდლოდ ეხმარებოდა ყველა უძღვრულსა და გაჭირვებულს. ასევე უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას ინგილოთა შვილებს და მათ შორის, მოსე ჯანაშვილს. მან არჩილ მეფის მიერ აშენებული კასრის საყდრის ნანგრევების საძიროკველზე ააგო მშვენიერი ტაძარი საკუთარი სახსრებით. ეს მხნე, ჯანმგარი, მგზნებარე მამულიშვილი, რომელიც სიზმრად თუ ცხადად თავისი კუთხის ბედნიერებაზე ოცნებობდა, 1919 წელს მოიტაცეს მუსავატელების დამკაშვებმა, წამებით მოკლეს და შემდეგ კი ნახშირის ორმოში ჩააგდეს.

მხოლოდ ერთი თვის შემდეგ იპოვეს იგი ინგილოებმა. ნაწამები გვაძი მოასვენეს და ღირსეულად დაკრძალეს კახის წმიდა გიორგის ეკლესიის ეზოში.

ბართლომე ხუციშვილი. ხუციშვილები სოფ. კახის მკვიდრნი არიან. ბართლომე ხუციშვილი ეკუთვნოდა XIX საუკუნის ინგილო მოღვაწეთა ბრწყინვალე თაობას.

„ხუციშვილი ბათო ცნობილია მთელს მახრასში, როგორც მეგვარტომეთა ჭირისუფალი, მოენე და დამცველი. იგი ცნობილია საჰელაგოგო მწერლობაშიაც. შვილები ეზრდება უნივერსიტეტსა და საშუალო სასწავლებლებში“ – წერდა 1910 წელს მ. ჯანაშვილი.

კვირაობით, წირვის შემდეგ, ეკლესიის ეზოში, დიდი ბუხის ქვეშ რომ შეიკრიბებოდნენ ხოლმე სოფლელები და ჯამაათს გამართავდნენ, ბართლომე მათთან იყო და ყოველთვის ცდილობდა კეთილი სიტყვითა და ბრძნული რჩევით ჩაეჭრო დაეა და უთანხმოებანი, დაეცვა სოფლელები ლეკებისა და მულალების თავდასხმებისაგან.


ბართლომე ხუციშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. ამას გარდა, მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ათავსებდა წერილებს („ქურმუხელის“, „მოხუცის“ და სხვ. ფსევდონიმებით) საინჟინლოს ყოფა-ცხოვრებაზე.

ამ დაუღალავი მოღვაწეობის წყალობით, რასაც 900-იანი წლების საინჟინლოს ბრწყინვალე თაობა ეწეოდა, იქ თანდათან შეიქმნა ინტელიგენტი ახალგაზრდობის ფენა, საკმარისია დავასახელოთ ბართლომე ხუციშვილის ცხრა შვილი, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს, ასევე – ჯანაშვილების, გამხარაშვილების, ბაირამაშვილების, ყულოშვილების, პაპიაშვილებისა და სხვათა ოჯახები.

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე აბელ ნიკოლოზის ძე ბაირამაშვილი დაიბადა 1855 წელს კახში, ინგილო გლეხის ოჯახში.

ბაირამაშვილები ადრე თურმე თარხნიშვილები ყოფილან, სოფ. ყორღანის მკვიდრნი, მაგრამ ძალად გამაჰმადიანების შემდეგ, ბაირამაშვილებად დაწერილან. 1850 წელს ბაირამაშვილები, როგორც სხვა ინგილოები, ხელახლა მონათლულან კახში. თვითონ აბელიც შვიდი წლის ასაკში მოუნათლავთ.

აბელი ერთ-ერთი პირველი ინგილო იყო, რომელმაც განათლება მიიღო. იგი ღრმად მოაზროვნე ადამიანი იყო. როდესაც საქართველოში ქართული ენა იღვენებოდა, აბელი



არა მარტო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენას, ივანე როსტომაშვილთან ერთად ქართული ლიტერატურის წრეებიც კი ჰქონდა დაარსებული. ამ წრეების საშუალებით მან ბევრ ქართველ ახალგაზრდას ჩაუნერგა ქართული ლიტერატურის სიყვარული და გაუღვიძა ეროვნული გრძნობა.

კოტე ტარტარაშვილიც კახიდან იყო. დაიბადა 1876 წელს. რვა წლისა მიაბარეს დაწყებით სკოლაში, შემდეგ, როგორც უნიჭიერესი ბავშვი, გაგზავნეს კავკასიის რეალურ სასწავლებელში, სახელმწიფო ხარჯზე; იქიდან კი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1897 წელს. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კოტე ტარტარაშვილმა ინგილო ხალხის გაჭირვებული ცხოვრების გაუმჯობესებას, საინგილოში კულტურის შეტანას შეაღწია. კოტე ტარტარაშვილის საზრუნავი მხოლოდ ის იყო, რომ საინგილო – საქართველოს ეს ძველი კუთხე – საქართველოს დაკავშირებოდა, საინგილოს ყველა სოფელში განსწავლული ქართული სკოლები, აღდგენილიყო ქართული ენა იმ სოფლებშიც, სადაც იგი დავიწყებას ეძლეოდა. ამ მიზნით იგი ხშირად მოგზაურობდა საინგილოში, ესაუბრებოდა მოწინავე ადამიანებს. მაგრამ მისი ეს მოღვაწეობა ნაადრევად შეწყდა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს უეცრად გარდაიცვალა კანში და იქვე დაასაფლავეს.

გამოჩენილი ინგილო მოღვაწეები იყვნენ არჩილ დარეჯანაშვილი, რაუდენ ზუციშვილი, გიორგი გამახარაშვილი, არჩილ ჯანაშვილი, ნიკო ნადირაშვილი და სხვანი.

ინგილო ხალხმა იცის, რომ მისი დედა-სამშობლო საქართველოა. მას სულითა და გულით უყვარს ეს სამშობლო, ამისათვის არის, რომ როდესაც რომელიმე ხანში შესული ინგილო საქართველოდან ჩასულ კაცს დაინახავს, მიესალმება, გაუღიბებს და საუბარს გაუბამს. მოყვება, რომ ინგილო ხალხი უძველესი ქართველები ყოფილან, იმ მთების კალთებზე უცხოვრიათ მათ წინაპრებს, რომ ისინი მრავალჯერ აუწიოკებია მტერს, მაგრამ მათი გადარჯულება ვერ მოუხერხებია. გადავა დღევანდელ ცხოვრებაზე. გესაუბრება დინჯად, სვენებ-სვენებით, თითქოს სიტყვაში ტუნწობს.

ამ საუბრის დროს იგი ცდილობს დაგარწმუნოს, რომ „ამ ჰერეთ, იმ ჰერეთ მუდამ ზმებ იყვნენ, ერთად იყვნენ კაიფინთში“, – ძმები იყვნენ, ერთად იყვნენ ჭირსა და ღზინში. და როდესაც იგი ამას მიაღწევს, მაშინ მუდამ სიტყვაძვირი ინგილო ერთხელ კიდევ შემოგზდავს, შემოგცინებს, თავის ეზოს მაღალ ჭიშკარს ფართოდ გაგიღებს – მოდი ჩვენსა, ჩვენი სტუმარი გახდილი – გეტყვის გულლიად და ტყესავით დაბურულ ეზოში შეგიძღვებათ.

ალექსანდრა ჩხენკელი

საინგილოში

წმიდა დიდებული დიდმოწამისა და ძღვევამოსილი გიორგის ხსენების დღე უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული დღესასწაულია საინგილოში. ამ დღეს თითქმის ყველა ინგილო თავს მოვალედ თვლის, სადაც არ უნდა იყოს, ჩავიდეს კახში და თავყვანი სცეს ქურმუხის წმიდა გიორგის.

სწორედ ეს დღეები ავირჩიეთ საინგილოში გასამგზავრებლად.

ბოლო დღემდე იმედი გვქონდა, რომ ამ გზაზე ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოს მუჟუჟ დანიელთან და მის თანხმლებ სასულიერო პირებთან ერთად მოგვიწვედა მგზავრობა, მაგრამ აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით ეს გვემეზი შეიცვალა და, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დოცვა-კურთხევით, საინგი



ლოსაკენ მიმავალ გზას დავადექით: დეკანოზი გრიგოლი (აბულაძე), მღვდელი სიმონი (მიძინა-რაშვილი), მონაზონი დედა ივლიტა (ლულუ-ნიშვილი), მორჩილი იაკობი (სუბელიანი), უურნალ „ჯვარი ვახისას“ რედაქტორი თინა კობალაძე, მისიისა და ევანგელიზაციის თანამ-შრომელი მართა ტარტარაშვილი და ამ წერილის ავტორი.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან ქართველი მესაზღვრეები დიდი სიხარულით „შეგვეგებნენ. მამა გრიგოლს დრო არ დაუ-კარგავს, მაშინვე შეუდგა მსახურების თადარიგს.

როგორც კი სასულიერო პირები შენიშნეს, საგუშაგოსთან საზღვრისპირა სოფლის მაცხოვ-რებლებიც მოგროვდნენ. მსუბუქი მანქანებიდან ღეთისმშობლის ხატი გადმოასვენეს. მესაზღვ-რებსა და სოფლის მაცხოვრებლებს დაურიგდათ სანთლები, ხატები, სასულიერო ლიტერატურა.. მამა გრიგოლმა დალოცა ქართველი მესაზღვ-რეები და შემოკრებილი ხალხი. შემდგომ მლოც-ველებითურთ საგუშაგოს შემოუარა, აკურთხა ყოველი მისი კუთხე-კუთხულის.

საზღვართან შეჯგუფებული მანქანებიდან მგზავრები ინტერესით ადევნებდნენ თვალ-ყურს ღეთისმსახურებას...

ღამის თერთმეტი საათი იწურებოდა, სოფელ ალა-თემურში, ტარტარაშვილების ოჯახს რომ მივადექით. მართა ტარტარაშვილი იქაურია და ჩვენი მასპინძლობა მან ითავა.

მგზავრობით დაქანცვლები უადრესად მშობ-ლიურ, მყუდრო გარემოში მოხვდით. კითხვა-მოკითხვის შემდეგ მამები ღამის ღოცვის სამზადისს შეუდგნენ.

ტარტარაშვილების სახლი ინგილოთა ტი-პიური, ტრადიციული ოჯახია: მრავალრიცხოვანი წვერებით, თითქმის ხაზგასმული, კოლხეთის მხარის მსგავსი, ფაქიზად მოვლილი ეზო-ყურეთი, სადაც ყოველ ნივთს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. კოლხეთის მხარე აქ შემთხვევით როდია ნახსენები. მიუხედავად იმისა, რომ სამე-გრელოსა და პერეთს შორის უზარმაზარი, რელიეფურად განსხვავებული სივრცე დევს, ისინი ბუნებით საოცრად გვანან ერთმანეთს. პაერის ტენიანობა და მცენარეული საფარი სამეგრელოს მსგავსია. ნარინჯოვანი კულტუ-რების გარდა, თითქმის ყველა სუბტროპიკული მცენარე ხარობს. სამეგრელოს შემდეგ საქართვე-ლოში არსად ამდენ ზოზინა, თეინიერთალება კამეჩს ვერ შეხვდებით.

ძალაუნებურად გახსენდება ამონარიდი „ქარ-თლის ცხოვრებიდან“: „...ხოლო ქუეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენა-ხითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინ-ველითა და თევზითა, არამედ უფროს პერეთი, და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თეინიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმო-ნისა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი... ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისასაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობეს

და უმრავლეს აქაურთა, ხოლო კაცნი და ქალნი „შუენიერნი, პაეროვანი და მსგავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩვეულებითა და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმოქმედნი, მოხუბარნი, შემმართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარ-წმუნოებითა ქართლისათა და სამწყსონი ქართ-ლის კათალიკოსისანი...“ და რწმუნდები, რომ ამ სიტყვების დაწერიდან დღემდე ამ ხალხის თავზე დატრიალებული არა ერთი უბედურების მიუხედა-ვად, ბევრი რამ მათ ყოფასა და ხასიათში არ შეცვლილა. ბუნებაც ისეთივე გულუხვია, ადამიან-ებიც ისეთივე კისკასნი, პირმშუენიერნი, ვინაც ქრისტეს რწმენა შეინარჩუნა და სასოებით უფრთ-ხილდება მას.

ტარტარაშვილების ტრადიციული ოჯახი (მართას დაძმები და რძალიც პედაგოგები არიან), ერთნაირად ეწევა ოჯახისა და ქვეყნის ჭაპანს. ეს ოჯახი აქ გამოჩინების როლი წარმოადგენს. აქაურები ყოველთვის გამოირჩეოდნენ შრომისა და ცოდნისადმი მისწრაფებით და მიუხედავად მათ წინაშე ხელოვნურად აღმართული მრავალი დაბრკოლებისა, ჯიშს მაინც არ დაღატობდნენ. ინგილოები განსაკუთრებით უფრთხილდებიან ყოველგვარ ქართულს და წინააღმდეგობას უწევენ უცხო ელემენტის შემოჭრას მათ ყოფი-ერებაში.

უცხო ძალების მათში შეჭრისა და გაბატო-ნების წინააღმდეგ ერთ-ერთ ძლიერ ფარად ინგი-ლოებს ეკლესია და ქრისტეს რწმენა მიანიათ.

კახის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ქალაქის განაპირას მდებარეობს. ეს ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობა გვიანდელი ხანისაა. საბჭოთა პერიოდში სხვა ტაძრების მსგავსად მიტოვებული და გააპარტახებული, ახლო ხანებში აღუდგენიათ, დაუმშენებიათ.

წირვა ჩვეულებრივზე დიდხანს გაგრძელდა. მლოცველთა სიმცირის მიუხედავად, მამა გრი-გოლმა მსახურება წესითა და რიგით აღასრულა. მლოცველთა თქმით, სასულიერო პირთა ჩამოსე-ლის ამბავი რომ ცოდნოდათ, ტაძარი ხალხს ვერ დაიტევდა.

ეზოში ჭარმაგ მოხუცს, ვახტანგ ტარტარა-შვილს გავესაუბრეთ.

„ჩვენს საზიარებლად ჩამოხვედით? – გვეითხა მან. შემდეგ ამ კითხვას მრავალმნიშვნელოვანი პასუხი თვითვე გასცა: „ვინ არ იცის, რომ მომა-კვდავს ზიარება სჭირდება? ... ახლა საინგი-ლოში უმრავლესობა მოხუცები და ბავშვები ვართ. ეს ბავშვებიც რომ დაიზრდებიან, ალბათ, თბილისის გზას დაადგებიან... ჩვენთვის მთავარი რწმენაა. აქ უჭირს ეკლესიას, ზარი თვეობით არ ირეკება. ნუთუ ეს არ იციან, თბილისში... მე ადრე დავედიოდი დედაქალაქში, ვაწუხებდი მთავრობას, საქართველოს პატრიარქს, ახლა დაებერდი, ხალხს პატრონი, გამამხნეველები ჭირდება. ყველაფერი ეს მთავრობის დონეზე უნდა წყდებოდეს, თანმიმდევრობით, ნაბიჯ-ნაბიჯ. კარგია, რომ ჩამოსულხართ, მღვდლებიც

რომ წირავენ, მაგრამ ეს იშვიათად არ უნდა ხდებოდეს. აქაურები საქართველოსკენ იყურებიან, იმედი აქვთ, რომ მთავრობა წვენდა სახარებლოდ რამეს იღონებს. ისე ვართ, თითქოს საიდანდაც წამოსახლებულები ვიყოთ და არა აქაურები... სვედნახლებილი მზერით გაპყურებს ტაძრის გალავანთან ჩარიგებულ ძველ საფლავის ქვებს და სინანულით ამბობს: „ქართველს მისდღემში სხვა ვერ ამარცხებს, ქართველს მხოლოდ ქართველი თუ ერევა! ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება. აქ კაი ვაჟაკაცი ხალხია საჭირო, დავით აღმაშენებლის ბადალი!“

გიორგობა საქართველოში ტრადიციულად 23 ნოემბერს აღინიშნება, ხოლო აქ გიორგობის პირველსავე კვირა დღეს. წელს ეს თარიღი 24 ნოემბერს დაემთხვა. გიორგობამდე ჩაყრილი თესლი უკეთ ხარობს, სოფლის სამუშაო არ უნდა დაგვიანდესო. ამ უქმე დღეს ყველა ინგილო თავს იყრიდა ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძარში და მის მისაღვომებთან.

საზეიმო წირვის შემდეგ იმართებოდა ღვინო, ქორწილები, ნათლობები. მთელი წლის ნაშრომ-ნამაგარი აღამიანები რამდენიმე ხნით სულის მოთქმას ცდილობდნენ. ეკლესიების გაუქმების შემდეგ ყოველ უბანსა და ოჯახს თავისი წმიდა ხე, ქვა და ქვევრი ჰქონდა და ამ სიწმიდეებთან მაღულად ღოცულობდნენ. შიშთანობისას დაკრძალული მიცვალებულის საფლავზე გამო-სახულ ჯვარსა და წარწერას მიწას აყრიდნენ, გარდაცვლილი უსჯულოთა ხელყოფისაგან რომ დაეცვათ. ყოველი ოჯახი თვალისწინებით უფრო-ხილდებოდა და საიდუმლოდ იფარავდა თავის წმიდა სალოცავს.

აღბათ, ამან თუ შემოინახა ამ ხალხში შემოქმედისადმი ასეთი ღრმა რწმენა და თაყვანისცემა.

წვენი სულიერი მამები – გრიგოლი და სიმონი ნათლობისა და პარაკლისის, სახლის კურთხევისა და ზიარების მსურველთ ვერ აუღიოდნენ.

ასე იყო ალა-თემურის სამების სახელობის მცირე ზომის ტაძარში. ეს ნაკებობა დანგრეულია. სოფელს უსახსრობის გამო მისი აღდგენა უჭირს, მაგრამ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები სპეციალურ ნიშებშია დასვენებული.

ასე იყო სოფელ მეშაბაშშიც, სადაც XIV საუკუნის ბოლოს დარბაზის ტიპის მთავარანგელოზთა სახელზე აგებული ეკლესიაა აღმართული. იგი დანგრეული ყოფილა, მაგრამ 1993 წელს აღუდგენიათ საზოგადოება „პერეთის“ ძალებითა და სოფლის ახალგაზრდობის ძალისხმევით.

ტაძარი მლოცველთ ვერ იტევდა. გარეთ ახალგაზრდობა შეყრილიყო. ისინი მადლიერების გრძობით წარმოსთქვამდნენ მამა გრიგოლისა და მამა სიმონის სახელებს.

შეგუთხოვდნენ: „ეკლესიები აღვადგინეთ, ხალხში ეკლესიისკენ ძლიერი სწრაფვაა, მაგრამ ისინი ჩვენთვის დაკეტილია. მღვდლები გეაკლია, მოგვეხმარეთ. გამოგვივ ზავნეთ მღვდლები.“

ახალგაზრდებს მრავალი სატკივარი აქვთ. ერთმა, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა გვითხრა: აი, თბილისში ორ-სამ წელიწადში დავათავებ სწავლას, ექიმის დიპლომით ჩამოვალ აქ, მაგრამ იძულებულს გამხდინ, უკან დავბრუნდეთ, და ამისი არაერთი მაგალითი დაასახელა.

ყოველივე ეს თვალნათლივ არ იგრძნობა. ხალხი თითქოს ერთმანეთის მიმართ ცუდად არაა განწყობილი. ეს გამოიხატება თუნდაც რჯულშემწყნარებლობაში, რისი მოწმენიც 24 ნოემბერს ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძრის მისაღვომებთან გავხდით.

მანამდე მრავალჯერ გვემენია, რომ გიორგობაზე ქურმუხის ტაძარში მართლმადიდებელი ქრისტიანების გარდა სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლებიც იყრიდნენ თავს, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდით, თუ აღამიანთა ასეთი ჭრელი მასა დაიძვრებოდა მისკენ.

გზატკეცილიდან ქურმუხის ტაძრისკენ აღმავალ ვიწრო გზას სადღესასწაულად მორთული, შესაწირავებითა და სანთლებით ხელდამშვენებული ხალხი მიუყვებოდა. ძნელი იყო აღმართი, მაგრამ უფრო ძნელი ამ აღმართზე ხალხმრავალი გზის გაკაფვა იყო.

შორიდან ნისლეში გახვეული, კლდეებთან შექანდაკებული ქურმუხის ტაძარი მოსწონდა და აღამიანთა უღვევ ნაკადში მასთან მიახლოება თითქოს მიუწველომლად გვესახებოდა. გზის ორივე მხარეს უპოვრები ირეოდნენ. მათი სიმრავლე ტაძრის მისაღვომებთან უფრო საგრძნობი იყო.

ციცაბოზე შევიდულ გზის გასაყართან, სადაც შავ, გოლიათ კლდეებს შორის ცისკენ აწვდილი ტაძარი იდგა, ხალხი ლიტანიობდა, შესაწირავებით გარს უვლიდა ტაძარს, ევედრებოდა უხენავს, დაბლა კი მდინარე ქურმუხი ზათქით მიიკვლეოდა გზას და აღმოსავლური საკრავების ხმებსა და ქართულ მღვდლიებს უერთებდა თავის ტალღათა ხმაურს...

ტაძარში მამა გრიგოლი და მამა სიმონი პარაკლისს იხდიდნენ. ადგილობრივი მღვდელი – მამა მოსე ნათლობის საიდუმლოს ასრულებდა. ერთ მხარეს რუსთავის ბავშვთა ანსამბლის წევრებს მოეყარათ თავი და ქართული საგალობლებით ატკბობდნენ იქაურობას (ხელმძღვანელი ჯ. ყოლბაია).

ღღის სამი საათისთვის ხალხის ნაკადი შეთხელდა. მოძღვრებმა მსახურება ღირსეულად აღასრულეს. იმ დღეს არაერთგზის აღინიშნა, რომ სწორედ ასეთი სულიერი მამებია აქ საჭირო. მეშაბაშელმა ახალგაზრდებმაც ინატრეს მათი ბადალი მოძღვრის ყოლა. ჩვენი მხრიდან მივაწოდეთ აზრი, იქნებ ვინმეს მათ შორის სურს ღვთისმსახური გახდეს, შესაძლოა თბილისში მოსამზადებელი კურსი გაიაროს და ყველა სოფელს საკუთარი მღვდელმსახური ეყოლოსო. შეგვიპირდნენ, თქვენს რჩევას გავითვალისწინებთო.

წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ მართა ტარტარაშვილმა და მორჩილმა იაკობმა მამა გრიგოლის ლოცვა-კურთხევით, ქურმუხის მისაღობით განაშლილ მოედანზე თავმოყრილ ხალხს იესო ქრისტეს „ცხოვრების წიგნი“ და წმიდა გიორგის ხატები დაუბრუნეს.

წმიდა გიორგის ხატებს აზერბაიჯანელი ბიჭებიც ითხოვდნენ, რამდენიმე მოხარდმა „ცხოვრების წიგნი“ გამოართვა მორჩილ იაკობს. ვიღაცამ ეჭვით იკითხა, დასახევად ხომ არ უნდათო, რაზეც განაწილებულმა ბიჭებმა – წმიდა გიორგი წვენი მფარველიცაა, ხოლო ამ წიგნებში რაც წერია, ხევენც ვიცით, მოგვეცით, ამ წიგნებსა და ხატებს ძალიან გაუფურთხილდებითო, უპასუხეს. და აქ გაცხადდა, რომ ისინი მართლაც რიდითა და ღრმა სასოებით მოდიოდნენ ამ წმიდა ხალოცავში. ვინ იცის, იქნებ ძველ აღბანელთა, თუ ქართველთა სისხლი ჰყივის მათ ძარღვებში, და სწორედ ამ გენეტიკურ მახსოვრობას მიჰყავს ისინი ქურმუხის ტაძარში... არა მხოლოდ!..

სადამოს კახში ხუციშვილების ოჯახს ვეწვიეთ. ეს ის ოჯახია, სადაც საიდუმლოდ ინახებოდა და თაობიდან თაობას რელიქვიად გადაეცემოდა წმიდა ოთხთავი, რომელსაც ხალხში ხუციანთ ოთხთავს უწოდებდნენ.

ეს ოთხთავი საეკლესიო ნივთებთან ერთად კიდობანში იყო ჩასვენებული, რომელიც ამ სიწმიდისთვის აგებულ მომცრო შენობაში იდგა. სახლი და კიდობანი დღესაცაა შემონახული, მაგრამ თვით „ხუციანთ ოთხთავი“ და სხვა სიწმიდენი 30-იან წლებში მთავრობის წარმომადგენლებმა წაიღეს.

გიორგი ხუციშვილი სამოც წელს გადაცილებული, გამორჩეული ინტელიგენტი, პროფესიით ექიმი ოფტალმოლოგია.

მასპინძელი მშვიდი მოსაუბრეა. პროფესიის წყალობით ხშირი ურთიერთობა აქვს მოსახლეობასთან და იცის მისი ჭირ-ვარამი.

საუბარი ეხება რწმენას და საინგილოში მის ხელშემშლელ პირობებს. ბატონი გიორგი შორიდან გეხიენებს მათგან სულ ახლოს მდებარე ხუციშვილების უბნის ეკლესიას, რომელიც დროთა ვითარებაში დანგრეულია. დღეს მისი ნანგრევები უცხო ხალხის ეზოშია მოქცეული. ქართული სიწმიდე ვიღაცას თავის საკუთრებად გადაუქცევია. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითი აქ უამრავია.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში საინგილოში 16 ათასამდე ქართველი ცხოვრობდა, ამჟამად კი ექვსი ათასს არ აღემატება. ისინი აქედან ნელ-ნელა მიდიან.


ხუციშვილების ოჯახიდან გამოგვევადარბა-ისლური ქართული მსჯელობა ქვეყნის ჭირ-ვარამზე, მის მომავალზე. მადლობა ღმერთს, ასეთი ოჯახები არსებობენ საინგილოში. ეს ოჯახები უხმაუროდ იდგებიან, მათთან მისულთ უშურველად უწვდიან ხელს და თავიანთი მოღვაწეობით უანგარობისა და ზნესრულობის მაგალითს იძლევიან...

სწორედ ასეთი გაწონასწორებული, სადა, კეთილშობილებით აღსავსე პიროვნებებით დასახლებული გვესახება საინგილო. კიდევ მრავალ ასეთ ადამიანთან გველოდა, ალბათ, შეხვედრა, მაგრამ მოულოდნელად, წვენი გვეგმები შეიცვალა და უკან დაბრუნება დროზე ადრე მოგვიხდა...

გზატკეცილიდან შემოდგომის ფერებით მოჩითული ლანდშაფტი ჩვენში უკან მოტოვებულ კუთხეზე ათას საფიქრალს აღძრავდა და ძალაუნებურად ერთი ჭარბავი ინგილოს სიტყვებს შეგვახსენებდა: „მოვხუცდი, დავებრდი, მაგრამ ამათთან ჯერ კიდევ არ დაეჩანანაკლები“

და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ისინი დაუძღურდნენ, მხნეობა, ბრძოლისა და შრომის უნარი დაკარგონ. პირიქით, ყოველმხრივ უნდა გაძლიერდნენ, გამრავლდნენ და ნურც დედა-სამშობლოს მხარდაჭერის იმედი მოუშალოთ ღმერთმა!

ზურაბ თორია



სამეცნიერო მსკედიცია საინგილოში

ძველი ქართული ოსტორიული პროვინციის – ჰერეთის ის ნაწილი, რომელსაც ამჟამად საინგილო ეწოდება, საქართველოსაგან ხანგრძლივი მოწყვეტის გამო სამწუხაროდ, ქართველთა დიდი ნაწილისათვის თითქმის სრულიად უცნობი მხარეა. სხვა კუთხეებთან შედარებით იგი მეცნიერულადაც ნაკლებადაა შესწავლილი. ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რაც საინგილოს ისტორიისა და ეთნოლოგიის შესწავლას დასდეს მ. ჯანაშვილმა, ზ. ედილმა, ა. ხახანაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ი. პაპიაშვილმა, გ. ჩუბინაშვილმა, თ. ბარნაველმა, თ. პაპუაშვილმა და სხვა მკვლევარებმა. შესწავლილია საინგილოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ზოგიერთი ქართული ისტორიული ძეგლი (არქიტექტურული, ეპიგრაფიკული), დაფიქსირებულია ამ მხარის ქართველი მოსახლეობის ყოფაცხოვრების ამსახველი ცალკეული მასალები (ი. პაპიაშვილი), ტოპონიმია (ა. ომარაშვილი), ჩაწერილია ფოლკლორის ზოგიერთი ნიმუში (მ. ყულოშვილი, მ. ტარტარაშვილი), შესწავლილია ქართული ენის ინგილოური დიალექტი (რ. ლამბაშიძე), მაგრამ ყოველივე ეს მცირეა იმისთან შედარებით, რაც შესაძლებელი იყო, ქართველ მეცნიერებს საინგილოს თემაზე მუშაობის უკეთესი პირობები რომ ჰქონოდათ. ეს კი ძალზე საჭიროა, რადგან საინგილოს ქართული სიძველეებისა და ქართველ ინგილოთა თანამედროვე ყოფის შესწავლას სხვა მკვლევარი ისეთი გულმოდგინებითა და სიყვარულით ვერ მოეკიდება, როგორც ქართველი. დამახასიათებელია თუნდაც ასეთი ფაქტი: 1982 წელს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა რუკა რესპუბლიკის ისტორიული ძეგლებისა, და საინგილოს ტერიტორიაზე (ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონები) არცერთი ქართული ისტორიული ძეგლი არ იყო მითითებული.

1921 წლის შემდეგ (იმ დღიდან, რაც საინგილო აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა), პირველი ექსპედიცია ამ მხარეში 1935 წელს მოეწყო, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის

ინიციატივით. იმაჟამად მოპოვებული მასალა თავმოყრილია ხუთტომეულში, რომელსაც ეწოდება „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის“ (გამოცა 1976-92 წწ.).

ამის შემდეგ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საინგილოში სისტემატიური მეცნიერული კვლევის ჩატარება ვეღარ მოხერხდა. ცალკეულ მკვლევართ მხოლოდ ეპიზოდურად უხდებოდათ იქ მუშაობა.

მეორე ოფიციალური სამეცნიერო ექსპედიცია საინგილოში მოეწყო საქართველოს საპატრიარქოსა და მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით 1987 წლის 3-9 ივლისს. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგე, აწ გარდაცვლილი ჯონდო ბარდაველიძე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: პროფ. გიზო ჭველიძე (ფოლკლორისტი; ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი), დოცენტი იოსებ ყორდანიას (თბილისის კონსერვატორიის ხალხური მუსიკისა და შემოქმედების კათედრის თანამშრომელი), მართა ტარტარაშვილი (ფილოლოგი), მიხეილ ყულოშვილი (ექიმი), ელენე ბარამიძე (ფილოლოგი), დოცენტი ასრათ ომარაშვილი (ფილოლოგი). მეც, ამ სტრიქონების ავტორს, ბედნიერება მქონდა, მონაწილე მონაწილე მძევლე ხელმძღვანელს, და ერთი კვირა მათთან ერთად ინგილო თანამემამულეებთან გამეტარებინა.

ექსპედიცია ძირითადად სამეცნიერო მასალის დაზვერვით მუშაობას ისახავდა მიზნად, მაგრამ ძალზე ნაყოფიერად ჩაიარა, და ბევრი მასალის მოპოვება შეეძლო. მოვიარეთ და გავეცანით საინგილოს მრავალ ქართულ სოფელს, უმეტესწილად ქრისტიანულს (რაიონული ცენტრი კახი, კახისთავი, თოფახი, მთისძირი, ალიბეგლო, ალათემური, ყორაღანი, ქოთოქლო); აგრეთვე რამდენიმე მაჰმადიანურსაც (ელისუ, ზაგეში, თასმლო). მოვიხილეთ ქართული სიძვე

ლენი: ლექართის მონასტერი (V-VI სს.), კასრის საყდარი (VII ს.), ქურბუხის წმ. გიორგის ეკლესია (XI ს., გადაკეთებული XIX ს-ში), გიშის საყდარი (XII ს.), აგრეთვე გვიანდელი ხანის ეკლესიები: წმიდა გიორგისა, წმ. ნინოსი, წმ. ბარბარესი, სამებისა და სხვ. შეეხვდით კახის საშუალო სკოლის დირექტორს, მასწავლებლებს, აგრეთვე ხანდაზმულ ინგილოებს, რომელთაგან ჩაიწერეთ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ამბები, გადმოცემები, ხალხური სიმღერები, დიალექტიზმები, საეკლესიო დღესასწაულების, ქორწილ-ნიშნობის, ძეობის, სამეურნეო საქმიანობის ამსახველი მასალები და სხვ.

პირადად მე უმეტეს ყურადღებას ვუთმობდი ეკლესიების ლაპიდარული წარწერების, აგრეთვე საფლავის ქვის წარწერების გადმოწერას (კახისთავი, ყორღანი, ქოთოქლო...). ბევრი მათგანი გულშიჩამწვდომი, პოეტური ფორმითაა შესრულებული (უმეტესად XIX ს-ისა). საფლავის ქვა, წინაპართა ხსოვნა მღუმარედ, მაგრამ დაბეჯითებით მიგვითითებს, რომ ესაა ჩვენი სამშობლო, ჩვენი ერის საყოფელ-სამკვიდრებელი.


დიდი სიამოვნება განვიცადეთ, როდესაც ჩვენი ექსპედიციის ყველა მონაწილე მიწვეულ იქნა კახის ერთ-ერთ ოჯახში, საქორწინო

ზეიმზე. უზარმაზარი და მშვენიერი მაგიდა ვაშლის ხეივანში გაეშალათ. მწიფე ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ტოტები ზედ სუფრებზე იხრებოდა. მსგავსი მშვენება არსად მინახავს. დიდი ღვინო და სიხარული სუფევდა ირგვლივ. ბატონმა გიზომ ჩვეული სილადითა და მჭკვერძეტყველებით დალოცა ახალშეუღლებულნი. ამაღელვებელი იყო კახის ძირძველ მიწაზე ახალი ქართული ყლორტის აღმოცენების ხილვა.

კახის საშუალო სკოლის პედაგოგებთან შეხვედრისას პროფ. ჯონდო ბარდაველიძემ მოწოდებით მიმართა მათ, ეზრუნათ კახში ქართული ეკლესიის ამოქმედებისათვის. ამით ყველაზე უკეთ შეძლებს საინგილოს ქრისტიანი მოსახლეობა შეინარჩუნოს დედა საქართველოსთან სულიერი კავშირი და ერთობა. საბედნიეროდ, ბატონ ჯონდოს ამ სურვილის აღსრულება მოგვიანებით შეიქნა შესაძლებელი.

საინგილოს ექსპედიციის დღეები ჩემი ცხოვრების საუკეთესო და ღირსსახსოვარი დღეების რიცხვს ეკუთვნის. ეს იყო დღეები მონატრებული სამშობლოს კვლავ ხილვისა.

ექსპედიციის კოჭლამაზაშვილი



დიდჯვრიანი წინდაჲ, მოქსოვილია თინა ტარტარაშვილის მიერ



ჰერეთი გველ წერილობით წყაროებში

ძველი ჰერეთი ქართულ წყაროებში ალბანეთ-ჰერეთის სახელით იყო ცნობილი, ამ სახელის ფართო გაგებით. მის შესახებ სხვადასხვა სახის უძველეს ცნობებს გადმოგვცემენ ბერძენი, რომაელი, ბიზანტიელი მწერლები და ევროპელი მოგზაურები. იგი მოხსენიებული და აღწერილია ასევე ქართულ, სომხურ, არაბულ და სხვა წყაროებში.

საქართველოსა და კერძოდ, ჰერეთზე ყველაზე მნიშვნელოვან წერილობით ცნობებს გვაწვდის სტრაბონი თავისი „გეოგრაფიის“ ფურცლებზე. მისი გადმოცემით, ალბანელები (ჰერები) „ცხოვრობენ იბერიასა და კასპიის ზღვას შორის. აღმოსავლეთით ისაზღვრებიან ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებიან იბერებს. რაც შეეხება დარჩენილ მხარეებს — ჩრდილოეთისა გამაგრებულია მთებით... სამხრეთისაკენ არის მეზობლად მდებარე არმენია, რომელიც ნაწილობრივ დაბლობია, ნაწილობრივ მთიანი, როგორც მაგალითად, კომბისენე (კამბიჯოვანი — თანამედროვე ჭიხიცი), სადაც იბერებსა და ალბანელებს ესაზღვრებიან არმენიელები (ს. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 131).

გარდა სტრაბონისა, უძველეს ცნობებს ალბანელებზე გვაწვდიან, აგრეთვე, ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები: პლინიუსი (29-79 წწ.), პტოლემეოსი (70-147 წწ.), გამოჩენილი გეოგრაფი ფლავიუს არიანე (100-160 წწ.), აბიანე (90-170 წწ.), დონ კასიოს (155-235 წწ.), ფილოსოფოსი თემისტოისი (317-388 წწ.) და სხვ.

ძველი ჰერეთის მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლისათვის განუზომელი

მნიშვნელობა ენიჭება „ქართლის ცხოვრებას“. მის ფურცლებზე გაშუქებულია ძველი ჰერეთის გეოგრაფიული სახელების წარმოშობის ზოგიერთი საკითხი, ისტორიული საზღვრები, ჰერეთის საერისთაოს გამგებელთა (მეფეთა და ერისთავთა) ვინაობა, გარეშე მტერთა შემოსევები. მოცემულია საყურადღებო ცნობები მოსახლეობისა და სარწმუნოების შესახებ, ზოგიერთი საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლის აშენების თარიღი და სხვ.

ძველ წერილობით წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებას. მასში მოცემულია „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთის კვალად თუშეთისა და დიდოეთისა“. ამ თავში ვახუშტი ბაგრატიონი გვაცნობს ძველი ჰერეთის ჰავას, ფლორასა და ფაუნას, ფიფინეთისა და ქურმუხის ხეობათა ლანდშაფტებს, აწ გადაშენებულ უძველეს ქალაქებსა და სოფლებს, ნამოსახლარ ადგილებს და სხვა. იგი დიდ ყურადღებას უთმობს ასევე, მატერიალური კულტურის ისეთ ძეგლებს, როგორიცაა: მეფეთა სასახლეები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ეკლესიები... მოცემული აქვს მათი მოკლე დანასიათება, მდებარეობა, სივრცობრივი ფორმები. ხშირად მითითებულია ეკლესიის ტიპი: „გუმბათიანი“, ან „უგუმბათო“...

ალბანეთის შესახებ საყურადღებო ცნობები მოიპოვება სომხურ წყაროებშიც. (მოსე კალანკატუელი „ალბანეთის ისტორია“, მხითარ გომი „ალბანეთის ქრონიკა“...).

ძველი ჰერეთის შესახებ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული არაბულ და სპარსულ წყაროებშიც.

არაბთა ავტორებიდან ყველაზე საყურადღებო ცნობები IX-X სს. მოღვაწეს იბნ ხორდადბესს ეკუთვნის...

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპარსელი ისტორიკოსის, ისქანდერ მუნშის თხზულება „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“, რომელშიც ავტორი დაწვრილებით აღწერს შაჰ-აბასის გამანადგურებელ თავდასხმებს ძველი ჰერეთის იმ ნაწილის მოსახლეობაზე, დღეს რომ საინგილოს სახელით ვიცნობთ.

XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის ცნობების სიუხვითა და სიზუსტით ისქანდერ მუნშის ნაშრომებს ვერც ერთი სხვა სპარსული წყარო ვერ შეედრება.

ხოლო რუსეთის მმართველი წრეების ინტერესი საინგილოსადმი იზრდება მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია (ჭარ-ბელაქანი) 1803 წლიდან რუსეთის მფლობელობაში შევიდა.

ძველი ჰერეთის ტერიტორია იმდროინდელი რუსეთისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

პირველი მკვლევარი, რომელიც სამხრეთ კავკასიის მხარეთა შესასწავლად გამოგზავნა რუსეთმა, პროფესორი ფრიდრიხ კრუზე იყო. მან შემოიარა მთელი სამხრეთი კავკასია და მათ შორის ჭარ-ბელაქანი და მეტად მნიშვნელოვანი მასალები შეკრიბა, რომელიც 1835 წელს გამოაქვეყნა კიდევ.

ახალი პერიოდის ნაწერებიდან ასევე აღსანიშნავია გიორგი ავალიშვილის „მოგზავრობა“.

ჭარ-ბელაქნის მხარეში იმოგზაურა ასევე დ. ზუბარემა და მეტად საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ძველი ჰერეთის ისტორიულ სიძველეთა და მკვიდრი მოსახლეობის ყოფაცხოვრების შესახებ. მისი ნაშრომი გამოქვეყნდა 1841 წელს სათაურით: „პოუხდკა ვ კახეტოუ, პშავეიუ, ხევსურიუ ი ჯარე-ბელაკანსკუიუ ობლასტ“. მასში მოცემულია საინტერესო ცნობები ზაქათალის ციხე-სიმაგრის, „კავკასიის დიდი კედლის“ იმხანად არსებული ნაშთებისა და მისი აღმშენებლის შესახებ.

ჩვენთვის საინტერესოა ცნობილი ფრანგი მწერლის, ალექსანდრე დიუმას შთაბეჭ-

დილებათა წიგნი „კავკასია“. იგი მხატვარ მუანესთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. ეს იყო 1858 წელს. პირველად იგი ჰერეთში მოვიდა. დიუმა თავის პირველ შთაბეჭდილებებს საქართველოს შესახებ სწორედ ისტორიული საინგილოთი იწყებს. იგი ალტაცებით აღწერს ნუხისა და მისი მიდამოების ბუნებრივ სილამაზეს, მდინარე ალაზნის სანაპიროებსა და კავკასიის ბუნებას, ლეკების „სადრომ“ აღვილებს. აღწერს იმ შემადრწუნებელ შიშაინობას, „ლეკების თავდასხმის“ გამო რომ სუფევდა იმხანად საინგილოში. თავისებური სილამაზით წარმოგვისახავს „კავკასიის დიდ კედელს“ და მის გარემოს, საცხოვრებელ სახლებს, ძეგლებს, ეკლესიებს, ხალხს.

დიუმას აქ ყოფნიდან ხუთი წლის შემდეგ საინგილოში იმოგზაურა ა. პოსერბსკიმ, რის შედეგადაც დაიწერა მისი შრომა „ზაკატალსკი ოკრუგ“.

1866 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 43-44) დაიბეჭდა გამოჩენილი მეცნიერის, დიმიტრი ბაქრაძის სტატია „ინგილოები“. დ. ბაქრაძე 1879 წელს დაინიშნა ზაქათალის „წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის“ თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებლად. ამ კომისიამ 1883 წლამდე იარსება. შემდეგ კი, მის ნაცვლად შეიქმნა ისეთივე დანიშნულების კომისია მთელი საქართველოს მასშტაბით. თავმჯდომარედ კვლავ დიმიტრი ბაქრაძე დაინიშნა. „რაც მთავარია, აღნიშნული კომისია საქართველოს რაიონებში მოგზაურობათა საშუალებას იძლეოდა (მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, თბ. 1950 წ.). ამ დღიდან დ. ბაქრაძე აწყობს საქართველოს სხვადასხვა მხარეში საქსპედიციო მოგზაურობებს. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიცია საინგილოს ტერიტორიაზე სიძველეთა შესწავლის მიზნით ჩატარდა. მოგზაურობის შედეგი მან 1890 წელს გამოაქვეყნა: „ზამეტკი ო ზაკატალსკომ ოკრუგე“.

1867 წელს „კავკასიში“ (№ 92-93-94) დაიბეჭდა ნიკიტინის ნაშრომი „ელისენი“, რომელშიც ისტორიულ-გეოგრაფიულ მასალებთან ერთად აღწერილია ეკლესია-მონასტრები, მოცემულია მათი მოკლე დახასიათება.

1882 წელს გამოდის ზ. გულისაშვილის პუბლიკაცია „მგზავრის შენიშვნები საინგილოსა და ქიზიყზედ“, რომელიც მოსე ჯანაშვილის შეფასებით ყველა არსებულ მასალათა შორის „ფასიან ნაწერებს წარმოადგენს“.

და მაინც, საინგილოს მატერიალური კულტურის, სახელდობრ, ქრისტიანული ძეგლების პირველი თვალსაჩინო მკვლევარი ალექსანდრე ხახანაშვილია. მან სამჯერ იმოგზაურა საინგილოში. პირველად სწორედ მან შეისწავლა და გამოიკვლია ისეთი უნიკალური ძეგლები, როგორებიცაა: ლექართის, ყუმის, ქურმუხისა და სხვა ტაძრები, რომელთა მხოლოდ ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი.

1901 წლიდან ჟურნალ „მოგზაურში“ გამოჩნდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ამ კუთხის მკვიდრის, დიმიტრი ჯანაშვილის ვრცელი გამოკვლევა: „გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა ჰერეთისა“. დ. ჯანაშვილს საინგილოს ტერიტორიაზე უნახავი

ძეგლი არ დარჩენია. მას ძალზე აღელვებდა საინგილოს ტრაგიკული ისტორია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მოსე ჯანაშვილის გამოკვლევები და წიგნი „საინგილო“... ამ ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზაქარია ედილის ვრცელი ნარკვევი, რომელიც ცალკე წიგნადაა გამოცემული.


ამავე პერიოდში ფრიად მნიშვნელოვანი ნარკვევი გამოაქვეყნა პ. ბარანოვსკიმ „პამიატნიკი ვ სელენიას კუმ ი ლეკიტ.“ მან მეცნიერულად შეისწავლა ყუმის ბაზილიკისა და ლექართის მრგვალი გუმბათოვანი ტაძრის არქიტექტურა.

არსებობს სხვა ნაშრომებიც (ნ. ბერძენიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, თ. პაპუაშვილის, გ. ჩანგაშვილისა და სხვათა...) მათში უამრავი მნიშვნელოვანი ცნობა და ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი ამ კუთხის საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა და სიწმიდეთა შესახებ.




ფოტოარქივიდან

საინგილოში მოღვაწე სასულიერო პირნი. მხოლოდ რამდენიმე... ვისი ფოტოების მოძიებაც შევძელით





დიმიტრი ჯანაშვილი



მარკოზ ყულოშვილი




მღვდელი მიხეილ ყულოშვილი
მრევლთან



აპოლონ ივანიცკი....
ოთხი ძმანი იყვნენ. ოთხივე მღვდელი.



იოანე გამხარაშვილი ოჯახთან ერთად



უფალო, დაგვიფარე ჩუენ ძალითა
წმიდისა ცხოველსმყოფელისა, ძლევა-
შემოსილისა ჯვარისა შენისაითა და
გვიხსენ ჩუენ ყოვლისა ბოროტისაგან.

ნუ გათათრდები

„ნუ გათათრდები, – ეგვიპტის მტრედი, მომცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა, მისირსა (ეგვიპტე) და შირაზში (ირანი) ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრს კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: ნუ გათათრდები! და ამ მიზეზით თათარი გიაურყუშს, უწოდებენ. ვითომც უსჯულო ფრინველი.“
საბას ლექსიკონი

„ნუ გათათრდები“ – გერქვა სახელად
შენ, უცნაურო, მომცრო ფრინველო,
მიტაცებულთა, გარდახვეწილთა,
მკლავგაბაწრულთა მოძმევ პირველო!
შენ, ფრთაშესხმულო ხალხის სურვილო,
ხალხის ტკივილო, ცად ატყორცნილო,
თვით ხალხის ნებით მტრედად ქცეულო,
ნეტავ ეს ყელი დამაკოცნინო!
მწარტყვეობაში თავს დაჰკიოდი,
გიმხნევებია შენი ქართულით,
აზიის გზებზე, უდაბნოებში,
ვინც კი ყოფილა გადაკარგული!
შენ დღესაც ისევ თავზე დაჰკენესი
ძუძუს მოსხლეტილ გარექართველებს,
თვალთ დახვრიტეთ ჭოროხის მხარე,
არ მოგვირჩება ჩვენ ეს ტკივილი,
ვიდრე ლაზისტანს და ფერეიდანს
ისევ მოესმით შენი ყივილი!
იფრინე სულ იქ და იტრიალე,
დაძებნე ჩვენი ძმები და დები,
შენი მკაცრი ხმით ისევ დასძახე:
– ძმანო, ქართველნო, ნუ გათათრდებით!
გამაგრდით, კერას ნუ დაივიწყებთ,
მონობისათვის ვერ გაგიმეტებთ,
გამაგრდით, ვიდრე მზე მოვა თქვენზე
და გაეინაღლებთ ნანგრევთ იმედებს!
შენ ეს ქართული ხმა მიაწვდინე,
მიტაცებულ ძმებს ასე უთხარი,
იქაც სცემს გული საქართველოსი,
პონტოს ზღვასავით გადამდუღარი!
და როცა დაჰკრავს უკვდავი წამი,
მწირი მონობის დამამზობელი,
ძმათა გამოხსნის, შინდაბრუნების,
შენვე იყავი მახარობელი!

ბიორბი ლეონიძე

შინაარსი

და შემდგომად... (წმიდა ანდრია მოციქულის თავის ქალა საქართველოში).....	4
ჩვენ მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დანახვა გვინდოდა.....	9
საინგილოს ეპარქია.....	13
გ. ჩანგაშვილი. საინგილო.....	16
საინგილოს მოამაგენი.....	26
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიიდან.....	27
ხ. ბერულავა. ინგილო ბავშვები (ლექსი).....	36
ი. ადამია. საინგილოს ტაძრები.....	37
ი. რობიჭაშვილი. საუბარი ნეკრესის ეპარქიის მმართველ მიტროპოლიტ სერგისთან.....	53
მღვდელი დიმიტრი სუხიტაშვილი. დალოცვილი იყოს მისი მიწა და ცა.....	56
მამა დიმიტრი სუხიტაშვილის ფოტოარქივიდან.....	58
ნ. ჯალალონია. საინგილოს ზარები (ლექსი).....	60
თ. ჯვარიძე. ხალხის ხსოვნაში შენახული წარსული.....	61
თ. კობალაძე ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. საუბარი მიტროპოლიტ დანიელთან.....	68
მ. ტარტარაშვილი. ილია და XIX საუკუნის საინგილო.....	72
მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე. ქრისტიანობა საინგილოში. ინგილოთა ყოფა XIX საუკუნის მიწურსა და მეოცის დასაწყისში	76
მღვდელი ლეონიდე ოქროპირიძე (შემდგომში პათოლიკოს-პატრიარქი). მისიონერის ჩანაწერებიდან.....	84
ხალხის ხსოვნაში შენახული წარსული და მისი მოამაგენი. ზაქარია ედილის ჩანაწერები.....	86
მ. ტარტარაშვილი. მეუფე კონსტანტინე და ინგილო ბავშვები.....	92
თამარ პაპიაშვილის პოეზია.....	94
ხალხის ხსოვნაში შენახული წარსული. მისი მოამაგენი. ალექსანდრა ჩხენკელი.....	98
ზ. თორია. საინგილოში.....	103
ე. კოჭლამაზაშვილი. სამეცნიერო ექსპედიცია საინგილოში.....	107
პერეთი ძველ წერილობით წყაროებში.....	109
ფოტოარქივიდან.....	112
გ. ლეონიძე. ნუ გათათრდები (ლექსი).....	116

რედაქტორი თინათინ კობალაძე

სარედაქციო კოლეგია

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ანდრია აფაქიძე, ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), ზურაბ თორია (პასუხისმგებელი მდივანი), დამანა მელიქიშვილი, ზაზა სხირტლაძე, გივი ლამბაშიძე, ედიშერ ჭელიძე.

კორექტურა წაიკითხა ნანა ლეჟავამ

კომპიუტერული მომსახურება ნატო გურამიშვილისა და მერი მანველიძისა.

გამოქვეყნებული ძველი ფოტომასალის ავტორები უმეტესად უცნობია.

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი. ერეკლე II-ის ქ.№1. 2003
ტელ: 98-95-21

GEORGIAN PATRIARCHATE „JVARI VAZISA”

(The Cross of Vine) №1.

Tbilisi 1, Erekle's square

Джвари вазиса (Лозовый крест) №1

Грузинская Патриархия.

Тбилиси, пл. Ираклия 1

გამომცემელი დეკანოზი მიქაელი (წურწუშია)

2003



ნათლისღება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი.
ღმრთის განცხადება

ქართული ანბანი

ა	ⴁ	ⴂ	a	1	ბ	ⴃ	ⴄ	b	200
ბ	ⴅ	ⴆ	b	2	გ	ⴇ	ⴈ	g	300
გ	ⴉ	ⴊ	g	3	დ	ⴋ	ⴌ	d	400
დ	ⴍ	ⴎ	d	4	ე	ⴏ	ⴐ	e	500
ე	ⴑ	ⴒ	e	5	ვ	ⴓ	ⴔ	v	600
ვ	ⴕ	ⴖ	v	6	ზ	ⴗ	ⴘ	z	700
ზ	ⴙ	ⴚ	z	7	თ	ⴛ	ⴜ	t	800
თ	ⴝ	ⴞ	t	8	ი	ⴟ	ⴠ	i	900
ი	ⴡ	ⴢ	i	9	კ	ⴣ	ⴤ	k	1000
კ	ⴥ	⴦	k	20	ლ	ⴧ	⴨	l	2000
ლ	⴩	⴪	l	30	მ	⴫	⴬	m	3000
მ	ⴭ	⴮	m	40	ნ	⴯	ⴰ	n	4000
ნ	ⴱ	ⴲ	n	50	ო	ⴳ	ⴴ	o	5000
ო	ⴵ	ⴶ	o	60	პ	ⴷ	ⴸ	p	6000
პ	ⴹ	ⴺ	p	70	ჟ	ⴻ	ⴼ	ž	7000
ჟ	ⴽ	ⴾ	ž	80	რ	ⴿ	ⵀ	r	8000
რ	ⵁ	ⵂ	r	90	ს	ⵃ	ⵄ	s	9000
ს	ⵅ	ⵆ	s	100	შ	ⵇ	ⵈ	sh	10000
შ	ⵉ	ⵊ	sh		ჩ	ⵋ	ⵌ	ch	

